

ქ. ბათუმის 2019 წლის ბიუჯეტი

შესრულების ანგარიში



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №74 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 31/01/2019 №1; 28/02/2019 №2; 12/04/2019 №8; 16/07/2019 №15; 19/09/2019 №25; 11/12/2019 №34 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 173,971.5 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 177,243.5 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 182,496.3 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 172,591.5 ათასი ლარი.

2019 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს ასევე სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფერო და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

✓ **მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება:**

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 40 592,0 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება 9 618,1 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 19 627,6 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 7 098,0 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 676.1 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 2 605,9 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 870,1 ათასი ლარი.

✓ **ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება:**

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება- 9 310,0 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 5 986,3 ათასი ლარი;

✓ **განათლება:**

- სკოლამდელი განათლება - 15 779,1 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 167,9 ათასი ლარი;

- ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 10,8 ათასი ლარი;

✓ **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:**

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 5 546,0 ათასი ლარი;



- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 1 788,7 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 2 729,6 ათასი ლარი;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 537,5 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 731,8 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 158,1 ათასი ლარი.
- ✓ **ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:**
- ჯანმრთელობის დაცვა - 5 541,5 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 10 075,5 ათასი ლარი;
- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 759,8 ათასი ლარი.
- ✓ **ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება:**
- ქალაქის ურბანული განვითარება - 18,2 ათასი ლარი;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 31.1 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სერვისების განვითარება - 2,058.0 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 10,499.7 ათასი ლარი.
- ✓ **მუნიციპალური სერვისების განვითარება:**
- მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 3,101.0 ათასი ლარი;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (6,667.4 ათასი ლარი), სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (20 494,8 ათასი ლარი), წვევამდელთა ტრანსპორტირება (11.6 ათასი ლარი), საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება (4.1 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება (52.9 ათასი ლარი).



ქ. ბათუმის 2019 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის შესრულება	შესრულება-ის %
შემოსავლები	163,271.5	168,419.0	103%
გადასახადები	76,945.6	80,404.6	104%
გრანტები	40,461.6	38,463.2	95%
სხვა შემოსავლები	45,864.3	49,551.2	108%
ხარჯები	101,213.2	97,154.5	96%
შრომის ანაზღაურება	22,173.8	21,970.3	99%
საქონელი და მომსახურება	37,526.7	36,276.4	97%
პროცენტი	5,321.8	4,686.0	88%
სუბსიდიები	16,533.0	16,207.3	98%
გრანტები	25.5	3.2	12%
სოციალური უზრუნველყოფა	10,145.2	9,327.9	92%
სხვა ხარჯები	9,487.1	8,683.6	92%
საოპერაციო სალდო	62,058.3	71,264.5	115%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	54,461.6	50,803.7	93%
ზრდა	65,161.6	59,628.2	92%
კლება	10,700.0	8,824.4	82%
მთლიანი სალდო	7,596.7	20,460.8	269%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-8,524.8	4,652.0	-55%
ზრდა	0.0	4,652.0	-
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	4,652.0	-
კლება	8,524.8	0.0	0%
ვალუტა და დეპოზიტები	8,524.8	0.0	0%
ვალდებულებების ცვლილება	-16,121.5	-15,808.8	98%
კლება	16,121.5	15,808.8	98%
საშინაო	16,121.5	15,808.8	98%
ბალანსი	0.0	0.0	

ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება



(ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	173,971.5	177,243.5	102%
შემოსავლები	163,271.5	168,419.0	103%
არაფინანსური აქტივების კლება	10,700.0	8,824.4	82%
გადასახდელები	182,496.3	172,591.5	95%
ხარჯები	101,213.2	97,154.5	96%
არაფინანსური აქტივების ზრდა	65,161.6	59,628.2	92%
ვალდებულებების კლება	16,121.5	15,808.8	98%
ნაშთის ცვლილება	-8,524.8	4,652.0	

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 177,243.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2019 წლის გეგმიური მაჩვენებლის 101.9%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 80,404.6 ათასი ლარი (შემოსულობების 45.4%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 38,463.2 ათასი ლარი (შემოსულობების 21.7%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 49,551.2 ათასი ლარი (შემოსულობების 28.0%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 8,824.4 ათასი ლარი (შემოსულობების 5.0%).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

(ათასი ლარი)

№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	168,419.0	95.0%
1.1	გადასახადები	80,404.6	45.4%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	38,463.2	21.7%
1.3	სხვა შემოსავლები	49,551.2	28.0%
2	არაფინანსური აქტივების კლება	8,824.4	5.0%
ჯამი		177,243.5	100%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები






შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების
მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

№	შემოსულობების დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის შესრულება	გადაზრა	შესრულება %
1	შემოსავლები	163,271.5	168,419.0	5,147.5	103.2%
1.1	გადასახადები	76,945.6	80,404.6	3,459.0	104.5%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	40,461.6	38,463.2	-1,998.4	95.1%
1.3	სხვა შემოსავლები	45,864.3	49,551.2	3,686.9	108.0%
2	არაფინანსური აქტივების კლება	10,700.0	8,824.4	-1,875.6	82.5%
ჯამი		173,971.5	177,243.5	3,272.0	101.9%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება
გეგმასთან მიმართებაში








ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა

(ათასი ლარი)


№	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	87,607.8	117,242.4	115,022.2	119,877.0	155,497.8	162,247.9	168,419.0
1.1	გადასახადები	11,628.1	13,937.5	18,819.4	35,081.9	30,914.9	32,055.0	80,404.6
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	54,416.5	76,387.1	63,170.7	51,564.0	82,154.5	81,242.1	38,463.2
1.3	სხვა შემოსავლები	21,563.2	26,917.8	33,032.1	33,231.1	42,428.4	48,950.8	49,551.2
2	არაფინანსური აქტივების კლება	553.4	362.6	1,626.2	5,064.7	13,139.7	4,779.7	8,824.4
3	ფინანსური აქტივების კლება					0.1		
	სულ ჯამი	88,161.2	117,605.0	116,648.5	124,941.7	168,637.5	167,027.5	177,243.5

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა



შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 173,971.5 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 177,243.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.9%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 80,404.6 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 76,945.6 ათასი ლარის 104.5%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 45.4%-ს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)



№	შემოსავლის სახე	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტი	შესრულება			
										2019 წ. გეგმასთან		2018 წ. ფაქტთან	
										გადახრა (ათ. ლარი)	%	გადახრა (ათ. ლარი)	%
1	საშემოსავლო გადასახადი				10,742.6	5,599.5	5,005.9				-	-5,005.9	
2	დამატებული ღირებულების გადასახადები							47,953.6	50,467.5	2,513.9	105.2%	50,467.5	-
3	ქონების გადასახადი	11,625.4	13,936.5	18,820.2	24,339.2	25,315.4	27,049.1	28,992.0	29,937.2	945.2	103.3%	2,888.1	110.7%
3.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	792.8	861.8	1,117.8	1,199.1	1,528.1	1,754.2	1,800.0	2,129.7	329.7	118.3%	375.6	121.4%
3.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	9,519.7	11,376.5	16,322.4	21,448.6	22,064.9	23,459.0	25,492.0	25,868.1	376.1	101.5%	2,409.1	110.3%
3.3	მიწის გადასახადი	1,312.9	1,698.2	1,380.1	1,691.5	1,722.4	1,835.9	1,700.0	1,939.3	239.3	114.1%	103.4	105.6%
4	სხვა გადასახადები	2.7	1.0	-0.8							-		-
სულ		11,628.1	13,937.5	18,819.4	35,081.9	30,914.9	32,055.0	76,945.6	80,404.6	3,459.0	104.5%	48,349.6	250.8%

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2019 წლის გეგმიური მაჩვენებელი 28,992.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 29,937.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 103.3%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	28,992.0	29,937.2	945.2	103.3%
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	25,492.0	25,868.1	376.1	101.5%
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1,800.0	2,129.7	329.7	118.3%
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,700.0	1,939.3	239.3	114.1%

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 25,492.0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 25,868.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 101.5%-ია.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 1,800.0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 2,129.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 118.3%-ია.


მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 1,939.3 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1,700.0 ათასი ლარი) 114.1%-ია.

(ათასი ლარი)


№	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	11,625.4	13,936.5	18,820.2	24,339.2	25,315.4	27,049.1	29,937.2
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	9,519.7	11,376.5	16,322.4	21,448.6	22,064.9	23,459.0	25,868.1
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	792.8	861.8	1,117.8	1,199.1	1,528.1	1,754.2	2,129.7
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,312.9	1,698.2	1,380.1	1,691.5	1,722.4	1,835.9	1,939.3

ქონების გადასახადის 2019 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2018 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2,888.1 ათასი ლარით (10.7 %-ით) გაზრდილია.


ქონების გადასახადის სტრუქტურა




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაცია ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:



ქონების გადასახადის შესრულება წლების მიხედვით (2013-2019 წლები)



დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2019 წლის გეგმიური მაჩვენებელი 47,953.6 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 50,467.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 105.2%-ია.



ფინანსური დახმარება და გრანტები

2019 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 38,463.2 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 40,461.6 ათას ლარს, სხვაობა შეადგენს - 1,998.4 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2019 წელს მიღებული იქნა 3,931.9 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება - 34,531.3 ათას ლარს შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 21.7%-ია.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	40,461.6	38,463.2	-1,998.4
1.1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	36,529.7	34,531.3	-1,998.4
	კაპიტალური ტრანსფერი	30,658.8	29,329.9	-1,328.9
	სპეციალური ტრანსფერი	624.6	596.9	-27.7
	ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	5,246.4	4,604.6	-641.8
1.2	სპეციალური ტრანსფერი	3,931.9	3,931.9	0.0
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	3,931.9	3,931.9	0.0
	ჯამი	40,461.6	38,463.2	-1,998.4

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2019 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 34,531.3 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 29,329.9 ათასი ლარი, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით;**

- სპეციალური ტრანსფერი - ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 4,604.6 ათასი ლარი, **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით;**

- სპეციალური ტრანსფერი - 596.9 ათასი ლარი, კერძოდ:

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 23 აპრილის №134 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. №10-ში მდებარე მაღალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის შეფუთვისათვის (იერსახის შეცვლა, რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია, თბოიზოლაცია) განსახორციელებელი სამუშაოების დაფინანსების მიზნით - გამოყოფილ იქნა 554,571 ლარი, ხოლო ფაქტიური შესრულებამ შეადგინა - 526,835 ლარი (95%).

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 29 ივლისის №303 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ხანძრის შედეგად დაზარალებული 8 ოჯახისათვის (ნატალია სიზოვა, მალხაზ პაპიძე,



ვლადიმერ სავკო, ლინა სავკო, ლიანა ჩაკვეტაძე, მინდია ჟღერია, მარიამ გურგენიძე და ზაზა ჯინჭარაძე) - 70,020 ლარი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული სახსრები

2019 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით 3,931.9 ათასი ლარი მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (III ფაზა და IV ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2019 წლის საპროგნოზო მოცულობა 45,864.3 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 49,551.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 108.0%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 28.0%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 4,337.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3,713.0 ათასი ლარი) 116.8%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 1,525.1 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- **დივიდენდებიდან** მობილიზებულია 838.0 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდს.

- **რენტის** სახით მიღებულია 1,9747.4 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 145.4 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 1,829.1 ათასი ლარი.


საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 36,480.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (35,441.3 ათასი ლარი) 102.9%-ია. აქედან:

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით – 36,476.4 ათასი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე** (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 1,123.8 ათასი ლარი.

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** – 2.5 ათასი ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 3.0 ათასი ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 31,967.1 ათასი ლარი, მათ შორის:
 - სათამაშო აპარატებიდან – 17,782.7 ათასი ლარი;
 - წამახალისებელი გათამაშებიდან – 304.2 ათასი ლარი;
 - სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშებიდან – 1,250.0 ათასი ლარი;
 - კლუბის მაგიდიდან – 310.0 ათასი ლარი;
 - სამორინეს მაგიდიდან – 12,226.3 ათასი ლარი;
 - სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 94.0 ათასი ლარი;



- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 2,743.1 ათასი ლარის ოდენობით.
- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 636.8 ათასი ლარი;
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 4.6 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს.
- სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 6,527.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5,250.0 ათასი ლარის) 124.3%-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 100.9 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმოწევი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 158.5 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 15.3 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო - 7.3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 154.7 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 25.0 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 4,745.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 33.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 0.9 ათასი ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარღვევის - 771.2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარღვევის - 67.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 51.8 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 396.1 ათასი ლარი;

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მიღებულია 1,934.5 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 2,205.0 ათას ლარს შეადგენდა. ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 151.0%. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალს - 588.6 ათასი ლარი;

სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 675.1 ათასი ლარი;

შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 212.4 ათასი ლარი;

სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 1.1 ათასი ლარი;

შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგას ამტებლოდან - 279.3 ათასი ლარი;


შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 0.2 ათასი ლარი;



წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 33.1 ათასი
ლარი;

სხვა დანარჩენ არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 415.3 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათასი ლარი)


დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	45,864.3	49,551.2	3,686.9
შემოსავლები საკუთრებიდან	3,713.0	4,337.5	624.5
პროცენტები	1,525.0	1,525.1	0.1
დივიდენდები	838.0	838.0	0.0
რენტა	1,350.0	1,974.4	624.4
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	150.0	145.4	-4.6
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,200.0	1,829.1	629.1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	35,441.3	36,480.9	1,039.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	35,441.3	36,476.4	1,035.1
სანებართვო მოსაკრებელი	400.0	1,123.8	723.8
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	2.5	2.5
საპატენტო საკრებელი	0.0	3.0	3.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	32,100.0	31,967.1	-132.9
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,500.0	2,743.1	243.1
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	441.3	636.8	195.5
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	4.6	4.6
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	0.0	4.6	4.6
ჯარიმები, სანქციები და საურავები	5,250.0	6,527.8	1,277.8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,460.0	2,205.0	745.0

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა



(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	21,563.2	26,917.8	33,032.1	33,231.1	42,428.4	48,950.8	49,551.2
შემოსავლები საკუთრებიდან	3,824.3	3,243.4	3,347.7	1,431.1	1,993.5	3,840.7	4,337.5
პროცენტები	3,025.4	2,639.4	2,430.0	699.3	917.5	1,273.4	1,525.1
დივიდენდები						900.0	838.0
რენტა	798.9	604.1	917.7	731.8	1,076.1	1,667.3	1,974.4
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	268.8	102.2	284.9	154.6	157.3	355.4	145.4
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაგნობა და სხვა) გადაცემიდან	530.2	501.9	632.8	577.2	918.7	1,311.9	1,829.1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	11,702.6	16,340.6	22,932.9	25,445.3	34,028.1	38,689.4	36,480.9
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	11,696.8	16,334.3	22,927.1	25,444.4	34,011.4	38,684.1	36,476.4
სანებართვო მოსაკრებელი	361.0	468.9	525.1	435.8	450.9	449.3	1,123.8
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.4	1.9	3.5	3.0	3.0	2.8	2.5
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	11.4	5.0	3.4	2.4	4.4	2.0	3.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	9,544.7	13,644.9	20,167.5	21,835.4	30,630.2	36,174.5	31,967.1
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის		943.5	687.5	1,458.6	1,074.0	238.9	636.8
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,755.9	1,270.1	1,540.0	1,709.3	1,848.7	1,816.6	2,743.1
სხვაარაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	22.50				0.2		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.8	6.3	5.8	0.9	16.7	5.3	4.6
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	5.8	6.3	5.8	0.9	16.7	5.3	4.6
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,906.3	4,871.8	4,901.6	4,187.9	4,947.8	4,486.2	6,527.8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,130.0	2,462.0	1,849.9	2,166.8	1,458.9	1,934.5	2,205.0



სხვა შემოსავლების დინამიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში მზარდია და 2019 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 600.4 ათასი ლარით აღემატება.

არაფინანსური აქტივების კლება

2019 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 8,824.4 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (10,700.0 ათასი ლარის) 82.5% - ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 5%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა 7,640.9 ათასი ლარი, ასევე ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს – 1,183.5 ათასი ლარი.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება


2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 8,543,1 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლების) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 8,524.8 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 4,652.0 ათასი ლარი, შესაბამისად 2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 13,195.1 ათას ლარს შეადგენდა.

დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2019		8,543.1
ნაშთის ცვლილება	-8,524.8	4,652.0
ზრდა	0.0	4,652.0
ვალუტა და დეპოზიტები		4,652.0
კლება	8,524.8	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	8,524.8	
ნაშთი 01.01.2020		13,195.1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და
არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

(ათასი ლარი)



№	გადასახდელების დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	15,685.5	14,523.5	92.6%	9.3%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7,161.1	6,732.3	94.0%	4.3%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	3,155.3	3,105.1	98.4%	2.0%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	5,321.8	4,686.0	88.1%	3.0%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	47.3	0.1	0.3%	0.0%
2	თავდაცვა	20.2	11.6	57.3%	0.01%
3	ეკონომიკური საქმიანობა	50,369.0	46,724.5	92.8%	29.8%
3.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	60.0	59.5	99.2%	0.0%
3.2	ტრანსპორტი	49,479.8	45,957.9	92.9%	29.3%
3.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	829.2	707.1	85.3%	0.5%
4	გარემოს დაცვა	13,124.8	12,766.7	97.3%	8.1%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	9,313.1	9,298.0	99.8%	5.9%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	3,811.7	3,468.7	91.0%	2.2%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	33,197.1	31,668.2	95.4%	20.2%
5.1	ბინათმშენებლობა	1,959.8	1,909.1	97.4%	1.2%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	6,867.0	6,140.1	89.4%	3.9%
5.3	წყალმომარაგება	16,565.7	16,159.0	97.5%	10.3%
5.4	გარე განათება	4,363.4	4,252.2	97.5%	2.7%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3,441.3	3,207.8	93.2%	2.0%
6	ჯანმრთელობის დაცვა	6,046.2	5,636.5	93.2%	3.6%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	20,614.0	19,477.9	94.5%	12.4%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	14,254.0	13,321.0	93.5%	8.5%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	6,188.4	5,998.9	96.9%	3.8%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	171.6	158.1	92.1%	0.1%
8	განათლება	16,618.5	15,957.8	96.0%	10.2%
9	სოციალური დაცვა	10,699.4	10,016.0	93.6%	6.4%
გადასახდელების ჯამი		166,374.8	156,782.7	94.2%	100.0%

ქ. ბათუმის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2019 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 15,685.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 14,523.5 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 92.6%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 9.3%-ს.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 20.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11.6 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 57.3%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამდებლების ტრასპორტირების ხარჯებს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 50,369.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 46,724.5 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 92.8%%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 29.8%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების, მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის, დასაქმების ხელშეწყობისა და ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 13,124.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 12,766.7 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 97.3%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა ქვეპროგრამებზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 8.1%-ს.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, ქალაქის გაფორმების ღონისძიებების, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების, დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებების და ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ქვეპროგრამების ხარჯები, შეადგენდა 33,197.1 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 31,668.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 95.4%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 20.2%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 6,046.2 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 5,636.5 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 93.2%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 3.6%-ს.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 20,614.0 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 19,477.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 94.5%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12.4%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული ცენტრის განვითარების პროგრამები, ასევე კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯები და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მხარდაჭერის ქვეპროგრამები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 16,618.5 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 15,957.8 ათას ლარს, ანუ გეგმის 96.0%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10.2%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 10,699.4 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 10,016.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.6%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 6.4%-ს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:




(ათასი ლარი)

№	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	101,213.2	97,154.5	96.0%	56.3%
1	შრომის ანაზღაურება	22,173.8	21,970.3	99.1%	12.7%
2	საქონელი და მომსახურება	37,526.7	36,276.4	96.7%	21.0%
3	პროცენტი	5,321.8	4,686.0	88.1%	2.7%
4	სუბსიდიები	16,533.0	16,207.3	98.0%	9.4%
5	გრანტები	25.5	3.2	12.4%	0.0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	10,145.2	9,327.9	91.9%	5.4%
7	სხვა ხარჯები	9,487.1	8,683.6	91.5%	5.0%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	65,161.6	59,628.2	91.5%	34.5%
III	ვალდებულებების კლება	16,121.5	15,808.8	98.1%	9.2%
გადასახდელების ჯამი		182,496.3	172,591.5	94.6%	100%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები
(საკასო შესრულება - 172,591.5 ათასი ლარი)



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები
(საკასო შესრულება 172,591.5 ათასი ლარი)





ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 101,213.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 97,154.5 ლარის 96.0%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 56.3%.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 21,970.3 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 12.7%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 36,276.4 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 21,0%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 4,686.0 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 2.7%-ია.

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 16,207.3 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 9.4%.

გრანტებზე მიიმართა 3.2 ათასი ლარი.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9,327.9 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 5.4%.

სხვა ხარჯებზე მიიმართა 8,683.6 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 5.0%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 59,628.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 65,161.6 ათასი ლარის 91.5%-ია, მთლიანი გადასახდელების – 34.5%.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 15,808.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 16,121.5 ათასი ლარის 98.1%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში – 9.2%.



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ კრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	28,667.9	27,230.9	1,437.0	95.0%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,650.0	1,600.1	49.9	97.0%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	5,390.7	5,067.3	323.4	94.0%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	21,443.3	20,494.8	948.5	95.6%
01 04	სარეზერვო ფონდი	53.5	0.0	53.5	0.0%
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	47.3	0.1	47.2	0.3%
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	20.2	11.6	8.6	57.3%
01 07	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	10.0	4.1	5.9	41.2%
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	52.9	52.9	0.0	100.0%
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	86,570.4	81,087.8	5,482.6	93.7%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	44,165.1	40,592.0	3,573.1	91.9%
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	9,678.1	9,618.1	60.0	99.4%
02 03	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	20,377.4	19,627.6	749.7	96.3%
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	7,540.7	7,098.0	442.7	94.1%
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	794.7	676.1	118.6	85.1%
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	3,017.7	2,605.9	411.8	86.4%
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	996.6	870.1	126.5	87.3%
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	15,863.5	15,296.3	567.3	96.4%
03 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	9,327.1	9,310.0	17.1	99.8%
03 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	6,536.4	5,986.3	550.2	91.6%
04 00	განათლება	16,618.5	15,957.8	660.7	96.0%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	16,437.5	15,779.1	658.4	96.0%



04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	170.0	167.9	2.1	98.8%
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	11.0	10.8	0.2	98.5%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	14,077.6	13,491.7	585.9	95.8%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	5,832.7	5,546.0	286.7	95.1%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	1,884.9	1,788.7	96.2	94.9%
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	2,847.7	2,729.6	118.1	95.9%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	2,586.5	2,537.4	49.1	98.1%
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	754.2	731.8	22.4	97.0%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	171.6	158.1	13.5	92.1%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	17,488.6	16,376.8	1,111.8	93.6%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	5,951.2	5,541.5	409.7	93.1%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	10,759.4	10,075.5	683.9	93.6%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	778.0	759.8	18.2	97.7%
07 00	ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება	64.5	49.2	15.3	76.3%
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	30.0	18.2	11.8	60.6%
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	34.5	31.0	3.5	90.0%
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	3,145.3	3,101.0	44.3	98.6%
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	3,145.3	3,101.0	44.3	98.6%
გადასახდელების ჯამი		182,496.3	172,591.5	9,904.8	94.6%

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01) ხარჯებმა შეადგინა 1 600,1 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 650,0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 97,0%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1 059,9 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 465,9 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 12,0 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 56,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 6,3 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) ხარჯებმა შეადგინა 5 067,3 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5 390,7 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 94,0%. აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 3 406,6 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 1 540,6 ათასი ლარი, გრანტებზე - 3,2 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 60,0 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 8,4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 48,5 ათასი ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03)

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 167,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 167,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების დადგენილ ვადებში დაფარვა. მათ შორის, საპროცენტო ხარჯების დაფარვა 18,9 ათასი ლარის, ხოლო სესხის ძირი თანხის - 148,2 ათასი ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:

სასესხო ვალდებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 21 123,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 20 175,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,5%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების დადგენილ ვადებში დაფარვა. მათ შორის, საპროცენტო ხარჯების დაფარვა 4 515,3 ათასი ლარის, ხოლო სესხის ძირი თანხის - 15 660,7 ათასი ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:

სასესხო ვალდებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 153,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 151,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დადგენილ ვადებში დაფარვა 151,8 ათასი ლარის ოდენობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

წვევამდელთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 01 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 20,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 11,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 57,3%. შესრულება განპირობებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის მიხედვით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის მიხედვით, მოხდა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა გაწვევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება. გაწვევის პუნქტამდე გადაყვანილ იქნა 800 წვევამდელი და ტრანსპორტირების მიზნით განხორციელებულდა 50 რეისი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესი ხორციელდება შეუფერხებლად.

საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება (პროგრამული კოდი 01 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 10,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 41.1%.

➤ **პროგრამის აღწერა:** უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და გაზრდილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში საინფორმაციო მასალების დამზადება მათ შორის: საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეორგოლისა და საინფორმაციო ბუკლეტის დამზადებისთვის. ყველა საინფორმაციო რგოლი, შესაბამისი პერიოდულობით განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საეთერო ბადეში, ასევე, მერიისა და მერის ფეისბუქის გვერდების საშუალებით. მუნიციპალური პროგრამების შესახებ დამზადებული საინფორმაციო ბუკლეტები, მოსახლეობაში გავრცელების მიზნით, გადაეცა მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებს, ასევე, გავრცელდა მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაზე. გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულებით აყვანილ იქნა თანამშრომელი, რომელიც, მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებთან ერთად, რეგულარულად უზრუნველყოფს მერიის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ვიდეორგოლების დამზადებას, რამაც საინფორმაციო ვიდეორგოლების დამზადების მომსახურების შესყიდვის საჭიროება შეამცირა, რამაც განაპირობა ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და გაზრდილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 01 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 52,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 52,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2019 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 აპრილის № 32 განკარგულების შესაბამისად, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა საჭიროებებზე მორგებული სტანდარტის შესაბამისი, ხარისხიანი პროგრამებით უზრუნველყოფის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოხელეთა 2019 წლის სასწავლო გეგმის პრიორიტეტების განსაზღვრისა და პროექტის შედგენის მიზნით, მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეებს დაეგზავნათ ტრენინგ-საჭიროებების განსაზღვრის კითხვარი თანამშრომლებისათვის (დანართი 1) და ტრენინგ-მოდულების ჩამონათვალი(დანართი 2)

2. განხორციელდა შეკრებილი მასალის დამუშავება-ანალიზი და განისაზღვრა პრიორიტეტული ტრენინგ-მოდულების ჩამონათვალი.

3. განისაზღვრა "პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის # 242 დადგენილებით იმ საჯარო მოხელეთა ჩამონათვალი, რომლებსაც დაეკისრათ საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამების გავლის აუცილებლობა";

3. განხორციელდა ბაზრის მოკვლევა;

4. საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა;

5. განხორციელდა გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების პროცესის მონიტორინგი;

6. გაფორმდა მომსახურების შესრულების შესახებ დოკუმენტაცია;

7. განხორციელდა პროგრამის განხორციელებით მიღწეული შედეგების შეფასება (შეფასების კითხვარის საშუალებით).

➤ მიღწეული შედეგები:

დანერგილია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

სამ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლის ეზოში შეიცვალა 200 კვ.მ. დაზიანებული ფილა;

ოთხ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლის ეზოში შეიცვალა/შეკეთდა 667 ც. დაზიანებული ბორდიური.

მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები - ერთ მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები.

კახაბრის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები - ექვს მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები.

გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები - ოთხ მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები.

იოანე ლაზის ქ.15-ში სახლთან ჩამოშლილი ფერდის გამაგრებითი (ფერდსამაგრი) სამუშაოები - მოეწყო 7,047 კუბ.მ. ბეტონის ფილა, 121,8 გრძ.მ. სადრენაჟე მილი, 5 ცალი რკინა-ბეტონის სანიაღვრე ჭა, 5 ცალი თუჯის ცხაურა ოთხკუთხა ჩარჩოთი, 105 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის გოფირებული მილი და 4 ფერდსამაგრი კედელი.

წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები (თამარ მეფის გამზირის მე-4 შესახვევი #16 და #17 - დაიფარა დავალიანება.

სტიქიის (ხანძრის) შედეგად დაზიანებული სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები (პუშკინის ქ. N26-ში და ზ. გორგილაძის ქ. N50/52-ში მდებარე საცხოვრებელი ბ.N64) - ორ მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები.

სტიქიის (ხანძრის) შედეგად დაზიანებული სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები (ბერიძის ქუჩა N13/15 და პუშკინის ქუჩა N62) - სამ მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები.

სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები (გრიშაშვილის ჩიხი N1 და ქუჩა და თამარ მეფის გამზირი N5) - ორ მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები.

მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 794,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 676,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

1. ა(ა)იპ ბათუმის სასაფლაოებს მოვლა-პატრონობაში გადმოცემული აქვს 26,5ჰა. მ/წელს შეძენილ იქნა ფერიის სასაფლაოსათვის არსებული სანიტარული კვანძების, საყვავილეების, მისასვლელ ჭიშკრებზე სანომრე ფირნიშების მოწყობის, ღობის აღდგენის, ფერდსამაგრი საყრდენი კედლის, გარე განათების, არხის რეკონსტრუქციის, სადრენაჟე სისტემის მოწყობის, წყლის გაყვანის, არსებული შიდა გზებისა და ბილიკების კეთილმოწყობის ხარჯთაღრიცხვა. შეკეთდა და დამონტაჟდა ფერიის სასაფლაოს დაზიანებული 55 ცალი შესასვლელი ჭიშკარი, ასევე ცენტრალური ჭიშკარი და ღობე, შეიღება დამონტაჟებული ჭიშკრები და ღობე. ფერიის ცენტრალურ სასაფლაოზე მოიჭრა 2 ძირი ამორტიზირებული ხე, რომლის დასაწყობება მოხდა მერიის საწყობში. პერიოდულად ხორციელდება ბალახის, ბუჩქების და ხეების გაკრეჭა, შეძენილია ჯაჭვური ხერხი, ყველა სასაფლაოს განყოფილება უზრუნველყოფილია საცელავი აპარატითა და საწვავით, პერიოდულად ხორციელდება ბალახის, ბუჩქების, მხვიარების და დაბალი ტანის ხეების გაკრეჭვა.

2. უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა - დაკრძალულია 22 უპატრონო მიცვალებული. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება უპატრონო მიცვალებულთა რეგისტრაცია, ნომრის მინიჭება და დაკრძალვა. გაფორმებულია ხელშეკრულება შპს "ლამაზი სამყარო 2014", რომელიც უზრუნველყოფს უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვისათვის სასახლის მიწოდებას, საყინულე მომსახურებას და სამგლოვიარო-სარიტუალო მომსახურებისათვის განკუთვნილი ავტომანქანით ტრანსპორტირებას.

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება - ვინაიდან არ განხორციელებულა ჩაქვის სასაფლაოს ექსპლოატაციაში მიღება, ვერ მოხერხდა ოფისისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა.

4. ფერიის სასაფლაოს საყრდენი კედლისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (გარდამავალი ღონისძიება) - ფერიის სასაფლაოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - ფერიის ცენტრალურ სასაფლაოზე 2019 წლის 16 აგვისტოს გამოცხადდა ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT190016329) მილსადენის სისტემის დამონტაჟების,

ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისათვის, ტენდერში გაიმარჯვა შპს „მშენებელთა ჯგუფმა (ს/კ 445478938) სატენდერო თანხა 59192 ლარი. 2019 წლის 9 სექტემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, (NAT 1900177727) ფერიის სასაფლაოზე ბეტონის საფეხურების, ბილიკების მოწყობის, საყვავილეებისა და საპირფარეოს რეაბილიტაციისა და სანიაღვრე არხის გაწმენდა-აღდგენის სამუშაოებზე. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ბაკუ“, თანხით 57500 ლარი. ამავე დროს გაფორმდა ხელშეკრულება N27. ამავე სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველის განხორციელების თანხით 3300 ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით. ხელშეკრულება ძალაშია და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაუმჯობესებული და ხელმისაწვდომია მუნიციპალური სასაფლაოების მომსახურეობა და სერვისი.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 761,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 672,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ადმინისტრირება და მართვა: გაიცა შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებისა და საქონელი და მომსახურეობა, სხვა დანარჩენი ხარჯების თანხები.

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება - შეძენილ იქნა სკანერი, ელექტრო გენერატორი, ჰაერის კომპრესორი, კომპიუტერული ტექნიკა და შეკეთდა კონდიციონერი.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამების მართვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 467,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 348,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 74,6%. შემსყიდველი ორგანიზაცია სამუშაოების შესრულებამდე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით



შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პროექტის ღირებულების ანაზღაურებისას თანხების დაკავებას, რაც განაპირობებს ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალ მაჩვენებელს.

➤ **პროგრამის აღწერა:**

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 8 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 169 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

პარკების, მოედნების, სკვერების, ეზოების და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 30 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით) - შედგენილია 289 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მიწისქვეშა კომუნიკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 20 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 37 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა - ექსპერტიზა ჩატარდა ერთ ერთეულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა - 9 ერთეულ ავარიულ სახლს ჩატარდა ექსპერტიზა.

წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

მიღწეული შედეგები:

მომზადებულია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 788,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 584,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 74,1%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბოტანიკურ ბაღში მცხოვრებ ოჯახზე საკომპენსაციო თანხების გაცემა - ქ. ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 ნოემბრის №92 განკარგულების შესაბამისად, ქონების მესაკუთრეებზე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელების მიზნით გაიცა კომპენსაცია

ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემა - ქ. ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 ნოემბრის №92 განკარგულების შესაბამისად, ქონების მესაკუთრეებზე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელების მიზნით გაიცა კომპენსაცია.

ქ. ბათუმში, თაბუკაშვილის ქუჩა №62-ში, საკუთარი სახლის წინ, ტროტუარზე განთავსებული კომერციული ფართის დემონტაჟის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხების გაცემა - გაიცა საკომპენსაციო თანხა 7150 ლარის ოდენობით.

ქალაქ ბათუმში ხ. ახვლედიანის (ჯინჭარაძის) ქ. #12-ში (აფეთქების შედეგად დაზარეული საცხოვრებელი სახლის) მცხოვრებ ოჯახებზე საკომპენსაციო (სარემონტო) თანხების გაცემა - საჯარო რეესტრში ფართების სარეგისტრაციო სამუშაოების შეფერხების გამო ვერ მოხდა საკომპენსაციო თანხების გაცემა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შესაბამისი პროცედურების დაცვით გაცემულია საკომპენსაციო თანხები.

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 07 01-02 07 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 996,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 870,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2018-2019 წელს დამონტაჟებული საახალწლო აქსესუარების და ნაძვის ხის დემონტაჟი - განხორციელდა 1 ნაძვის ხის და მანათობელი აქსესუარების, 8 ცალი დეკორატიული ლამპიონის, 7300 ცალი გირლიანდების, 600 ცალი დეკორატიული გირლიანდის, 14 ცალი დეკორატიული ჭადის, 1 ცალი წითელი დეკორატიული თაღის, 1 ცალი დეკორატიული ნაძვის ხე- „საჩუქრები“-ს, 3 ცალი დეკორატიული დელფინის დემონტაჟი და ტრანსპორტირება სამონტაჟო მოედნიდან დასაწყობების ადგილამდე. (დასრულდა).

2019-2020 წლის საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება - მოეწყო ნაძვის ხე; ქალაქის ქუჩებში დამონტაჟდა 180 ცალი მანათობელი კონსტრუქცია, 94 ცალი მანათობელი აქსესუარი, 7000 ცალი გირლიანდი, 1874 ცალი საახალწლო აქსესუარი, 28 ცალი თაღოვანი კონსტრუქცია, 14 ცალი დეკორატიული ჭადი და 20 ცალი დეკორატიული გირლიანდი თაღებზე.

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: გზაგამყოფ ზოლებში მარტულლებისათვის ალმების დამზადება-მონტაჟი/დემონტაჟით მთელი წლის მანძილზე - 4900 ცალი; ალმებისათვის ახალი მარტულლების დამზადება-მონტაჟი - 100 ცალი; ქალაქში არსებული სტაციონალური ფლაგმტოკებისათვის დროშების შეკერვა, გამოფენა და შემდგომში დემონტაჟი ორმაგი ცვეთით (ატლასის ნაჭრით ზომა 1,5მX1,0მ-ზე.) - 266 ცალი; ქალაქში არსებული წრიული სადგარებისათვის დროშების შეკერვა და მონტაჟი არსებულ ტარებზე ატლასის ზომით (2მX1მ) - 480 ცალი; არასტანდარტული

ზომის დროშების (9,0მX6,0მ) შეკერვა შემდგომი მონტაჟი-დემონტაჟით - 14 ცალი; ქალაქში არსებული წრიული სადგარების შეღებვა (ერთი ფენა ანტიკოროზიული საღებავით, მეორე და მესამე ფენა მაღალი ხარისხის საღებავით) - 5 ცალი; მემორიალური დაფების დამზადება, მონტაჟი გრანიტის ფილებით, წარწერით (ზომით 0,5კვ.მ.-დან 1 კვ.მ.-მდე) - 4 ცალი; შენობა-ნაგებობების ფასადებისა და კედლების გასუფთავება-გაწმენდა წარწერებისა და ლაქებისაგან - 29000 კვ.მ.; საცხოვრებელი სახლებისათვის შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა 217 ც. საინფორმაციო ფირნიში.

ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: ძეგლების მოვლა-დასუფთავება, მცირე რესტავრაცია (თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად) 4 ცალი; ბიუსტების მოვლა-დასუფთავება, მცირე რესტავრაცია (თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად) 15 ცალი; ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება, მცირე რესტავრაცია (თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად) 5 ცალი; მედეას ძეგლის გაწმენდა-გასუფთავება 40 მ. და მეტი სიმაღლის წვდომის კალათიანი ავტომანქნით (კვარტალში ერთხელ).

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი - აღდგენილ იქნა და რესტავრაცია ჩაუტარდა 258 ცალ ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელ ბანერს; დამზადდა და დამონტაჟდა 23 ცალი ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელი ახალი ბანერი.

9 აპრილის ხსოვნისა და დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავი მემორიალის განთავსება და ტერიტორიის კეთილმოწყობა (დასრულება) - დაიგო 25 კვ.მ. კორდი, 1,5 კვ.მ. ბეტონით მოეწყო რკინა-ბეტონის კვარცხლბეკი, 28,63 კვ.მ. გრანიტის ფილებით მოპირკეთდა გარე პერიმეტრი, 6,84 კვ.მ. გრანიტით მოპირკეთდა კვარცხლბეკი, ქართულ და ინგლისურ ენაზე გრანიტის ფილაზე გაკეთდა ანოტაცია, დამონტაჟდა 2 ცალი გარე განათება (პროექტორი).

წარწერა „ბათუმი“ ბათუმგორაზე (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება) - არ განხორციელებულა.

ნატურის ხე (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება) - გამოცხადდა კონკურსი, რომლის სტატუსი შეწყვეტილია კონკურსი.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 9 313,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 9 298,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები - განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: 1436120 კვ.მ. ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება დღეში 2-ჯერ - 1680260,4 კვ.მ.; 1299350 კვ.მ. ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება დღეში 1-ჯერ - 1520239,5 კვ.მ.; 209090 კვ.მ. ტერიტორიის დამატებით მესამეჯერ დასუფთავება - 83636 კვ.მ.; 277420 კვ.მ. მწვანე საფარის დასუფთავება დღეში ერთხელ - 324581,4 კვ.მ.; 784400 კვ.მ. ეზოების ფართის დასუფთავება თვეში 3-ჯერ - 1647280 კვ.მ.; კონტეინერის გარეცხვა სულ 12 თვეში 10000 ცალი - 10000 ცალი; 326600 კვ.მ სანაპიროს დასუფთავება თვეში სამჯერ (იანვარი-აპრილი, ოქტომბერი-დეკემბერი) - 22862 კვ.მ.; 326600 კვ.მ. სანაპიროს დასუფთავება ყოველდღე სეზონურად, მაისი-სექტემბერი - 163300 კვ.მ..

ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები - განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: ტერიტორიის მორწყვა სეზონურად დღეში ორჯერ (სულ 80 დღე) - 47664 კვ.მ.; ქუჩებისა და მოედნების მორწყვა-მორეცხვა პერიოდულად, მერიის დაკვეთის შესაბამისად - 150 რეისი.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა - 11,7 თვე.

ნარჩენების გატანა - გატანილია 82 057,10 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ანახვეტი.

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება - უტილიზირებულია 81 042 ტ. ნაგავი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.

ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 03 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 14,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 12,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,0%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება) - დაიფარა დავალიანება;

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 01-03 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 3 421,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 881,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ს. ზუბალაშვილის, ლ. ასათიანის და დემეტრე თავდადებულის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა - მოეწყო 27 ცალი მონოლითური სანიაღვრე ჭა, 5903 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის მილი, 11,76 კუბ.მ. მონოლითური დეკორატიული კედელი, 142 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიური, 3 ცალი მონოლითური საკანალიზაციო ჭა და 52 გრძ.მ. საკანალიზაციო პლასტმასის გოფირებული მილი; დაიგო 419 კვ.მ. ფილა და 870 კვ.მ. კორდი; განთავსდა 64 ცალი სხვადასხვა სახის საპარკე სკამი და 10 ცალი სანაგვე ურნა.

ანზანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 1156,9 გრძ.მ. სანიაღვრე არხი, 12 ცალი საკომუნიკაციო ჭა და 5120 კვ.მ. ბეჭდური ბეტონის არმირებული საფარი.

ქობულეთისა და სულაბერიძის ქუჩების კვეთაში არსებული სპორტული მოედნის დემონტაჟი და მის ნაცვლად სკვერის მოწყობა - მოეწყო 265 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 175 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიური, დეკორატიული მოაჯირები 4 წყვილი კარებით და 203 კვ.მ. მწვანე კორდი; განთავსდა 6 ცალი საბავშვო ატრაქციონი, 7 ც. სანაგვე ურნა და 18 ცალი საბაღე სკამი; დამონტაჟდა 6 ც. განათების ბოძი.

მრავალსართულიანი სახლების მიმდებარედ ფანჩატურის მოწყობა - მოეწყო 3,60 კვ.მ რკ/ბეტონის მონოლითური ფილა, 3 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 46,75 კვ.მ. ფანჩატურის ლითონკონსტრუქციები, 32 კვ.მ. გადახურვის კონსტრუქცია, 27,2 კვ.მ. მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, 58,16 გრძ.მ. წყალსაწრეტი მილი, 17 გრძ.მ. ბორდიური და 6 კვ.მ. მწვანე კორდი.

რუსთაველის გამზირი #1-ში მდებარე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარედ არსებული შადრევნის რეაბილიტაცია - დამონტაჟდა 8 ც. ტუმბო; მოეწყო 25 კვ.მ. ფილა, 32 კვ.მ. კორდი, 2 ც. კარადა და 307 გრძ.მ. ელ. კაბელი.

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობა-დაიფარა საოფისე ხარჯები და შეძენილ იქნა სამშენებლო მასალები.

ცენტრალური პარკის დაცვა - ცენტრალური პარკის დაცვისათვის გაწეულ იქნა ხარჯები.

ჭ. ამირეჯიბის ქ. N6-ის მიმდებარედ სკვერის ღობით შემოღობვა - მოეწყო და შეიღება 64,04 კვ.მ. დეკორატიული მოაჯირი.

წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა - არ განხორციელებულა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეში განხორციელებულია სამუშაოები.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 115,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 104,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ჩატარებული იქნა სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გაცელება, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვლა, გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა, სასუქის და მიწის შეტანა, ხე-მცენარეების გადაბელება, ხე-მცენარეების შეხვევა და გახსნა სეზონურად, ხე-მცენარეების შეღებვა ჩაუმქრალი კირით, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათოხნა-გაფხვიერება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა გამოხილვა, მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით).

წარმატებები:

- 7 423 875 კვ.მ გაიცელა მწვანე საფარი, შესაბამისად განხორციელდა მწვანე ბალახის შეგროვება და გატანა;

- დაირგო 6 877 ახლი ხე-მცენარე;

- განხორციელდა 6119 ძირი ხემცენარეს დეკორატიული გასხვლა გაფორმება, 155 ძირი ხე-მცენარის გადაბელება, 271 ძირი დაზიანებული ხე-მცენარის ამოძირკვა,

- ჩაუტარდა სეზონური სამუშაოები სანერგეში არსებულ ხე-მცენარეების ნერგებს;

- 7950 გაიხსნა ძირი ზამთრისათვის შეხვეული ხე-მცენარე;

- 13435 ძირი ხე-მცენარეების ირგვლივ განხორციელდა შემობარვა-გათოხნა-გამარგვლა;

- შეტანილი იქნა საჭიროებისამებრ 394,5 კუბ.მ მიწა;

- განხორციელდა მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით;

- ბორდიულზე გადმოსული კორდის ჩამოჭრა 25014 გრძ.მ.

- 963 439 ერთწლოვანი ყვავილის ჩითილის გამოყვანა და ქალაქში დარგვა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, ფუნქციონირებს სანერგე-სასათბურე მეურნეობა.

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 02 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაფინანსება ხორციელდება საკუთარი სახსრების ფარგლებში.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ბაღის მოვლა-პატრონობის ღონისძიებათა სამუშაოების ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა ეგზოტურ მცენარეთა კოლექციის, ადგილობრივი ფლორისა და კონსერვაციის, ლანდშაფტური განაშენიანებისა და მეყვავილეობის დეპარტამენტების მცენარეთა კოლექციის შენარჩუნება-გაზრდის, მოვლა-პატრონობის მიმდინარე სამუშაოები. ასევე საგანმანათლებლო და ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებები. დადგენილი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა სამეურნეო, აგრო-ტექნიკური ღონისძიებები, დაზიანებული მცენარეების მოწესრიგების, გასხლა-გაფორმების, მცენარეთა ნარჩენების გამოტანა-დასუფთავების და სხვა სამუშაოები. განხორციელდა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ღონისძიებათა პროგრამა.

დადგენილი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა სამეურნეო, აგრო-ტექნიკური, ზამთრის შედეგად დაზიანებული მცენარეების მოწესრიგების, გასხლა-გაფორმების, მცენარეთა ნარჩენების გამოტანა-დასუფთავების და სხვა სამუშაოები. ბაღში დასრულდა მერქნიან მცენარეთა ინვენტარიზაციის სავსე სამუშაოები. ფიტოგეოგრაფიულ

განყოფილებებსა და საკოლექციო ნაკვეთებში მოხდა კოლექციაში არსებული ხნოვანი, დაავადებული და დაზიანებული ეგზოტების აღრიცხვა და მათი ჩანაცვლების მიზნით სანერგეებში და სათბურებში სარგავი მასალის გამოყვანა. სანერგე მეურნეობის სათბურებში დაითესა ექსპედიციების შედეგად შემოტანილი ველური ფლორის სახეობების თესლები, განხორციელდა მცენარეთა ეტიკეტირება, შეგროვდა ადგილობრივი ფლორის სხვადასხვა სახეობის თესლები, მიმდინარეობდა ჰერბარიუმის ფონდის განახლება. აღწერილი იქნა მავნე ორგანიზმებით დაზიანებული და დასენიანებული მცენარეები, რისთვისაც შეძენილი იქნა აგროქიმიკატები და მცენარეთა დაცვის საშუალებები. კვალსათბურები გაიწმინდა, გადაიბარა, გაფხვიერდა და შეტანილი იქნა მინერალური სასუქი, დაიწყო თესვები, ჩატარდა ნიადაგდაცვითი სამუშაოები. მოხდა ბამბუკის პლანტაციაში დაზიანებული ეგზემპლიარების გამოჭრა და შიდა მოხმარებისათვის მარაგების შევსება.

ბაღის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა არსებული მანიშნებლების, საინფორმაციო დაფებისა და ბილბორდების მდგომარეობის მონიტორინგი, შეძენილი და დამონტაჟებულია სხვადასხვა სახის საინფორმაციო დაფები, ბილბორდები და სტიკერები. კოლექციის პოპულარიზაციის და ცნობადობის გაზრდის მიზნით ბოტანიკურ ბაღში გაიმართა კამელიების, ბამბუკების, ვარდების, გირჩების და ხილის გამოფენები. ბაღის ტერიტორიაზე ყოველდღიურად მიმდინარეობდა საპირფარეშოებისა და მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავებითი სამუშაოები. სისტემატურად მიმდინარეობს დაზიანებული მცენარეების გაწმენდა-დამუშავება და პლანტაციიდან ნარჩენი ბიომასის გამოტანა. შეძენილია მულჩი და კორდი, რითაც გალამაზებული იქნა ბაღის სხვადასხვა ტერიტორიები. ზოოპარკის განყოფილებაში არსებული ცხოველები უზრუნველყოფილი იყვნენ ყოველდღიური საკვებითა და სამედიცინო მედიკამენტებით. ბაღში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო ტანსაცმლით. უზრუნველყოფილი იყო ბაღის ვიზიტორთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ელექტროავტობუსებით. ბოტანიკურმა ბაღმა მონაწილეობა მიიღო ქ.თბილისში საქართველოს ეროვნულ ბაღში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში. ბოტანიკური ბაღის ორგანიზატორობით მიმდინარე წლის 12-17 ივნისს გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი "ბოტანიკური ექსკურსიები კოლხეთში" სადაც მოწვეული იყო მსოფლიოს 9 ქვეყნის 22 და ჩვენი ქვეყნი 10-ზე მეტი წარმომადგენელი, რომელთათვისაც უზრუნველყოფილი იყო კვების, სასტუმროს და სატრანსპორტო მომსახურებები.

პროგრამის ფარგლებში ბაღი უზრუნველყოფილია მატერილურ-ტექნიკური საშუალებებით; სანტექნიკური, საკანცელარიო, ელექტრო და სამშენებლო მასალებით, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელით. განხორციელდა ბაღის ტერიტორიაზე უსახური შენობების დემონტაჟი და ნარჩენების გატანის სამუშაოები. უზრუნველყოფილია სატელეფონო, ინტერნეტკავშირის, რადიო-ტელეფონების და სპექტრული არხების გამართული მუშაობა. შეძენილია კომპიუტერები, კონდინციონერი, ფოტოაპარატი, დრონი, ჰერბარიუმის კარადები, გენერატორი. წყლის ტუმბო, მექანიკური ციბრუტი. გოდერძის ალპური ბაღისთვის შეძენილია 2 წყვილი თხილამური. ასევე, განხორციელდა მრავალწლიანი ნარგავების შეძენა.

დასრულდა ნეკერჩხლების პარტერის მოწყობის სამუშაოები, სადაც მოეწყო დასასვენებელი სივრცე, აშენდა ელ.ავტობუსების სალარო და კაფე-ბარი. ასევე, წარმატებით განხორციელდა მწვანე კონცხის საავტომობილო შემოსასვლელის განაპირა ზოლში ღობის რკინა ბეტონით მოწყობის სამუშაოები. დასრულდა გარე გამოყენების

ქსელური კამერების შესყიდვა-მონტაჟის სამუშაოები. სამეცნიერო ბიბლიოთეკას ჩაუტარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ასევე განხორციელდა სამეცნიერო ბიბლიოთეკის ეზოს რკინა ბეტონით კეთილმოწყობის სამუშაოები. ასევე, გოდერის ალპურ ბაღში წარმატებით დასრულდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ადმინისტრაციულ შენობას ჩაუტარდა აივნების და სარდაფის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მოეწყო საპიკნიკე და საკემპინგე სივრცე, დასრულდა სანერგის მშენებლობა, ასევე, მოეწყო ავტოპარკინგი და აშენდა მიმანიშნებელი მყარი კონსტრუქცია.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, შექმნილია დამატებითი სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა, განხორციელებულია საგანმანათლებლო და ბოტანიკური ბაღის პოპულარიზაციის ღონისძიებები.

პრიორიტეტი: განათლება

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 14 707,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 14 518,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

მართვა-ადმინისტრირება - შეუფერხებლად მიმდინარეობდა ადმინისტრაციული საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. გაიზარდა საბავშვო ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება 20%-ით. საბავშვო ბაღის გამგისა და აღმზრდელების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარდა ღია კონკურსი, რის საფუძველზეც უზრუნველყოფილი იქნა სამუშაო ადგილებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისათვის. თამარის დასახლებაში ექსპლუატაციაში შევიდა ახალი 7 ჯგუფიანი საბავშვო ბაღი, რომელიც მომსახურებას უწევს 245 აღსაზრდელს. აღნიშნული ბაღის ამოქმედებით მთლიანად დაკმაყოფილდა თამარის დასახლების მოთხოვნა საბავშვო ბაღებზე. 2018 წლის ოქტომბრიდან აღსაზრდელთა ადგილების რაოდენობა 8070 მდე გაიზარდა.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - საბავშვო ბაღებში დაინერგა კვების ახალი სტანდარტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულებების ტექნიკურ რეგლამენტთან“. ჩატარებულია მიწოდებული კვების პროდუქტების გეგმიური და მოულოდნელი ლაბორატორიული კვლევები.

თანამშრომელთა ტრენინგები - ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული მეთოდისტების

ტრენინგები. ჩატარდა პორტიჯის ასოციაციის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები ინკლუზიური განათლების შესახებ.

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - ჩატარდა სახურავის აღდგენითი სამუშაოები შემდეგ საბავშვო ბაღებში: №3,4,5,8,11,13,14,17,18,20,22,26. №23 და №24 საბავშვო ბაღებში ჩატარდა წყლის ავზების მოწყობის და შიდა სარემონტო სამუშაოები. სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციით გაფართოვდა №3, №4, №15 და №16 საბავშვო ბაღების სამზარეულოები და მოერგო მოქმედ ევროპულ სტანდარტებს. ასევე განხორციელდა №№1,2,4,6,7,8,9,10,11,14,17,20,22,23,25,26,28,29 საბავშვო ბაღების ლოკალური რემონტები.

მიღწეული შედეგები:

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისად ფუნქციონირებს.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02-04 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 730,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 260,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 75,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ (ფერადის ქუჩაზე) N27 საბავშვო ბაღის საძირკვლების გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 215 კვ.მ. თეთრი მეტალოპლასტმასის ფანჯრების ბლოკები, 53,10 გრძ.მ. ლითონის მოაჯირები, 22,10 კვ.მ. მოზაიკური იატაკი, 77,4 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 878 კვ.მ. დეკორირებული ფილა, 264 გრძ.მ. ბორდიური და 212 კვ.მ. კორდი. (დასრულდა)

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - ბეტონის მოსამზადებელ ფენის ქვეშ შეტანილ იქნა 100 კბ.მ. ქვიშა ხრეშოვანი ნარევი; საძირკვლის ქვეშ მოეწყო 92,90 კბ.მ. ბეტონის მონოლითური საფუძველი; მოეწყო 269 კბ.მ. ბეტონის ხიმინჯები; მოეწყო 184 კბ.მ. რკინა ბეტონის მონოლითური ფილა.

სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე. საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - ურების დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები - არ განხორციელებულა. წინა პერიოდის დავალიანების



დაფარვა წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა წინა პერიოდის
დავალიანების დაფარვა .

➤ **მიღწეული შედეგები:**

რეაბილიტირებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და აშენებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ახალი შენობა.

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 40,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 40,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში - „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ 12/02/2019 წ. გამოიცა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N 144. მ.წ. მარტის თვეში სულ შემოვიდა 31 (ოცდათერთმეტი) განაცხადი. ამათგან ერთი არ აკმაყოფილებდა ღონისძიების დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის გადაწყვეტილებით (კომისიის სხდომის ოქმი №1, 10.04.2019წ.), ქვეპროგრამის ბენეფიციარებად შეირჩნენ შემდეგი ფიზიკური პირები: სალომე შავაძე; ნინო ჯინჭარაძე; ნინო მიქელაძე; თათია ნაჩაიძე; ნათია აბულაძე; მეგი გოგუაძე; მეგი ვაჩიბერიძე; მაყვალა შავაძე; მარიამ ქათამაძე; მარიამ ფარტენაძე; მარიამ დავითაძე; მაკა ვაშაკიძე; ლელა გორაძე; ნინო ჩხაიძე; ლაშა ქათამაძე; ლანა ბასილაძე; ლადო ასამბაძე; იზაბელა ჭანკურიძე; ზურაბ შამილიშვილი; ზაურ ჩხაიძე; დიანა ბერიძე; გიორგი კომახიძე; გელა გერაძე; ბექა ჯაშიანა მეგრელიშვილი; ანა კობალაძე; ანა ბერიძე; ანა ბაგრატიონი; თამთა ქაჯაია და ანრი ბაგრატიშვილი, რომლებმაც შეძენილი პრაქტიკული და თეორიული უნარ-ჩვევების საფუძველზე, ბათუმში ტურიზმის ბიზნესში მაღალი კორპორაციული კულტურის ექსპორტისა და სამომავლოდ დასავლეთ სტანდარტთან დაახლოების მიზნით, გაიარეს სტაჟირება გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში (ბერლინი, მიუნხენი,ჰამბურგი) 07 ივნისიდან 1 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ბათუმელი ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომია უცხოეთში სტაჟირების გავლა და პრაქტიკული უნარების განვითარება.

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 100,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 100,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საანგარიშო პერიოდში „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ 12/02/2019 წ. გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის N146 ბრძანება, რომლის საფუძველზეც 4-29 მარტის ჩათვლით წარმოებდა განაცხადების მიღება. აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 114 სტუდენტის განაცხადი, რომელთაგან 8 (რვა) განაცხადი არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს. 106 სტუდენტიდან, ქვეპროგრამის შესაბამისად, სტიპენდია გაიცა 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო 50 სტუდენტზე. დოკუმენტაციის განხილვისა და შესწავლისას გაირკვა, რომ პრიორიტეტული მიმართულებებით განაცხადი შემოიტანა 11-მა სტუდენტმა (მშენებლობის მიმართულებით - 3, არქიტექტურის მიმართულებით - 7, განათლების მეცნიერებების მიმართულებით - 1). აღნიშნული განაცხადები სრულად აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, ამ 11 (თერთმეტი) სტუდენტზე გაიცა ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია. დარჩენილი 39 (ოცდაცხრამეტი) ვაკანსია შეივსო სტუდენტებით, რომელთაც 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო აკადემიური შედეგები გააჩნდათ, კერძოდ, 98,62 ქულა და მეტი, ყველა მათგანზე გაიცა ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მეორე ეტაპის განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2019 წლის 1-31 ოქტომბრის ჩათვლით.

"აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 95 (ოთხმოცდათხუთმეტი) სტუდენტის განაცხადი, რომელთაგან 6 (ექვსი) განაცხადი არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს (იხ. დანართი 1). 89 (ოთხმოცდაცხრა) სტუდენტიდან, ქვეპროგრამის შესაბამისად, სტიპენდია გაიცა 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო 50 სტუდენტზე. პრიორიტეტული მიმართულებებით განაცხადი შემოიტანა 12-მა სტუდენტმა (მშენებლობის მიმართულებით - 5, არქიტექტურის მიმართულებით - 7). აღნიშნული განაცხადები სრულად აკმაყოფილებენ ქვეპროგრამით „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, ამ 12 (თორმეტი) სტუდენტზე გაიცა ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია. დარჩენილი 38 (ოცდათვრამეტი) ვაკანსია შეივსო სტუდენტებით, რომელთაც 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო აკადემიური შედეგები გააჩნდათ, კერძოდ, 99,71 ქულა და მეტი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სტიმულირებულია ბათუმელ სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრება.

საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 30,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 27,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

საანგარიშო პერიოდში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" 20/02/2019 წ. გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის N 181 ბრძანება. ღონისძიების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების მხარდაჭერის ფარგლებში სულ შემოვიდა 6 განაცხადი, დაფინანსდა ყველა მათგანი, მათ შორის ნატო ჯაზნიძე; ირინე თავაძე; ლილით მელოიანი-ფუტკარაძე და ირინა ვაშაყმაძე, რომლებიც 9-15 მაისს სტაჟირების გავლის მიზნით იმყოფებოდნენ ხორვატიაში, ქალაქ პორეჩში, მეორე საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით თემაზე „ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე ევროკავშირთან“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სპეციალისტებს შორის პროფესიული კავშირების დამყარება, გამოცდილების გაზიარება, პუბლიკაციის გამოქვეყნება. სტაჟირების გავლა ECTS 5 კრედიტის მოცულობით; ბენეფიციარი ნათია აბაშიძე მ.წ. 29 ივლისიდან 16 აგვისტოს ჩათვლით, იმყოფებოდა ბელგიაში ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ზაფხულის საერთაშორისო სტაჟირებაზე, ხოლო ბადრი გეგზაია, მ.წ. 24-28 ოქტომბრის ჩათვლით იმყოფებოდა, ევროპულ უნივერსიტეტებში (ქვეყნები:სლოვაკეთი-უნგრეთი-ჩეხეთი-გერმანია, ქალაქები: ბრატისლავა, ბუდაპეშტი, პრაღა დრეზდენი) სტაჟირების გავლის მიზნით (სასწავლო კურსი „პედაგოგიური დიზაინი ევროპული ტრადიციები და ინოვაციები“).

ღონისძიების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 8 განაცხადი, აქედან დაფინანსდა 6 ბენეფიციარი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მიზნით დაფინანსებულ იქნენ შემდეგი პირები: გიორგი აბუსელიძე მ.წ. 8-12 მაისს იმყოფებოდა ლატვიაში, ქალაქ ჯელგავაში; ნიკოლოზ მეგრელიშვილი მ.წ. 2-7 აპრილს იმყოფებოდა უკრაინაში, ქალაქ ტერნოპოლში; ლაშა ბერიძე მ.წ. 19-22 ივნისს იმყოფებოდა თურქეთში, ქალაქ სპარიაში; ია მოწყობილი და მზია დიასამიძე მ.წ. 9-15 მაისს იმყოფებოდნენ ხორვატიაში ქალაქ პორეჩში, ხოლო გიორგი ქათამაძე მ.წ. 25-26 ოქტომბერს იმყოფებოდა გერმანიაში, ქალაქ დრეზდენში.

➤ მიღწეული შედეგები:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთათვის ხელმისაწვდომია უცხოეთში სტაჟირება და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა.

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 11,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 10,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,5%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები ქ. ბათუმის N13 საჯარო სკოლის 10 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფა (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება).

2018-2019 სასწავლო წელს, პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იყო მომსახურება 100 სასწავლო დღეზე, იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურება ხორციელდებოდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის, მომსახურების გრაფიკი დამოკიდებული იყო მათ ყოველდღიურ საჭიროებაზე. შესაბამისად, მოსწავლეთა მოთხოვნის გათვალისწინებით, მომსახურება პირველ ეტაპზე, ნაცვლად 100-სა, განხორციელდა 98 სასწავლო დღეზე. ხოლო, 2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრში მომსახურება განხორციელდა 74 სასწავლო დღეზე. "

➤ მიღწეული შედეგები:

გაზრდილია სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 387,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 371,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,0%;

➤ პროგრამის აღწერა:

ეზოს ფეხბურთი - ქალაქის 10 ადმინისტრაციულ უბანში ჩამოყალიბდა საფეხბურთო გუნდები ორ ასაკობრივ კატეგორიაში, სულ 20 გუნდი ვაჟებში და 2 გუნდი გოგონებში, რომელშიც გაწევრიანებული არიან 2004-2009 წლებში დაბადებული მოზარდები. გუნდებს დაენიშნათ მწვრთნელები, ვარჯიშები მიმდინარეობს ინტენსიურად. ჩატარდა საგაზაფხულო ლიგა, რომელიც მიმდინარეობდა 01.03.2019- დან 26.05.2019 ჩათვლით. გადაეცათ სიგელები და თასები, როგორც გამარჯვებულ გუნდებს, ასევე ნომინაციაში გამარჯვებულებს. ამ ეტაპზე სისტემატიურად მიმდინარეობს ვარჯიშები. 2018 წელს, პროექტმა „ეზოს ფეხბურთი“ მოიპოვა გრანტი 5000 ლარის ოდენობით, შევიძინეთ ბურთები, რომლებიც გადავეცით ღონისძიებაში მონაწილე ადმინისტრაციულ ერთეულებს. გეგმის მიხედვით, ეზოს ფეხბურთის გუნდები ახორციელებდნენ სასწავლო-საწვრთნო პროცესს, გუნდებს შორის იმართებოდა

ამხანაგური შეხვედრები, სისტემატიურად მიდიოდა სავარჯიშო პროცესის მონიტორინგი, რაზეც ფოტო-მასალა და ინფორმაცია იდებოდა ბათუმის სპორტული ცენტრის სოციალურ ქსელში (ფეისბუქი); 19.10.2019-07.12.2019 პერიოდში, ქ. ბათუმში ჩატარდა ეზოს ფეხბურთის საშემოდგომო ლიგა. ჯამში ჩატარდა 44 შეხვედრა, მონაწილეობა მიიღო 300-მდე მოქალაქემ. გამოვლინდა გამარჯვებული გუნდები, რომლებსაც გადაეცათ თასები. 20-23 დეკემბერს, პროექტ „ეზოს ფეხბურთის“ გამარჯვებული 50 მონაწილე გაემგზავრა სამი ღამით ბაკურიანში.

ქუჩის კალათბურთი (Street ball) - 27-28 აპრილს ჩატარდა საგაზაფხულო ლიგა. მონაწილეობა მიიღო 18-მა გუნდმა, სადაც ჩართული იყო 120-ზე მეტი მონაწილე. გამოვლინდა გამარჯვებული გუნდები, რომლებსაც გადაეცათ სიგელები და პრიზები. პირველი ადგილის მფლობელ მონაწილეს გადაეცა სპორტული მაღაზიის 1300 ლარიანი ვაუჩერი, მეორე ადგილის მფლობელს 900 ლარიანი ვაუჩერი, მესამე ადგილის მფლობელს 600 ლარიანი ვაუჩერი, ხოლო საუკეთესო მოთამაშეს 400 ლარიანი ვაუჩერი; 28-29 სექტემბერს, ევროპის მასობრივი სპორტის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ქუჩის კალათბურთის (სტრიტბოლის) საშემოდგომო ლიგა 18 წლამდე მოზარდებში; რეგისტრაცია მიმდინარეობდა ონლაინ, ბათუმის სპორტული ცენტრის სოციალურ ქსელში (ფეისბუქზე); დარეგისტრირდა 20 გუნდი, 130 მონაწილე. შეხვედრები ქართულ-ამერიკული სკოლის სპორტ-დარბაზში გაიმართა; ტურნირი ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა და საერთო ჯამში ჩატარდა 20 შეხვედრა; გამარჯვებულ გუნდს გადაეცა 1300 ლარიანი ვაუჩერი სპორტული მაღაზიიდან, მეორე ადგილს - 900 ლარიანი ვაუჩერი, მესამე ადგილს - 600 ლარიანი ვაუჩერი, ხოლო საუკეთესო მოთამაშეს - 400 ლარიანი ვაუჩერი;

მინი-ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო უწყებებს შორის - მინი-ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო უწყებებს შორის მიმდინარეობდა 28.10.2019-29.11.2019 პერიოდში. ტურნირში მონაწილეობდა 8 გუნდი (100-მდე მონაწილე), ჩატარდა 16 შეხვედრა, გამოვლინდა გამარჯვებული გუნდები და ნომინაციაში გამარჯვებული სპორტსმენები, გადაეცათ სიგელები, მედლები, თასები, პრიზები და სპეციალური ფასიანი ვაუჩერები. პირველ ადგილზე გასულ გუნდს გადაეცა სპორტული მაღაზიის 3300 ლარიანი ვაუჩერი, მეორე ადგილზე გასულს 2200 ლარიანი ვაუჩერი, მესამე ადგილის მფლობელს 1100 ლარიანი ვაუჩერი, ხოლო ნომინაციაში გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ 4 ცალი 250 ლარიანი ვაუჩერი.

ქართული ჭიდაობა - ღონისძიება ჩატარდა 5 ეტაპად ბულვარში, ანზანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე, მონაწილეობა მიიღო 413-მა დაინტერესებულმა პირმა, რვა წონით კატეგორიაში. პირველ-მეორე-მესამე ადგილებზე გასულებს გადაეცათ თასები, მედლები, სიგელები და მძიმე წონაში ცოცხალი ცხვარი. მონაწილეობა მიიღეს, როგორც აჭარის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, ასევე წარმომადგენლებმა ხაშურიდან, თბილისიდან, ცაგერიდან, ჭიათურიდან, ზესტაფონიდან, ქუთაისიდან, წალკიდან და კახეთიდან.

ქვიშის რაგბის ღია ფესტივალი - 24-25 აგვისტოს გაიმართა ქვიშის რაგბის ფესტივალი 18 წლამდე ასაკის მოყვარულ სპორტსმენთა შორის, მონაწილეობდა 7 გუნდი, სადაც ჩართული იყო 80-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, მედლები და სპორტული მაღაზიის ფასიანი ვაუჩერები.

ქვიშის ფრენბურთის ღია ფესტივალი - 2019 წლის 24-25 აგვისტოს ჩატარდა ქვიშის ფრენბურთის ფესტივალი. მონაწილეობა მიიღო 16-მა ვაჟების და 7-მა გოგონების

გუნდმა. საერთო ჯამში, მონაწილეობა მიიღო 46-მა სპორტსმენმა. გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოყვარული სპორტსმენები. რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, მედლები და სპორტული მაღაზიის ფასიანი ვაუჩერები.

"ჩოგბურთის ფესტივალი - 2019 წლის 28-29 სექტემბერს ჩატარდა ჩოგბურთის ფესტივალი. მონაწილეობა მიიღო 15-მდე მონაწილემ. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, მედლები და სპორტული მაღაზიის ფასიანი ვაუჩერები.

"

სპორტული ფესტივალი - მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, ჭადრაკი - 2019 წლის 24-25 სექტემბერს ევროპის სპორტული კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ფესტივალი სამ სპორტის სახეობაში ერთდოულად; მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა მოყვარულმა სპორტსმენმა; გამოვლინდა გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მონაწილეები, დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებით, თასებით და სპორტული მაღაზიის ფასიანი ვაუჩერებით;

მძლეოსნური გარბენი - 2019 წლის 23 სექტემბერს ჩატარდა მძლეოსნური გარბენი ზღვისპირა ზოლის პლომინატზე ვაჟებსა და გოგონებს შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო ჯამში 50-მდე მონაწილემ. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებით, თასებით და სპორტული მაღაზიის ფასიანი ვაუჩერებით;

ველო გარბენი - 2019 წლის 26 სექტემბერს ჩატარდა ველო-გარბენი ზღვისპირა ზოლის პლომინატზე. მონაწილეობდა 26 მოყვარული ველოსპორტსმენი, გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, სიგელები, მედლები, პრიზები და სპორტული მაღაზიის ფასიანი ვაუჩერები.

ვეტერანთა შორის სპორტული თამაშები - 2019 წლის 8-13 მარტს ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება ვეტერან ქალბატონებს შორის - შაში, ნარდი, დარტსი და მაგიდის ჩოგბურთი. შაშიში მონაწილეობა მიიღო 16-მა მონაწილემ. საპრიზო ადგილზე გასულები დაჯილდოვდნენ ფასიანი ვაუჩერებით. ნარდში მონაწილეობა მიიღო 23-მა მონაწილემ, საპრიზო ადგილზე გასულები დაჯილდოვდნენ ფასიანი ვაუჩერებით. დარტსში მონაწილეობა მიიღო 19-მა მონაწილემ. საპრიზო ადგილზე გასულები დაჯილდოვდნენ ფასიანი ვაუჩერებით. მაგიდის ჩოგბურთში მონაწილეობა მიიღო 16-მა მონაწილემ, საპრიზო ადგილზე გასულები დაჯილდოვდნენ ფასიანი ვაუჩერებით. ვეტერანებს შორის ღონისძიება, რომელიც გაიმართა დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 19 მაისს დაიწყო (ნარდი, შაში, დარტსი, მაგიდის ჩოგბურთი) და დასრულდა 26 მაისს. მონაწილეობას ღებულობდა 100-ზე მეტი მონაწილე. საპრიზო ადგილებზე გასულ ვეტერანებს გადაეცათ ფასიანი ვაუჩერები და სიგელები.

სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის - ღონისძიება ჩატარდა 2019 წლის 10-11 დეკემბერს, მონაწილეობა მიიღო 80-მდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა, ღონისძიება ითვალისწინებდა შეჯიბრს ამპუტანტთა ფეხბურთში, სმენა-დაქვეითებულთა ფეხბურთში, შაშიში, ნარდში, დარტსში და მკლავჭიდაობაში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, სიგელებით, მედლებით და სპორტული მაღაზიის ფასიანი ვაუჩერებით. ღონისძიების მიზანია, ამ ადამიანების ინტეგრირება საზოგადოებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესი.

აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა - კვირაში ორჯერ, შაბათ-კვირას მიმდინარეობდა სავარჯიშო პროცესი; ვარჯიშის ხანგძლივობა 1 საათი; მოეწყო ღონისძიებაში ჩართული მოზარდების დასწრება დელფინარიუმში; 29 დეკემბერს ჩატარდა გასართობი სახის ღონისძიება, მასში ჩართული ბავშვები იმყოფებოდნენ გასართობ ცენტრში, მათ იქვე გადაეცათ 25 ლარიანი ბრენდირებული სწრაფი კვების ობიექტის ფასიანი ვაუჩერები და ასევე სიგელები და მედლები.

სასკოლო ოლიმპიადი: 2019 წლის 13 მაისიდან 11 დეკემბრამდე მიმდინარეობდა სასკოლო ფესტივალი. ჩატარდა 8 სხვადასხვა ღონისძიება. წარმოგიდგენთ ღონისძიებების ჩამონათვალს: მინი ფეხბურთი, ქუჩის კალათბურთი, მხიარული სტარტები, მძლეოსნური გარბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ფრენბურთი, ხელბურთი. მინი ფეხბურთში მონაწილეობა მიიღო 40 სკოლიდან 45-მა გუნდმა, ამათგან 40 ვაჟების, ხოლო 5 გოგონების გუნდი, ჯამში 450 სპორტსმენი. ქუჩის კალათბურთში მონაწილეობა მიიღო 30 სკოლიდან 37 გუნდმა, ამათგან იყო 30 ვაჟების და 7 გოგონათა გუნდი, ჯამში 148 მონაწილე. მხიარულ სტარტებში მონაწილეობდა 31 გუნდი, ჯამში 372 სპორტსმენი. მძლეოსნურ გარბენში მონაწილეობდა 13 ვაჟების და 8 გოგონების გუნდი, ჯამში 84 მონაწილე. მაგიდის ჩოგბურთში მონაწილეობდა 9 ვაჟების და 5 გოგონების გუნდი, ჯამში 56 მონაწილე. ბადმინტონში მონაწილეობა მიიღო 9 ვაჟების და 6 გოგონების გუნდი, ჯამში მიიღო 60 მონაწილე, ფრენბურთში მონაწილეობდა 13 ვაჟების და 9 გოგონების გუნდი, ჯამში 220 მოყვარული სპორტსმენი. ხელბურთში მონაწილეობდა 7 ვაჟების და 7 გოგონების გუნდი, ჯამში 140 მონაწილე. გამოვლინდა გამარჯვებული გუნდები და საუკეთესო მოთამაშეები. გადაეცათ სიგელები, მედლები, თასები და სპორტული მაღაზიის ფასიანი ვაუჩერები.

ბათუმის ღია ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - ღონისძიება ჩატარდა 1-3 მარტს. მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა მოყვარულმა სპორტსმენმა 8 წონით კატეგორიაში; გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ სიგელებით, პრიზებით და ფასიანი ვაუჩერებით;

ბათუმის ღია ფესტივალი შოტოკან კარატე-დოში ჭაბუკთა და ვეტერანთა შორის: 7-9 ივნისს ჩატარდა ღია ფესტივალი შოტოკან კარატე დოში ჭაბუკთა და ვეტერანთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო 120-ზე მეტმა მონაწილემ 6 წონით კატეგორიაში, გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ მედლები, სიგელები, თასები და ფასიანი ვაუჩერები.

ფრანების ფესტივალი - 28-29 სექტემბერს, ბათუმის სანაპიროზე, ბულვარში გაიმართა ფრანების ფესტივალი, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდა 100-მდე სხვადასხვა სახისა და ზომის ფრანების გაშვებასთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა მასტერკლასში და ესიამოვნათ ფრანების შოუთი .

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა.

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 250,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 248,7 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 99,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 22 მარტის №24 განკარგულებით დაამტკიცა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების განხორციელების, დაფინანსების, ანგარიშგების წესისა და პირობების შესახებ დებულება.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის №348 ბრძანებით დამტკიცდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დასაფინანსებელი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების შესარჩევად სამუშაო ჯგუფის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“.

3. 28-31 მარტს გაიმართა „დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონის, სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ორგზის მსოფლიო თასის მფლობელის მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის“. დაფინანსდა საანგარიშო პერიოდის მეორე კვარტალში. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 9-15 უცხოელი და 24 ადგილობრივმა სპორტულმა სუბიექტმა. ტურნირი მოიცავდა შემდეგ ხარჯებს: უცხოელი სპორტული დელეგაციების მიღება, დაბინავება და სპორტსმენთა აკრედიტაცია; ტურნირის მსაჯთა სემინარ-კონსულტაცია; ბრიფინგის მოწყობა, კენჭისყრა; გახსნის ცერემონიალი, გამარჯვებულთა დაჯილდოება, დახურვა და ტურნირის ორგანიზებისათვის საჭირო სხვა თანმდევ მომსახურებას.

4. 3-13 აპრილს ბათუმმა უმასპინძლა უმნიშვნელოვნეს ევროპის ჩემპიონატს ძალოსნობაში. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა და ადგილობრივმა სპორტულმა სუბიექტებმა. 39 ქვეყნის 1200 მონაწილე. ტურნირის ხარჯთაღრიცხვა მოიცავდა მოსათელ დარბაზში (პრიალა მდფ, მათი დსპ)იატაკის შეფუთვისა და განათების აპარატურის და ფერმების იჯარის (2000 ლუქსი) თანხას.

5. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორ ორგანიზაციებთან გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები: №01/03 ხელშეკრულება ა(ა)იპ „აჭარის სპორტული ცენტრის ფედერაციასთან“ A კლასის ტურნირი „BATUMI OPEN“ - ორგანიზების თაობაზე; №01/04 ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქართველოს უშუს ფედერაციასთან“ „ბათუმის ღია საერთაშორისო უშუ-კუნგფუს ჩემპიონატის“- ორგანიზების თაობაზე; №01/05 ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულ ფედერაციასთან“ „რ. სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში“- ორგანიზების თაობაზე; №01/06 ხელშეკრულება ა(ა)იპ „აჭარის ა.რ. ფრენბურთის (საპლაჟო ფრენბურთი) ფედერაცია“ სთან „აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (EEVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში (მამაკაცები, ქალები)“ ორგანიზების თაობაზე.

6. 06-07 ივლისს ჩატარდა და საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა A კლასის ტურნირი „BATUMI OPEN“. ტურნირის ხარჯთაღრიცხვა მოიცავდა მოწვეული უცხოელი მსაჯების მგზავრობისა და სასტუმრო მომსახურების ხარჯებს, მიიღო 720 ადგილობრივმა და 80 უცხოელმა სპორტულმა სუბიექტმა;

7. 02-07 სექტემბერს ჩატარდა და საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა რ. სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში“. ტურნირის ხარჯთაღრიცხვა მოიცავდა უცხოელი სპორტსმენების სასტუმრო



მომსახურებისა და ტრანსპორტირების ხარჯებს. მონაწილეობა მიიღო 50 უცხოელმა და 12 ადგილობრივმა სუბიექტმა;

8. 06-11 სექტემბერს ჩატარდა და საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა „ბათუმის ღია საერთაშორისო უშუ-კუნგფუს ჩემპიონატი“. ტურნირის ხარჯთაღრიცხვა მოიცავდა მსაჯების სასტუმრო მომსახურების, დაცვით უზრუნველყოფისა და ლაივ რეჟიმის(სტრიმ ფრეჟიმი) ვიდეო კამერების იჯარის ხარჯებს. მონაწილეობა მიიღო 123 უცხოელმა და 80 ადგილობრივმა სპორტულმა სუბიექტმა;

9. 05-09 სექტემბერს ჩატარდა და საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა „აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (EEVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში (მამაკაცები, ქალები)“. ტურნირის ხარჯთაღრიცხვა მოიცავდა ტურნირის საორგანიზაციო, სასტუმროსა და ტრანსპორტირების ხარჯებს. მონაწილეობა მიიღო 46 უცხოელმა და 10 ადგილობრივმა სპორტულმა სუბიექტმა, მათ შორის 24 ქალი, 32 კაცი."

➤ მიღწეული შედეგები:

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების და ადგილობრივი სპორტსმენების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 50,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 47,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

"საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის სამი სხდომა, სადაც განხილული იქნა ბენენეფიციართა განაცხადები. კომისიის შეფასების შედეგად დაფინანსება ჯამში მოიპოვა ექვსმა სპორტსმენმა.

გამოიცა ბრძანებები და დაფინანსდა 6 სპორტსმენი.

➤ მიღწეული შედეგები:

მხარდაჭერილი და სტიმულირებულია წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენები/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდები და მათი მწვრთნელები.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 4 838,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4 698,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შედეგი სპორტული კლუბები:

შპს „სარაგბო კლუბი „ბათუმი“ - ძირითადი გუნდი 2 წრის შედეგით საქართველოს ჩემპიონია. ასაკობრივი ჯგუფების „ბ“ ჯგუფის ლიგის გუნდმა მე-14 ადგილით დაასრულა 2018-2019 წლის სეზონი, ხოლო საფესტივალო ასაკის ბავშვების ფესტივალები მიმდინარეობდა კლუბის აღსაზრდელების წარმატებებით. სარაგბო კლუბ „ბათუმის“ უმაღლესი გუნდის 7 მორაგბე ირიცხება ეროვნულ ნაკრებში და მიემგზავრება მსოფლიოს თასზე. სარაგბო კლუბ ბათუმის ძირითადი გუნდის პროფესიონალი სპორტმენების რაოდენობა შეადგენს 31 მორაგბეს, აქედან ეროვნულ ნაკრებში თამაშობს 3 მორაგბე, 2019-2020 წლის სეზონზე გუნდმა გაირა მოსამზადებელი ეტაპი, გამართა წინა სასეზონო ორი ამხანაგური მატჩი, ქუთაისის აიასა და ქუთაისის არესთან, ასევე ჩაატარეს 3 კალენდარული მატჩი, 1 მოიგება, 1 ფრე და ერთი წაგება.

შპს ხელბურთის კლუბი „ბათუმი“ 1. ხელბურთის კლუბის „ბათუმი“ ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა:

ა) გაიცა ხელფასები 3 ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალზე, 14 სპორტსმენზე და 2 ძირითადი გუნდის მწვრთნელზე;

ბ) საქართველოს ხელბურთის 29-ე ეროვნულ ჩემპიონატში კლუბის წევრების მონაწილეობის მიზნით, (ვინაიდან ჩემპიონატი დაყოფილი არის ორ ზონად დასავლეთი და აღმოსავლეთი) 19 პირი მივლინებული იყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, წყალტუბო). ბათუმის გუნდი საქართველოს ჩემპიონია და საქართველოს თასის მფლობელი;

გ) კლუბმა შეისყიდა სპორტული ფორმები, როგორც ძირითადი გუნდისთვის, ასევე ასაკობრივი გუნდის გოგონებისთვის;

დ) კლუბის ძირითადი გუნდი რეგულარულად ვარჯიშობდა შპს „სპორტ პლუსის“ დარბაზში;

ე) ბათუმის გუნდი „ბსბ“ 13 სპორტსმენისა და 2 მწვრთნელის შემადგენლობით იმყოფებოდა ლუქსემბურგში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ევროპის თასის გატამაშების პირველ რაუნდში.

2. ხელბურთის კლუბის „ბათუმი“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის მიზნით:

ა) გაიცა ხელფასები 5 მწვრთნელზე;

ბ) ბათუმის კლუბს ჰყავს გოგონათა ორი (2002-03; 2004-05წწ) და ვაჟთა ორი (2002-03; 2004-05წწ) ასაკობრივი გუნდი, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს 2019-19 წლების ახალგაზრდულ (2002-03; 2004-05წწ) ჩემპიონატებში. ეს ჩემპიონატებიც იყოფა ორ ზონად (დასავლეთი და აღმოსავლეთი) და ტარდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (თბილისი, წყალტუბო, სენაკი). ვაჟთა(02-03წწ), ასევე გოგონათა(04-05წწ) გუნდები მეოთხე ადგილზეა;

გ) კლუბის ახალგაზრდული გუნდები გადიან რეგულარულ ვარჯიშებს;

დ) 2004-05წწ დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა გუნდი ოქტომბრიდან დაიწყო ახალი სეზონი და პირველი თამაში გაიმართა 6 ოქტომბერს ქალაქ სენაკში.

3. 2002-03 წწ ვაჟებიდან 6 ახალგაზრდა მიიწვეული იყო საქართველოს ნაკრებში. შპს „ფრენბურთის კლუბი ბათუმი“ - საქართველოს ოცდამერვე ეროვნულ ჩემპიონატში ვაჟთა გუნდმა მოიპოვა მეორე საპრიზო ადგილი, ხოლო გოგონებმა მესამე საპრიზო ადგილი. ასაკობრივ ჯგუფებში 2003-2004 წლებში დაბადებულმა ვაჟთა გუნდმა მოიპოვა პირველი საპრიზო ადგილი, ხოლო გოგონებმა მეორე საპრიზო ადგილი. აჭარის ღია ჩემპიონატში ქვიშის ფრენბურთში გოგონებმა პირველი და მეორე საპრიზო ადგილები მოიპოვეს. სკოლებს შორის შეჯიბრებაზე ფრენბურთში ასაკობრივ ჯგუფში მოიპოვეს

პირველი საპრიზო ადგილი. აპრილში დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ფინალური შეხვედრები ვაჟებსა და გოგონებს შორის. ვაჟებმა დაიკავეს მეორე და გოგონებმაც ასევე მეორე ადგილი. გუნდმა საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. უნგრეთში გამართულ „მსოფლიო საერთაშორისო ტურნირში ინტერსპორტი“ გოგონათა გუნდმა აიღო მეორე ადგილი. ბულგარეთში გამართულ „საერთაშორისო ტურნირში „შავი ზღვა 2019“ ბულგარეთში გოგონათა გუნდმა აიღო მესამე ადგილი. აზერბაიჯანში გამართულ „საერთაშორისო ტურნირი „ბაქოს თასი 2019 წ.“ ვაჟთა გუნდმა აიღო მესამე ადგილი.

ივლისიდან მიმდინარეობდა ვარჯიშები, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატის პირველი ტურისთვის, რომელიც გაიმართა დეკემბერში. "

შპს „საკალათბურთო კლუბი ბათუმი 2010" - საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული იყო 15 თამაში, აქედან 8 თამაში გაიმართა ქ.ბათუმში, ხოლო დანარჩენი 7 თამაში იყო გასვლითი. საერთო მონაცემებით გუნდს ჰქონდა 8 მოგება და რეგულარულ ჩემპიონატში დაიკავა მე-7 ადგილი. იყო დაბრკოლებები რომელიც აისახა გუნდის აქტივობაზე, დაზიანდა ოთხი წამყვანი მოთამაშე (თამაშის პერიოდში მიიღო სხვადასხვა ტრამვეები) და შესაბამისად აისახა შედეგზე. ივლისი აგვისტო გუნდი იმყოფებოდა შვებულებაში. სექტემბრიდან განახლდა ვარჯიშები.

შპს „წყალბურთის კლუბი „ბათუმი" - მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. თბილისში მივლინებით გაგზავნილი იქნა 14 წყალბურთელი და 2 მწვრთნელი. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს ასევე 2003-2004 წ გუნდმა.

საანგარიშო პერიოდში სპორტსმენებს უტარდებოდათ საწვრთნელი ვარჯიშები. კლუბმა მიიღვ მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირში ""პეტრე ბრეუსის თასი"", რომელშიც დაიკავეს პირველი ადგილი. კლუბის წევრები ემზადებიან საქ. ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად."

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა".

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 358,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 355,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

კლუბის წევრებმა შეუფერხებლად მიიღეს ოთხივე კვარტალში ყოველთვიური შრომის ანაზღაურება. ინდივიდუალური მომზადება გაიარა WGM მირანდა მიქაძემ, ნორჩმა წევრებმა ირაკლი ახვლედიანმა და ნატა ჯიბუტმა დიდოსტატ დავით ჯოჯუასთან. აჭარის ასაკობრივ ჩემპიონატებში ყველა ასაკობრივ კატეგორიაში წარმატებით ასპარეზობდნენ კლუბი ნონას წევრები. მაღალი შედეგებით იასპარეზეს აგრეთვე რაპიდ ტურნირში "შოთა ჭურკვეიძის თასი" (23-24.02.2019) და ბლიც ტურნირში "თენგიზ ხალვაშის თასი" (25.02.2019); გაცვლითი პროგრამების ფარგლებში 02-09.01.2019 კლუბის ყველაზე წარმატებული წევრები და მწვრთნელები ეწვიენ ვილნიუსის (ლიტვა) საჭადრაკო კლუბ "იოდა ბალტას". დრუსკინინკაიში მონაწილეობა მიიღეს რაპიდ და

ბლიც ტურნირებში, ერთდროული თამაშის სეანსში. გაცვლით პროგრამას შემოურთდნენ საჭადრაკო კლუბები ლენინგრადის "პეტროვსკაია ლადია" და მარიამპოლის "სუდოვა". ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების მასტერ კლასში. ყოველდღე იმართებოდა შეკრებები. (10.01.2019) გაიმართა თემატური მასტერ კლასი ნოდარ ლორთქიფანიძესთან, ხოლო (25.02.2019) ფიდეს ტრენერთან GM ლაშა ჯანჯღავასთან; (03.02.2019) გაცვლითო პრიგრამის ფარგლებში: მეგობრული შეხვედრა გავმართეთ ჩოხატაურის და (27.01.2019) ქუთაისის სასპორტო სკოლებთან, თემატური მასტერკლასები და მეგობრული მატჩები; (03.03.2019) დედის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი მშობლებისთვის, ლუბის ნორჩი წევრების მსაჯობით; (04-06.03.2019) კლუბის ღია პირველობა წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის; ხულოს რეგიონში - თამაზ ირემადის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი (04-07.04.2019);

ბათუმის სასპორტო სკოლის პირველობა (06-07.04.2019); სასკოლო საჭადრაკო ფესტივალის პირველი ეტაპი ანდრია პირველწოდებულის სკოლაში, მეორე და მესამე ფინალური ეტაპი (22-26.05.2019) პირადი პირველობა (14 სკოლის 3-3 მოსწავლე) და (11-13.10.2019_ გუნდური პირველობა (16 სკოლა, 80 მონაწილე გნდი-5 მოსწავლე); მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი (21.06.2019); კლუბის შიდა პირველობა, დამწყები ჯგუფი 10 წლამდე (17-18.04.2019); დამწყები ჯგუფი შერეული (17-18.04.2019); მოსამზადებელი ჯგუფი შერეული (17-18.04.2019); "გურამ ჭანტურიას თასი-2019" შერეული ასაკის და ჯგუფის (20-21.04.2019); დამწყები ჯგუფი (3 ტურნირი) 6, 8 და 12 წლამდე; ბავშვთა დრისადმი მიძღვნილი საჭადრაკო შერეული ტურნირი დამწყებთა ჯგუფი (31.05-01.06.2019) და მოსამზადებელი ჯგუფი (31.05-01.06.2019); 01-12.07.2019 კლუბი ნონას ორგანიზებით ჩატარდა მე-5 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი "ბათუმის მერიის თასი - 2019". წელს 20 ქვეყნის 500-მდე უძლიერესმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა ფესტივალში (252 ქართველი მონაწილედან 80 მდე აჭარის რეგიონს წარმოადგენდა). ტურნირის ფარგლებში ბათუმს 1500 -ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი სტუმრობდა. "სულ ფესტივალის ფარგლებში 11 ტურნირი ჩატარდა. 10 საჭადრაკო და 1 მინი ფეხბურთში. კლუბი ნონას ოფიციალური საიტიდან "ა" ტურნირის პარტიების პირდაპირი ჩვენება გაიმართა LIVE პროგრამის უახლესი ვერსიით, ფესტივალის პერიოდში კლუბის საიტზე დაფიქსირდა ვიზიტორთა რეკორდული მაჩვენებელი. (04-10.07.2019) "გურამ ჭანტურიას თასი" სხვადასხვა რეგიონის ვეტერან მოჭადრაკეთა შორის. 09.07.2019 - ერთდროული თამაშის სეანსი GM გიგა ყუფარაძესთან და GM დავით მაღალაშვილთან; (მონაწილეობდა 14 მოჭადრაკე) (01-10.08.2019) თემატური მასტერ კლასი GM დავით ჯოჯუასთან; "ევოპის სპორტული კვირეული (23-29.09.2019); ვრცელი საჭადრაკო პროგრამა (27-29.09.2019)- ერთდროული თამაშის სეანსი WGM მირანდა მიქაძესთან; საჭადრაკო ვიქტორინა საჩუქრებით და "მხიარული ჭადრაკი "ChessRun" (27.09.2019 ბულვარი);

ღია ბლიც ტურნირი ვაჟთა და ქალთა შორის (28.09.2019), ღია ბლიც ტურნირი 8, 10 და 12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის (29.09.2019), ორივე ბლიც ტურნირი დარეგისტრირებული იყო ფიდეში და დაითვალა საერთაშორისო რეიტინგი. მონაწილეობდა 3 ქვეყნის წარმომადგენელი საქართველო, რუსეთი და ბელარუსია; (09-17.11.2019) ულცინში (მონტენეგრო) გამართულ ევროპის 24-ე საკლუბო ჩემპიონატზე კლუბმა ნონამ მეოთხედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. (30.11-1.12.2019) ტრადიციული საახალწლო ფესტივალი 7 დამოუკიდებელი ტურნირი: ვაჟთა და ქალთა შორის სწრაფ ჭადრაკში რაპიდი (30.11-01.12.2019); ასაკობრივი ტურნირი 5-6 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის რაპიდი (02-04-06.12.2019); ასაკობრივი ტურნირი 8 წლამდე ჭაბუკთა

და გოგონათა შორის რაპიდი (02-04-06.12.2019); ასაკობრივი ტურნირი 10 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის რაპიდი (02-03-05.12.2019); ასაკობრივი ტურნირი 12 - 14 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის რაპიდი (02-03-05.12.2019); შერეული ბლიც ტურნირი სხვადასხვა ასაკის წარმატებულ ბავშვებს შორის ბლიცი (11.12.2019); ვაჟთა და ქალთა შორის ბლიცი (14.12.2019); ყველა ტურნირში საპრიზო ადგილებზე გასულებს გადაეცათ მედლები და დიპლომები. 07-08.12.2019 საჭადრაკო ტურნირი - "მერიის დიდოსტატი-2019", ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა შორის. (ორგანიზატორები: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება; საჭადრაკო კლუბი ნონა). 24 დეკემბერს სასტუმრო "ჰოლტონში" გამართულ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის წარმატებული კლუბების, სპორტსმენების, მწვეთნელების, სპორტული მოღვაწეების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე საჭადრაკო კლუბი ნონა 3 ნომინაციაში დასახელდა გამარჯვებულად! 1. "წლის გუნდი" - რომელშიც წარდგენილი იყო ევროპის საკლუბო ჩემპიონატში 4 გზის გამარჯვებული და 2 გზის ვიცე ჩემპიონი გუნდი, 2. "სპორტული კლუბი კარგი მმართველობა" - სწორად წარმართული მენეჯმენტისათვის,

3. "წლის სპორტსმენი" - ინდივიდუალური ჯილდო გადაეცა ნინო ბაციაშვილს (GM) განსაკუთრებული სპორტული მიღწევებისათვის; ბათუმის "საჭადრაკო კლუბი ნონა" 2019 წლის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად აღიარეს! თვის ბოლოს კლუბმა გამართა წლის ტრადიციულიშემჯამებელი ღონისძიება. წარმოდგენილი იყო 2019 წლის ანგარიში. აგრეთვე გაიმართა საახალწლო ფესტივალის გამარჯვებულების და წარმატებული კლუბის წევრების დაჯილდოება.

➤ მიღწეული შედეგები:

საჭადრაკო კლუბის მიერ ორგანიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ტურნირები, საჭადრაკო კლუბის წევრები და ასაკობრივი ჯგუფები მონაწილეობას ღებულობენ ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში.

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 150,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 148,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის გათვალისწინებით გასულ წელს გაიცა თანამშრომლებზე ხელფასები, შეძენილი იქნა ცხენებისათვის საკვები მარაგები და წამლები, თავლისათვის ნახერხი, ცხენებისათვის ინვენტარი. თავლის რემონტისათვის შევიძინეთ მასალები. ღია მანქანისთვის გაკეთდა ღობე. ქვეპროგრამის ფარგლებში მივიღეთ დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, მათ შორის: 1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში საერთაშორისო ტურნირი, სადაც წმინდა სისხლის ცხებებისთვის მონაწილეობაში 1000 და 800 მეტრზე გარბენებში მოვიპოვეთ I ადგილი. 2. ქ. ფოთში, ვ. მაქაცარიას სახ. თასზე დაბრკოლებათა გადალახვაში მოვიპოვეთ I ადგილი. 3. ფოთში კუკური მელიას სახ. დოღში თასზე 1600 მეტრზე გარბენში - I ადგილი; ფოთში ღია პირველობისთვის 18 წლამდე ბავშვები - I ადგილი. 4. აბაშის თასის გათამაშება დოღში 1200 მეტრზე ნახევარსისხლიან ცხებებს შორის - III ადგილი. 5. ამბროლაურში, რაჭის

თასის გათამაშებაში, ნახევარსისხლიან ცხენებს შორის 1400 მეტრზე - II ადგილი. 6. 2019 წლის 2 ნოემბერს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში, მონაწილეობა მივიღეთ 2 წლიანი ცხენების შეჯიბრში 1600 მეტრ დისტანციაზე გარბენში, სადაც ავიღეთ პირველი ადგილი. 7. ოქტომბრის თვეში, კაჭრეთში, ამბასადორის თასის გათამაშებაში დაბრკოლებათა გადალახვაში დავიკავეთ II-III ადგილი, ხოლო თასის გათამაშებაში 18 წლამდე მოზარდებს შორის მოვიპოვეთ III ადგილი. 8.

ოქტომბრის თვეში, მუხრან ბატონის სასახლეში, მუხრანის თასზე დაბრკოლებათა გადალახვაში დავიკავეთ II-III ადგილი. 9. დეკემბრის თვეში (21-22 დეკემბერს), საქართველოს თასზე დაბრკოლებათა გადალახვაში დავიკავეთ V ადგილი.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში, ვერ ხერხდება მომსახურების გაწევა კლუბში გაწევრიანების მოსურნეებზე, ასევე ფერხდება სკოლის ფუნქციონირება.

მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია ბათუმის საცხენოსნო კლუბის განვითარება.

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02)

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 456,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 360,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93,4%;

➤ პროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი - ადმინისტრაციული საქმიანობისათვის გატარდა რიგი სამეურნეო სამუშაოები, ყინულის მოედანს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები და ასევე მოხდა ავტოდრომის ტერიტორიის განახლება, დაფინანსდა ცენტრის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები კავშირგაბმულობის, სატელეკომუნიკაციო კომუნალური და სხვა; ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - მოხდა ტექნიკური ბაზის განახლება ცენტრის თანამშრომლებისთვის შეძენილია კომპიუტერები და საოფისე ავეჯი. სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება - ყინულის მოედანზე ფუნქციონირებს ჰოკეის ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებულია 11-დან 16-წლამდე სპორტსმენები სისტემატიურად ვარჯიშობენ კვირაში ოთხჯერ, როგორც ფიზიკურად ასევე ყინულის მოედანზე. მათ საწვრთნო ვარჯიშებს უტარებს მოწვეული მწვრთელი. მოზარდებში დიდი დაინტერესებაა ჰოკეის ჯგუფში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ამიტომ მარტიდან შეიქმნა ჰოკეის ახალი ჯგუფი სადაც გაწევრიანებულია 7 დან 10 წლამდე 30 მოზარდი რომელსაც საწვრთნო ვარჯიშებს უტარებს ადგილობრივი მწვრთნელი აღნიშნული მოზარდებისთვის დაგეგმილია ტენდერის გამოცხადება და ჰოკეის აღჭურვილობის შეძენა და გადაცემა მოზარდებისთვის.

ფიგურული ციგურაობისა და ჰოკეის პოპულარიზაცია - ყინულის მოედანზე შექმნილია 3 ერთეულთა თანრიგის მოციგურავეთა ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულია 7 სპორტსმენი, აგრეთვე შექმნილია მოსამზადებელი სპორტული ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულია 11 მოზარდი. შექმნილია სინქრონის ერთი გუნდი, მოსამზადებელი

საკონცერტო ორი ჯგუფი, სამოყვარულო ჯგუფებში შექმნილია 4-15 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის 15 მოყვარულთა ჯგუფი, სადაც გაწვრიანებულია 350-მდე მოზარდი. 4-7 აპრილის ჩათვლით საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში (ლევ ჰავრი) ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრი სინქრონულ ციგურაობაში „mixed age trophy“, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ჩვენი ცენტრის ფიგურული ციგურაობის გუნდი. 09-14 აპრილის ჩათვლით, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი „skate victoria“, სადაც მონაწილეობას იღებდნენ სპორტული ცენტრის ერთეულთა თანრიგის მოციგურავეები, რომლებმაც მოიპოვეს ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლები. მიმდინარე წლის 4-18 აგვისტოს ჩათვლით, ანდორის რესპუბლიკის ქალაქ კანილოში ჩატარდა სასწავლო საწვრთნო ტრენინგ-სემინარი, რომელშიც მონაწილეობდა ერთეულთა თანრიგის 2 სპორტსმენი მწვრთნელთან ერთად. ასევე, მიმდინარე წლის 16-30 აგვისტოს ჩათვლით უზბეკეთის რესპუბლიკის ქალაქ ტაშკენტში ჩატარდა საწვრთნო ტრენინგ სემინარი, სადაც მონაწილეობდა სპორტული ცენტრის 6 სპორტსმენი მწვრთნელებთან ერთად. 1. მიმდინარე წლის 05-10 ნოემბრის ჩათვლით, ლატვიის რესპუბლიკის ქალაქ რიგაში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში, „Volvo open cup 40“, სადაც ჩვენი ცენტრის ერთეულთა თანრიგის სპორტსმენებიც ღებულობდნენ მონაწილეობას და მოიპოვეს საპრიზო ადგილები. 2. 2019 წლის 11 დეკემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით მონაწილეობა მივიღეთ სლოვაკეთში, ქალაქ ბრატისლავაში საერთაშორისო ტურნირში „Grand Prix of Bratislava“, სადაც ჩვენი ცენტრის ერთეულთა თანრიგის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ერთი მათგანი პირველი ადგილის მფლობელი გახდა, ხოლო დანარჩენმა მონაწილეებმა მოიპოვეს საპრიზო ადგილები.

25 დეკემბერს ჩატარდა საახალწლო საზეიმო ღონისძიება. მასში მონაწილეობდნენ სპორტული ცენტრის ერთეულთა თანრიგის სპორტსმენები, სინქრონული გუნდი და ფიგურული ციგურაობის ჯგუფის აღსაზრდელები, ღონისძიებას ესწრებოდა 3000-მდე მაყურებელი და ასევე წარმომადგენელები მერიიდან და აჭარის მთავრობიდან.

"სანიჩბოსნო სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2019 წლის 5-7 აპრილს ქალაქ ფოთში ჩატარდა ჩემპიონატი საქართველოს პირველობა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი ნიჩბოსანთა 7 გუნდი. სპორტული ცენტრის სახელით მონაწილეობდა 8 სპორტსმენი, ამათგან 4-მა მონაწილემ აიღო მეორე და მესამე საპრიზო ადგილები, რომლებსაც გადაეცათ მედლები და სიგელები. 2019 წლის 17-19 მაისს ქალაქ რუსთავში ჩატარდა ალექსანდრე წივწივადის სახელობის რუსთავის ღია პირველობა, სადაც მონაწილეობდნენ, როგორც საქართველოს ასევე აზერბაიჯანის და სომხეთის გუნდები, სულ 12 გუნდი. ჩვენი სპორტსმენები მოხვდნენ ფინალში. 2019 წლის 06-08 სექტემბერს ქალაქ ფოთში ჩატარდა საქართველოს პირველობა კანოე კაიაკში, სადაც მონაწილეობდა 7 გუნდი თბილისი, მცხეთა, დუშეთი, ქუთაისი, ფოთი და ბათუმი, ჩვენგან წარდგენილი იყო ცენტრის 3 სპორტსმენი რომელთაც ახლდათ 2 მწვრთნელი. შეჯიბრი დასრულდა წარმატებით, ჩვენმა სპორტსმენებმა დაიკავეს მეორე და მესამე ადგილები.

ავტოდრომის განვითარების ხელშეწყობა - მოხდა ავტოდრომის ტერიტორიის ინფრასტრუქტურის განახლება, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, საბოლოო ტრასის გახსნასთან დაკავშირებით ჩატარდა აჭარის ღია ჩემპიონატი რაღში „ბათუმის თასი 2019" ერთმანეთს 25 ავტომობილი დაუპირისპირდა. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფასიანი ვაუჩერები, ასევე თასები, მედლები და სიგელები. ჩემპიონატი სამ ეტაპიანია,



მეორე ეტაპი კი გაიმართა აგვისტოში, გამოვლინდა გამარჯვებულები და გადაეცათ ფასიანი ვაუჩერები, თასები მედლები და სიგელები."

ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა - სპორტული ცენტრის ბაზაზე არსებული ამპუტანტთა ფეხბურთის გუნდი, სისტემატიურად აგრძელებდა საწვრთნო პროცესს, კვირაში 2 დღე; ასევე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრებში - 8 მატჩი; საერთო ჯამში ჩატარდა - 28 აქტივობა;

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ცენტრის ბაზაზე არსებული სპორტული კლუბების საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობა.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02-05 02 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 428,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 428,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე სპორტული მოედნის მოწყობა - მოეწყო 136,2 გრძ.მ. სანიაღვრე პლასტმასის გოფრირებული მილი და 12 ცალი სანიაღვრე ჭა; ტროტუარზე და სპორტული მოედნის ირგვლივ მოეწყო 240 კვ.მ. ც/ბეტონის საფარი; დაიგო 765 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი; მოეწყო 282,1 გრძ.მ. ბორდიური, 2 შესასვლელი კარი, 2 ცალი საკალათბურთო ფარი, 336 კვ.მ. ხელოვნური საფარი, 4 ცალი განათების ბოძი სანათებით, 2 ცალი საფეხბურთო კარი და ბადე; სტადიონი შემოიფარგლა 349,6 კვ.მ. მავთულბადით ლითონის დგარებზე. (დასრულდა)

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება. ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე საცხოვრებელ კომპლექს „მაგნოლია“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქვიშის მოედნის კეთილმოწყობა ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე საცხოვრებელ კომპლექს „მაგნოლია“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქვიშის მოედნის კეთილმოწყობა ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე საცხოვრებელ კომპლექს „მაგნოლია“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქვიშის მოედნის კეთილმოწყობა

➤ მიღწეული შედეგები:

განახლებულია ქალაქის სპორტული ინფრასტრუქტურა.

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები (პროგრამული კოდი 05 03)

კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 1 080,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 018,2 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 94,3%.

პროგრამის აღწერა:

უზრუნველყოფილია კულტურის ცენტრის გამართულად მუშაობასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელება, როგორცაა ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯები, კომუნალური გადასახადები, ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება და სხვა ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელების ხელშეწყობა, მისი კონტროლი.

პირველ კვარტალში ჩატარდა და აღინიშნა ქვეპროგრამით გათვალისწინებული საახალწლო ღონისძიებები, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღე და 3 მარტი დედის დღე. დაიგეგმა და გამოცხადდა ბათუმობისა და 1 ივნისის ტენდერები, მიმდინარეობდა მუშაობა როგორც ბათუმელ, ასევე თბილისელ შემსრულებლებთან. მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები 26 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით.

შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქალაქში მიმდინარე კულტურულ ღონისძიებებში, კერძოდ:

- ქალთა კამერული გუნდის კონცერტი აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სულიკო გიორგაძის დაბადების 80 წლისთავის ხსოვნის სადამოწო.

- ქორეოგრაფიული, ვოკალური და ვაჟთავოკალური ანსამბლების კონცერტები ავღანეთში დაღუპულ გმირების ხსოვნასთან დაკავშირებით;

- ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ქორეოგრაფიის რაინდის, პოეტის, მსახიობისა და ბათუმის საპატიო მოქალაქის გივი სიხარულიძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სადამოწო;

- სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შეკრებაზე;

- ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღისადმი „ძლიერი ქალი, ძლიერი რეგიონისათვის“;

- სასულე ორკესტრის გამოსვლა ბათუმისათვის ბრძოლის 98-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე“ მაზნიაშვილი- დაუმარცხებელი გენერალი“;

- თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კამერული კვარტეტის კონცერტი.

მეორე კვარტალის საანგარიშო პერიოდში ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქალაქში მიმდინარე კულტურულ ღონისძიებებსა და აქტივობებში, კერძოდ:

- ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა ძალოსნობის ევროპული ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე;

- ქალთა კამერული გუნდისა და ლიეტუვას ქალთა ანსამბლების ერთობლივი საგუნდო მუსიკის სადამო;

- სასულე ორკესტრის კონცერტი მამა ანდრია ლაითაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტზე;

- ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ ჩატარებულ ძეგლთა დაცვის დღესთან დაკავშირებით;

- ქართული ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ ჩატარებული ძეგლთა დაცვის დღესთან დაკავშირებით;
 - სასულე ორკესტრი რაგბის ფინალური მატჩის ცერემონიაზე;
 - ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლის კონცერტი, სამუზეუმო გაერთიანება, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მუზეუმის კვირეული და ეთნოგრაფებთან შეხვედრა;
 - ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი ევროპის მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის 2019 წლის გამარჯვებულთა დაჯილდოების გალა ცერემონიაზე;
 - ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლის კონცერტი ევროპის მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის 2019 წლის დაჯილდოების გალა ცერემონიაზე;
 - ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი ბათუმისათვის ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ტიტულის World Travel Awards მიღების ცერემონიაზე;
 - სასულე ორკესტრის მარშები ქალთა ეკონომიკურ ფორუმთან დაკავშირებით.
- მესამე კვარტლის საანგარიშო პერიოდში ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქალაქში მიმდინარე კულტურულ ღონისძიებებსა და აქტივობებში, კერძოდ:
- ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ქალთა კამერული გუნდის ერთობლივი კონცერტი ანსამბლ „აიას“ -თან ერთად./ლატვია/;
 - აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმის „საქართველოს ევროპული გზა“ მონაწილეთათვის სიმებიანი კვარტეტის კონცერტი;
 - აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმის „საქართველოს ევროპული გზა“ მონაწილეთათვის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი;
 - აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმის „საქართველოს ევროპული გზა“ მონაწილეთათვის ჯაზ ბიგ-ბენდის კონცერტი;
 - სასულე ორკესტრის მარშები მეზღვაურთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მემედ აბაშიძის პროსპექტზე და კონცერტი ბათუმის ნავსადგურში;
 - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის ჩატარდა ქალთა კამერული გუნდის კონცერტი;
 - მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სიმებიანი კვარტეტის გამოსვლა;
 - გაიმართა ჯაზ ბიგ-ბენდის კონცერტი ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიდებარედ ახალი სკვერის გახსნასთან დაკავშირებით;
 - ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა 8 აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნის მემორიალურ ღონისძიებაზე;
- ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა შინდისის გმირების ხსოვნის მემორიალურ ღონისძიებაზე;
- ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი დიდგორობასთან დაკავშირებით;
 - ჯაზ ბიგ-ბენდი მონაწილეობდა ევროპული კერძების საერთაშორისო ფესტივალზე;
 - ვაჟთა ვოკალური ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ღვინის საერთაშორისო ფესტივალვალში;

- რომაული დღეების ფარგლებში ანზანის კოშკის მიმდებარედ გაიმართა სასულე ორკესტრის კონცერტი;
 - რომაული დღეების ფარგლებში ჩატარდა ასევე სასულე ორკესტრის კონცერტი გონიოს ციხეში;
 - ბლექსი არენაზე ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლა;
 - ჯაზ ბიგ-ბენდის სამხატვრო ხელმძღვანელის, მუსიკოსის და დირიჟორის ვ. გორდაძის სიმღერის პრემიერა აჭარის რადიოვიზიით;
 - ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით;
 - ენვერ ხაბაძის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი კონცერტი სასტუმრო პარაგრაფში გამართულ ესტონელ-ქართული საერთაშორისო კონფერენციაზე.
 - სასულე ორკესტრის მონაწილეობა საერთაშორისო რეგატის „აჭარა 2019“ დახურვის ცერემონიაში.
- მეოთხე კვარტლის საანგარიშო პერიოდში ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქალაქში მიმდინარე კულტურულ ღონისძიებებსა და აქტივობებში, კერძოდ:
- 5 ოქტომბერი ზღვისპირა პარკში, კოლონადებთან ჩატარდა სასულე ორკესტრის კონცერტი საერთაშორისო სამიტის ფარგლებში;
 - 10 ოქტომბერი - ვოკალური და ვაჟთა ხალხური სიმღერის ანსამბლების კონცერტი ტერენტი გრანელის ძეგლის გახსნის ცერემონიაზე;
 - 11 ოქტომბერი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ქალთა კამერული გუნდის საეკლესიო ქორალები საერთაშორისო კონფერენციის „ბიზანტოლოგია საქართველოში“ მონაწილეთათვის;
 - 12-13 ოქტომბერი მოეწყო ცენტრის ქორეოგრაფიული, ვაჟთა და ქალთა ვოკალური ანსამბლების კონცერტი „განდაგანას“ ფესტივალზე;
 - 20 ოქტომბერი - ენვერ ხაბაძის სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლის, ვოკალური ანსამბლის და ხალხურ საკრავთა ტრიოს კონცერტი აჭარის ქორეოგრაფთა და მუსიკოსთა ლიგის ორგანიზებულ საღამოზე საქართველოს დამსახურებული არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის, თბილისის საპატიო მოქალაქის თენგიზ ურთმელიძის შემოქმედებით საღამოზე;
 - 23 ოქტომბერი - ქორეოგრაფიული და ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლების, ხალხური ინსტრუმენტების ტრიოს კონცერტი ჭადრაკის ევროპის გუნდური ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე;
 - 25 ოქტომბერი - სასულე ორკესტრის მარშები ამერიკის საზღვაო გემების შემოსვლასთან დაკავშირებით;
 - 31 ოქტომბერი - ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი საქველმოქმედო საღამოზე/სასტუმრო „ლეო გრანდში“ დაღუპული ახალგაზრდების ხსოვნის საპატივცემულოდ;
 - 8 ნოემბერი - ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ტურისტული ცენტრის გახსნის ცერემონიაზე;
 - 14 ნოემბერი - ქართული ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი ხარიტონ ახვლედიანის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე;

- 15 ნოემბერი - ქალთა კამერული გუნდის საიუბილეო სადამო მიძღვნილი იოსებ კეჭელაძის იუბილისადმი;
- 24 ნოემბერი - ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლა ზაურ ლაზიშვილს დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სადამოზე;
- 24 ნოემბერი - ვოკალური ანსამბლის გამოსვლა ზაურ ლაზიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სადამოზე;
- 11 დეკემბერი - სასულე ორკესტრის მარშები საქართველოს ევროსაბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის სამთავრობო ღონისძიებასთან დაკავშირებით;
- 14 დეკემბერი - საქართველოს სახალხო არტისტის ენვერ ხაბაძის დაბადების 95 და აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი და თეიმურაზ ბოლქვაძის „ვარსკვლავის „ გახსნა“;
- 14 დეკემბერი - სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ვაჟა აზარაშვილის სადამოზე;
- 15 დეკემბერი - ქალთა კამერული გუნდი „ზაირა და გელა ვადაჭკორიები სტუმრად ვახტანგ ღლონტის სალონურ სადამოზე;
- 17 დეკემბერი - ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლის გამოსვლა რამინ და მაია მიქაბერიძის ვარსკვლავის გახსნაზე;
- 23 დეკემბერი - ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი კულტურის და ხელოვნების მუშაკთა დაჯილდოვების ცერემონიაზე;
- 24 დეკემბერი - ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი სპორტსმენების დაჯილდოვების ცერემონიაზე;
- 27-29 დეკემბერი - ჯეო პლანეტის ახალი სიმღერის „ჩვენი გზები“ პრემიერა რადიო ფორტუნაში და აჭარის ტვ-ს „დილის ტალღაში“;
- 29 დეკემბერი - ჯეო პლანეტის კონცერტი ზღვისპირა პარკში;
- 26-31 დეკემბერი - შობა-საახალწლო კონცერტების სერია ზღვისპირა პარკში. შეძენილი იქნა ელექტრო სადენები."

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია კულტურული ღონისძიებების ეფექტური მართვა.

ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 1 024,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 978,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,5%.

პროგრამის აღწერა:

"საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ევროპის მოედანზე ყოველდღიურად იმართებოდა კონცერტები, პროგრამა მოიცავდა, როგორც საბავშვო ღონისძიებებს, აგრეთვე ბათუმელი ბენდების და ქართული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტებს. პროექტის ფარგლებში განხორციელდა აქტივობა „ახალი წელი შენს ეზოში".

23 მარტი – 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად. ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით.

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დამზადდა ორი ვიდეო–სარეკლამო რგოლი ბათუმობის დღესასწაულთან დაკავშირებით.

3 მარტის - ღონისძიების ფარგლებში მოწვეული იქნენ მრავალშვილიანი დედები და ცენტრის კოლექტივების მონაწილეობით ბათუმის საზაფხულო თეატრში გაიმართა კონცერტი, ფინანსური რესურსი არ გამოყენებულა. "

"9 აპრილი - ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე. გაიმართა ცერემონიალი გმირთა ხეივანში, მოქალაქეებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა მემორიალი შეამეს ყვავილებით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სასულე ორკესტრის, ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ამსამბლის და ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრები.

28 აპრილი - სახალხო დღესასწაული „ბათუმობა“. ღონისძიებები ძველი ბულვარის ტერიტორიაზე ჩატარდა, მოეწყო სხვადასხვა კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული და თეატრალური პერფომანსები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-ბაზრობა, საბავშვო კუთხე. ჩატარდა ბათუმელი და საქართველოში მოღვაწე პოპულარული შემსრულებლების კონცერტი.

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით სასულე ორკესტრის მუსიკის თანხლებით, ღონისძიება სადღესასწაულო ბანკეტით დასრულდა.

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ქალაქი მორთული იყო საქართველოს დროშებით, ევროპის მოედანზე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა გასართობი შოუ პროგრამები პოპულარული ბენდებისა და მომღერლების მონაწილეობით. მოეწყო თემატური გამოფენები, საბავშვო აქტივობები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა–გაყიდვა.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მოირთო 6 მაისის პარკი ფერადი ლენტებით, ბურთებით, სხვადასხვა დეკორაციებით. პარკში დამონტაჟდა სცენა, ჩატარდა საბავშვო კონცერტები ქალაქში მოქმედი სხვადასხვა ანსამბლების მონაწილეობით, ბავშვებს განწყობას უქმნიდა სხვადასხვა ზღაპრის გმირები, გაშვებული იქნა ჰელიუმის ბუშტები და მოეწყო უფასო ნაყინის, პოპკორნის და ბამბის ნაყინის აქცია."

8 აგვისტო - რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა სკვერში, ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნის დღე, მოქალაქეებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა მემორიალი შეამკეს ყვავილებით. ღონისძიებაში მონაწილეობდა ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ამსამბლი;

11 აგვისტო – შინდისის გმირების სახელობის სკვერში მოქალაქეებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა მემორიალი შეამკეს ყვავილებით. ღონისძიებაში მონაწილეობდა ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ამსამბლი;

ცენტრის ორგანიზებით აღინიშნა საახალწლო ღონისძიებები, რომელიც 2019 წლის 25 დეკემბრიდან დაიწყო და 7 იანვარს დასრულდა. საახალწლო კონცერტები ბათუმის ბულვარში ჩატარდა, ყოველდღიურად ტარდებოდა სხვადასხვა ჟანრის და სხვადასხვა მსმენელზე გათვლილი კონცერტები, საბავშვო აქტივობები."

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 63,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 55,7 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 88,4%.

პროგრამის აღწერა:

პირველ კვარტალში დაფინანსდა შემდეგი ეთნიკური წარმომადგენლების ღონისძიებები:

სომხური დიასპორა: სურბ სარგისის დღესასწაული; შეხვედრა დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით;

აზერბაიჯანული დიასპორა: დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა;

უკრაინული დიასპორა: დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო, ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

ბერძნულა დიასპორა: აღნიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

გერმანული დიასპორა: ქალთა დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა.

მეორე კვარტალში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

სომხური ეთნიკური ჯგუფი: აღინიშნა საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დღე.

აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფი: ნოვრუზ ბაირამისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ფაშინიზმზე გამარჯვების დღის აღნიშვნა.

უკრაინული ეთნიკური ჯგუფი: აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორის ხელმოკლე ოჯახებისთვის სასურსათე ნობათის გადაცემა; დაფინანსდა საექსკურსო ტურის მოწყობა და ქართული ისტორიული ძეგლების მონახულება ფშაჟ ხევსურეთში.

გერმანული ეთნიკური ჯგუფი: აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორის ხელმოკლე ოჯახებისთვის სასურსათე ნობათის გადაცემა;

რუსული ეთნიკური ჯგუფი: აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორის ხელმოკლე ოჯახებისთვის სასურსათე ნობათის გადაცემა;

ებრაული ეთნიკური ჯგუფი: აღინიშნა ისრაელის დამოუკიდებლობის დღე.

თურქული ეთნიკური ჯგუფი: საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა.

იეზიდური ეთნიკური ჯგუფი: საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა.

- ტრადიციულად აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მეგობრობის სახლში გაწევრიანებული ცხრა ეთნიკური ჯგუფის მიერ. მოეწყო საზეიმო შეხვედრა და აღნიშნეს იმ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე, რომლის მოქალაქეებიც არიან. "

მესამე კვარტალში დაფინანსდა შემდეგი ეთნიკური წარმომადგენლების ღონისძიებები:

უკრაინული ეთნიკური ჯგუფის ორგანიზებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოში უკრაინის საელჩოს მხარდაჭერით საზაფხულო თეატრში ჩატარდა საქართველოსა და უკრაინას შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების, კულტურული მიღწევებისა და ღირებულებებისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით - „საქართველო ჩემი სიყვარული, გულში – უკრაინა“;

უკრაინული ეთნიკური ჯგუფის ორგანიზებით აღინიშნა უკრაინის დამოუკიდებლობის დღე;

ბერძნული ეთნიკური ჯგუფის მიერ მოეწყო საექსკურსიო ტური თურქეთში ბერძნული ისტორიული და კულტურული ძეგლების (ტრაპზონი, სუმელას მონასტერი, წმინდა სოფიას ეკლესია) მონახულების მიზნით; თურქული ეთნიკური ჯგუფის მიერ ყურბან ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი იქნა მორწმუნეებისათვის და დიასპორის ხელმოკლე ოჯახებისათვის სასურსათე პროდუქტების გადაცემა;

მეოთხე კვარტალში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. უკრაინული ეთნიკური ჯგუფის ორგანიზებით:

- უკრაინული ეთნიკური ჯგუფი შეუერთდა ხელოვნების მუზეუმში გამართულ ღონისძიებას „უკრაინული შემოდგომა“, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ქართველი და უკრაინელი მხატვრების ნამუშევრები ამავე თემაზე;

- ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოხდა სათნოების სახლის მოხუცების მონახულება და მათთვის საჩუქრების გადაცემა.

- მეგობრობის სახლში ჩატარდა ვიქტორინა „უკრაინული ენის წარმოშობა“ და ნახატების კონკურსი „ლითერინგი“.

მეგობრობის სახლში ჩატარდა საახალწლო ზეიმი პატარებისთვის, ბავშვებს გადაეცათ ტკბილეული.

2. სომხური ეთნიკური ჯგუფის ორგანიზებით:

აღინიშნა სომხური დიასპორის საერთაშორისო დღე, დიასპორის აქტივისტები დაჯილდოვდნენ საჩუქრებით.

3. აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფის ორგანიზებით აღინიშნა მსოფლიო აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღე;

4. გერმანული ეთნიკური ჯგუფის მიერ მოეწყო საექსკურსიო ტური სამცხე-ჯავახეთში, ისტორიული და კულტურული ძეგლების მონახულების მიზნით.

5. თურქული ეთნიკური ჯგუფის მიერ მოეწყო საექსკურსიო ტური სვანეთში, ისტორიული და კულტურული ძეგლების მონახულების მიზნით.

6. ბერძნული ეთნიკური ჯგუფის მიერ აღინიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე.

7. რუსული ეთნიკური ჯგუფის მიერ ჩატარდა სპორტული ღონისძიებები (ჭადრაკი, ნარდი, შაში), გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

8. ებრაული ეთნიკური ჯგუფის მიერ აღინიშნა ხანუკას დღესასწაული.

9. იეზიდური ეთნიკური ჯგუფის მიერ მოხდა დიასპორის უხუცესი წევრების მონახულება, მათთვის შემძენილი იქნა ფასიანი საჩუქრები.

მეგობრობის სახლში გაწევრიანებული დიასპორების მოთხოვნის საფუძველზე (რუსული, იეზიდური, უკრაინული, ბერძნული, აზერბაიჯანული, გერმანული) გამოცხადდა ტენდერი საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზებაზე, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრში - ბავშვებს გადაეცათ საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

აჭარაში მოქმედი 9 დიაპორის მიერ მოეწყო საახალწლო შეხვედრა, სადაც მოწვეული იყვნენ აჭარის მთავრობის წარმომადგენლები და საპატიო სტუმრები. თითოეული დიასპორის მიერ წარმოდგენილი იქნა სპეციალური საკონცერტო ნომერი."

➤ მიღწეული შედეგები:

წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება და ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები.

საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 500,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 499,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

1. საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა დებულება ფესტივალების დაფინანსების, ანგარიშგების წესისა და პირობების შესახებ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის №762 ბრძანებით დამტკიცდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დასაფინანსებელი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების შესარჩევად სამუშაო ჯგუფის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“. ქვეპროგრამა წლის განმავლობაში ითვალისწინებს შემდეგი ფესტივალების განხორციელებას:

1. ბათუმის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“;
2. ბათუმის მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი;
3. პრინტის საერთაშორისო ფესტივალი LIFE N STYLE ;
4. საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი - BIAFF ;
5. გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-14 საერთაშორისო ფესტივალი;
6. ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „Batumi Music Fest“;
7. ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალი „დამის სერენადები“
8. საერთაშორისო ფესტივალ - კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ - 2019“;

2. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა დებულება ფესტივალების განხორციელების, დაფინანსების, ანგარიშგების წესისა და პირობების შესახებ. გაფორმდა ხელშეკრულებები მერიასა და ფესტივალების ორგანიზატორებს შორის.

ა) ჩატარდა და დაფინანსდა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს დელფინი - ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ - 2019“. 22-27 მაისი. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო მსვლელობა ეროვნულ კოსტიუმებში, ჩატარდა კონცერტები, მასტერკლასები, სემინარები, სუვენირებისა და ეროვნული ტანსაცმელების გამოფენა. ასევე გაიმართა კონგრესი, რომელშიც მსოფლიო ფესტივალების დირექტორები და სხვადასხვა ხელოვნების დარგის დამსახურებული მოღვაწეები მონაწილეობდნენ. ჩატარდა ვორკშოპები მუსიკასა და ქორეოგრაფიაში.

ფესტივალის მსვლელობისას, საქართველოსა და უცხოეთის შემოქმედებითმა ჯგუფებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს, დაიგეგმა მონაწილეების მოზიდვა ტურისტულად საინტერესო ქვეყნებიდან, დამყარდა ახალი შემოქმედებითი კონტაქტები.

ფესტივალის მიზანია ქართული ეროვნული კულტურის პოპულარიზაცია უცხოეთსა და საქართველოში, ახალი შემოქმედებითი კოლექტივების აღმოჩენა, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება.

ფესტივალის მასშტაბი ყოველწლიურად იზრდება. 2019 წელს ფესტივალში 20 - მდე უცხოურმა და 46-მდე ქართულმა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა.

დაფინანსება გაიცემა მომდევნო კვარტალში;

ბ) ჩატარდა და გაიცა საავანსო თანხა ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი Batumi Music Fest”

კონცერტები გაიმართა ბათუმის დრამატულ თეატრში 1-10 სექტემბერს.

ფესტივალის საბაზო ორკესტრი იყო აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

მთავარი დირიჟორი დავით მუქერია. დირიჟორი ჯანკარლო დერ ლორენცო.

პიანისტები - ელისო ბოლქვაძე (საქართველო), მიშელ სონი (საფრანგეთი), ალექსანდრე გაჯიევი (იტალია), დავით ალადაშვილი (საქართველო), ალექსანდრა მალეევა (რუსეთი), ლიდი სოლომონი(საფრანგეთი), ბარბარე თათარაძე (საქართველო), ილია ლომთათიძე (საქართველო), „მომავლის ვარსკვლავები” ლიზა მეგრელიშვილი, ეკა ნიკოლაძე, ბარბარე ჩხაიძე, ანაპიტ სტელმაშოვა (სომხეთი), გიტარისტი კლაუდიო პიასტრა (იტალია), ფლეიტისტი ლუიზა სელო(იტალია), კლარნეტისტი კლაუდიო მანსუტი (იტალია).

ფესტივალის ფარგლებში მოეწყო საფრაგეთში მცხოვრები ქართველი მხატვრის ანრი მაჭავარიანის ნამუშევრების გამოფენა, გურამ ოდიშარიას პოეზიის საღამო.

ფესტივალს დაესწრო 1500-ზე მეტი მაყურებელი.

გ) ჩატარდა და დაფინანსდა პრინტის საერთაშორისო ფესტივალი LIFE N STYLE - ბათუმი-2019. პრინტის საერთაშორისო ფესტივალი LIFE N STYLE - მეოთხედ ჩატარდა ქ. ბათუმში, 24 აგვისტოდან - 2 სექტემბერის ჩათვლით. პროექტი ითვალისწინებდა თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთერთი დარგის - ბექდვითი მედიის /ხელით ბექდვის/ - /სერიგრაფია, ოფორტი, შოლკოგრაფია, ლითოგრაფია, გრავიურა.../ აღორძინების ხელშეწყობას საქართველოში.

ფესტივალი წარმოდგენილი იქნა ქართველი და უცხოელი მხატვრების აბრეშუმით ბექდვის კოლექციები და მულტიმედია.

ბათუმის თანამედროვე ხელოვნების სივრცის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იქნა სომეხი, ესტონელი, ჩინელი, ავსტრიელი, თურქი, ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა.

კაფე „ბოტანიკო“-სა და „გეით“-ის ტერიტორიდან, Tete Noise -ის ცოცხალი ექსპერიმენტალური მუსიკის ფონზე, მოხდა ბათუმელი მხატვრის რომანოზის ნამუშევრის სტრატოსფეროში გაშვება, რომლის პროცესი სრულფასოვნად იქნა დოკუმენტირებული ვიდეო მასალაზე და წარმოდგენილი იქნა ფართო აუდიტორიის წინაშე საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე BIAFF.

დ) ჩატარდა და დაფინანსდა ბათუმის მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალის ორგანიზატორია კომპანია ა(ა)იპ „ Art Way”. მეექვსედ ჩატარდა ბათუმში მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი, 17-25 აგვისტოს, რომლის მიზანია თანამედროვე დრამატურგების, რეჟისორებისა და მსახიობების წარმოჩენა/განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია. ფესტივალის ფარგლებში ქართველი და უცხოელი დრამატურგებმა შექმნეს მონოპიესები, რომლებიც მათ მიერ შერჩეულმა რეჟისორებმა წარმოადგინეს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატულ თეატრის სცენებზე. ფესტივალის სტუმრები იყო დრამატურგები: ლაშა ბუღაძე, პაატა ციკოლია, კიტა ცხომაია, გუგა მგელაძე, ნატალია ბლოკი, ტატო ჩანგელია, ვალერი ოთხოზორია, მეგი კობალაძე. რეჟისორები: ბექა ქავთარაძე, თიკო ხალაძე, ლაშა შეროზია, აჩი გოგუაძე, დეიზი ჰეისი, დავით თარბა, ვატო ჯუღელი, მეგი კობალაძე.

მსახიობები: თიკო ხალაძე, ბექა ჩხაიძე, მარინა ბურდული, გიორგი ყურავა, ეთერ ალექსაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, კონსტანტინე ფოცხვერაშვილი.

ფესტივალმა წელს სრული ანშლაგით ჩაიარა. მაყურებელმა საინტერესო და ერთმანეთისგან განსხვავებული სპექტაკლები ნახა. ჩართულები იყვნენ როგორც შემდგარი დრამატურგები, ასევე სტუდენტებიც.

წარმოდგენილი იყო სპექტაკლები: „ცხრაჯერ მეტი“ (ავტორი - ლაშა ბუღაძე), „S01E06“ (ავტორი - პაატა ციკოლია), „შიზო ფრენია“ (თამაზ ბაძაღუას პიესის მიხ.), „შექრა“ (ავტორი - კიტა ცხომია), „ბრიფინგი“ (ავტორი - გუგა მგელაძე), „სიბნელე“ (ავტორი-ნატალია ბლოკი), „ცარიელი ფურცელი“ (ავტორი - ტატო ჩანგელია), „შეშლილი ნიცმე“ (ავტორი - ვალერი ოთხოზორია), „ქაღალდის თამრო“ (ავტორი - მეგი კობალაძე)

სპექტაკლებს 500-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო

ე) ჩატარდა და გაიცა საავანსო თანხა ბათუმი-თბილისის XI საერთაშორისო ფესტივალის „ლამის სერენადები“.

სამხატვრო ხელმძღვანელები ლიანა ისაკაძე და გიორგი ისაკაძე.

საღამოები გაიმართა ბათუმის დრამატულ თეატრში 25, 27, 28 აგვისტოს.

ფესტივალის საკონცერტო საღამოებზე, მსოფლიო კლასიკის შედეგები, ფესტივალის საბაზო ორკესტრთან ერთად შეასრულეს ისეთმა ცნობილმა მუსიკოსებმა, როგორებიც არიან – დირიჟორი პანთელის კოგამისი (საბერძნეთი), ჩელისტი იან-ერიკ გუსტავსონი (ფინეთი/შვედეთი), მევიოლინე ანა-ლიზა ბეზროდნი (ფინეთი/ინგლისი), ახალგაზრდა ქართველი პიანისტი სანდრო ნებიერიძე, დავით შამანაური (საყვირი, საქართველო), და

საფესტივალო ორკესტრის მთავარი დირიჟორი იყო ვახტანგ მაჭავარიანი (საქართველო/გერმანია). ფესტივალს დაესწრო 1000-ზე მეტი მაყურებელი.

ვ) ჩატარდა და გაიცა საავანსო თანხა საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი - BIAFF

ბათუმის კინოფესტივალი წელს მე-14 ჩატარდა. იგი, თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვან საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებად ჩამოყალიბდა. ფესტივალი ხელს უწყობს კინემატოგრაფისტთა შორის კულტურული ურთიერთობების დამყარებას, საავტორო კინოს და ზოგადად ქართული კინოს პოპულარიზაციას. კინოფესტივალი ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონის პოპულარიზაციაში, ხელს უწყობს ტურისტული სეზონის გაგრძელებას და ნაკლებად აქტიურ პერიოდში ტურისტების მოზიდვას, განსაკუთრებით კი შიდა ტურიზმის სტიმულირებას. ფესტივალს ჰყავს თავისი ერთგული მაყურებელი, რომლის რაოდენობაც ყოველწლიურად იზრდება. ფესტივალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბათუმის კულტურული ცხოვრების გააქტიურებისთვისაც - კინომოყვარულებს საშუალება მიეცათ დიდ ეკრანზე ეხილათ თანამედროვე კინოს სიახლეები, დასწრებოდნენ ცნობილი კინოხელოვანების მასტერკლასებსა და პრეზენტაციებს.

ფესტივალის ფარგლებში განვითარდა ინდუსტრიული პლატფორმა (ინოვაციური კინოპროექტების ხელშეწყობა, უცხოელი პროდუსერებისა და რეჟისორების მიერ ჩატარებული ვორქშოპები), რაც პოზიტიურ როლს ასრულებს ქართული კინოინდუსტრიის განვითარების საქმეში და კიდევ უფრო ზრდის ფესტივალის სტატუსს, ინტერესს მის მიმართ და ხელს უწყობს ბათუმის პოპულარიზაციას თანამედროვე კინოსამყაროში, როგორც კინოგადაღებისთვის საინტერესო ლოკაციას.

კინოფესტივალის პროგრამა შედგებოდა შემდეგი სექციებისგან:

- მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსები; თითოეულ საკონკურსო სექციას აფასებდა ხუთი ადამიანისგან შემდგარი საერთაშორისო ჟიური."

არასაკონკურსო სექცია: რეტროსპექტივები (დიდი რეჟისორების ფილმების კრებული), დიდოსტატთა კოლექცია (გამოჩენილი რეჟისორების უახლესი ნამუშევრები), სპეციალური ჩვენებები, ქართული პანორამა (ქართული კინოს უახლესი ნამუშევრები) და ევროპის კინოაკადემიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კოლექცია (წლის საუკეთესო ევროპული მოკლემეტრაჟიანი ფილმები);

- სპეციალური პროგრამა - მასტერკლასები, ვორკშოპები და ფოტოგამოფენები.

2019 წელს მე-14 კინოფესტივალზე სხვადასხვა სექციებში წარმოდგენილი იქნა 40 სრულმეტრაჟიანი და 30 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, მსოფლიოს 35 ქვეყნიდან.

ფესტივალის მუშაობაში მონაწილეობდნენ კინოინდუსტრიის ცნობილი სახეები: საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - გაგა ჩხეიძე, სცენარისტი - ალექსანდრე მინდაძე (რუსეთი), PR-ის ცნობილი სპეციალისტი, კარლოვი-ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის წარმომადგენელი - ტატიანა დეტლოფსონი, პუბლიცისტი - მარტინ ბლეინი (გერმანია), ჟურნალისტი, კრიტიკოსი და პროგრამისტი - კარმენ გრეი (გერმანია), რეჟისორი, სცენარისტი და პროდუსერი - რუსუდან გლურჯიძე (საქართველო), კინო-ექსპერტი - კრწიმტოფ გიერატი (პოლონეთი) და სხვ.

კინოჩვენებებს დაესწრო 2000-ზე მეტი მაყურებელი.

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია საერთაშორისო ფესტივალების და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება.

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 180,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 177,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროექტების (თავისუფალი ინიციატივები) მხარდაჭერას. დამტკიცდა დებულება, შეიქმნა კომისია, მიმდინარეობდა განაცხადების მიღება. კომისიამ საანგარიშო პერიოდში შეარჩია 23 პროექტი, რომელსაც დაფინანსებაზე გაეწია რეკომენდაცია.

პროექტი - „გვიანი შემოდგომის ღამე“. ინტელექტუალური ფსიქოლოგიური დრამატურგიის ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით, დაიდგა პიესა „გვიანი შემოდგომის ღამე“. პროექტი განხორციელდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატული თეატრის მცირე დარბაზში, რომელსაც დაესწრო ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები. ავტორი-ა(ა)იპ „თავისუფალი სივრცე“; შესრულება- 1 მარტი.

პროექტი-„თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო“- პროექტის ფარგლებში ჩატარდა თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, დაჯილდოვდნენ თეატრის სფეროში მოღვაწე ხელოვანები. ავტორი-ა(ა)იპ „აჭარის თეატრალური საზოგადოება“; შესრულება-28 მარტი.

პროექტი-„ბათუმო ჩემო“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა კომპოზიტორის ვაჟა ტულუშის სიმღერის ჩაწერა, თანმდევი მომსახურებებით; ავტორი - ა(ა)იპ დოროთეა პარკელის საქველმოქმედო ფონდი; შესრულება- 20 მარტი -25 აპრილი.

პროექტი - ბათუმის ღამის მარათონი-Tte Great Batumi Night Race“- ქ. ბათუმში დაგეგმილი მარათონის ფარგლებში ჩატარდა კულტურული ღონისძიება, კერძოდ გაიმართა კონცერტი რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მუსიკოსებსებმა, ზვიად ბოლქვაძემ და სოფო ბათილაშვილმა; ავტორი-შპს MARINA COLISEUM. შესრულება - 20 აპრილი.

პროექტი-ტელესერიალი „სადღაც ბათუმში“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა სერიალის გადაღებისთვის საჭირო სამუშაოები, შემუშავდა სცენარი. ავტორი - ა(ა)იპ „მაკრო“. შესრულება - 28 მარტი-28 აპრილი;

პროექტი - „ლექსების გამოფენა/ასი სიტყვა“ - პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი პროზასა და პოეზიაში, მასში მონაწილეობდნენ მწერლები და პოეტები როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე უცხოეთიდანაც. ავტორი- ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი; შესრულება - 27 მარტი 20 მაისი;

პროექტი - „კოლაბორაცია 2“ - პროექტის მიზანია იყო ახალგაზრდა სტუდენტ-შემსრულებლების გაერთიანება და ექსპერინემტული სამემსრულებლო ჯგუფის შექმნა. ჯგუფი შესდგა და მათ მიერ მომზადდა სხვადასხვა ჟანრის რეპერტუარი. გაიმართება პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა, მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. ავტორი- ა(ა)იპ არტ-ალტერნატივა; შესრულება- 28 მარტი - 31 მაისი;

პროექტი-„დრო ძვირფასია“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა აუდიო და ვიდეო ფაილებში ჩაწერა. შერჩა 10 ქართველი მწერლის/ პოეტის, ლექსი/ნაწყვეტი ნაწარმოებებიდან. მოხდა მათი განხილვა. სულ დამზადდა 30 აუდიო და ვიდეო ფაილი.

ავტორი - შპს „საჯარო და კერძო ადმინისტრირების კვლევის და მონიტორინგის ცენტრი“ შესრულება- 1 აპრილი -1 აგვისტო;

პროექტი - „ვეფხისტყაოსნის საერთაშორისო ფესტივალი“. ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც კულტურის ცენტრის 35 ჩვენებური და სხვა წარმომადგენლები ღებულობდნენ მონაწილეობას. პროექტის ფარგლებში გაიმართა აჭარის მხატვართა გამოფენა და ქართული ფოლკლორის საღამო; ავტორი-ა(ა)იპ საქართველოს სკაუტური მოძრაობა აჭარის ორგანიზაცია; შესრულება-5 აპრილი - 8 აპრილი;

პროექტი - „ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2019“. ცეკვის ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 800-1000 მდე მონაწილემ. ჩატარდა სასწავლო სემინარები. ავტორი- ა(ა)იპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თანამედროვე სამეჯლისო და სპორტული ცეკვების კავშირი; შესრულება- 27 ივნისი 29 ივნისი;

პროექტი - „საერთაშორისო ფესტივალი კერამიკის ალქიმია“ განხორციელდა ფესტივალის საზეიმო გახსნა. ფესტივალის ფარგლები ჩატარდა სახალისო-საგანმანათლებლო/პრაქტიკული აქტივობები. მოეწყო კერამიკული ნამუშევრების გამოფენა, ძერწვა, ნაკეთობების მოხატვა, კერამიკის გამოწვის ცეცხლოვანი ალქიმია.

ფესტივალების მონაწილეები ეწვია თიხის კარიერებს, სადაც ადგილზე მოხდა თიხის მოპოვება/დამუშავება/ნაკეთობების პერწვა. ჩატარდა მასტერკლასები. ავტორი- ა(ა)იპ სოციალური საწარმო ანდამატი პრეზიდენტი; შესრულება- 27 აგვისტო- 7 სექტემბერი;

პროექტი - „კინომობილი 2019“ პროექტის ფარგლებში გაიმართა კინო ჩვენებები, რომელსაც ესწრებოდნენ სტუდენტები, მოეწყო ფილმების განხილვა. პროექტის განხორციელების შედეგად დაინტერესებულ ახალგაზრდებს მიეწოდათ ინფორმაცია ქართული კინოხელოვნების, ასევე თანამედროვე კინოინდუსტრიაში მიმდინარე მოვლენებისა და სიახლეების შესახებ. ავტორი-შპს „სოფტი“. შესრულება- 1 მაისი 8 მაისი;

პროექტი-„საერთაშორისო ფესტივალის სლავური ბაზარი -2019“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 2019 წლის 28-ე საერთაშორისო ფესტივალზე „სლავური ბაზარი“ ვიტებსკში საქართველოდან ერთადერთი მონაწილის გიორგი ფუტკარაძის მონაწილეობის უზრუნველყოფა, კერძოდ ჩაიწერა სიმღერები, შეიკერა სასცენო კოსტუმები. ავტორი- ა(ა)იპ განვითარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის კავშირი „პროგრესი“; შესრულება - 25 აპრილი 18 ივლისი;

პროექტი-საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდული შემოქმედებითი ხელოვნება „არტ ფორუმი“ We Are The World. პროექტში მონაწილეობდნენ როგორც ქართველია ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ახალგაზრდები. ერთობლივად ჩატარდა მასტერკლასები, არტ პროექტები. განხორციელდა მოკლემეტრაჟიანი ფილმების/ კლიპების გადაღება, ფლემშობები, ექსკურსიები. ასევე გაიმართა ფესტივალ კონკურსი „Black Sea Stars 2019“. ავტორი- ა(ა)იპ ასოციაცია შავი ზღვის გლობალ არტ ლიგა; შესრულება- 1 ივნისიდან 3 ივლისამდე;

პროექტი-მამა ადამის ლიტერატურულ-მუსიკალური პერფორმანსი „მაგნოლიებიან ზღვისპირა ქალაქში“. პროექტის ფარგლებში ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში ჩატარდა არქიმანდრიტ ადამის ლიტერატურულ-მუსიკალური პერფორმანსი „მაგნოლიებიან ზღვისპირა ქალაქში“, ლიტერატურულ-მუსიკალური პერფორმანზე გამოყენებული იყო მუსიკა, მხატვრული და პუბლიცისტური ლიტერატურული ტექსტები/ მხატვრული კითხვა, ასევე სცენოგრაფია, სცენური მოქმედება, თეატრალური ელემენტები. ღონისძიებას დაესწრო ქალაქის საზოგადოება. ავტორი-ა(ა)იპ „ფესვები -XXI“; შესრულება - 11 ივნისი.

პროექტი- „გვახსოვდეს სიცოცხლე“ - პროექტის ფარგლებში გადაღებული იქნა მხ.დოკ. ფილმის „გვახსოვდეს სიცოცხლე“ მე-2 ნაწილი. ფილმი მიემდვნა ძირძველ ბათუმელთა ხსოვნას. ავტორი- ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდითამარის დარბაზი. შესრულება-1 ივნისიდან -1 აგვისტო.

პროექტი -„გერმანელი ვარსკვლავი კოკო ფლეტჩერი „სიკეთის სახლის“ მშენებლობის მხარდასაჭერად“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კონცერტი „სიკეთის სახლის“ მშენებლობის მხარდასაჭერად, რომელში მონაწილეობა მიიღო გერმანელმა მომღერალმა კოკო ფლეტჩერმა. პროექტის ავტორი - ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი სიკეთის სახლი-კეთილსოფელი; განხორციელების პერიოდი - 5 აგვისტო;

პროექტი -„ახალი თაობის ვირტუოზები-გალა კონცერტი“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კონცერტი, რომლის მიზანი იყო ახალი თაობის მუსიკოსების გაცნობა. პროექტი წარადგინა მუსიკოსმა ნიკოლოზ რაჭველმა. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ექვსმა სოლისტმა გიორგი გიგაშვილმა, სანდრო გეგეჭკორმა, სანდრო სიღამონიძემ, ანნა ჭანიამ, ნანუკა გოლიაძემ და ანასტასია აღლაძემ. პროექტის ავტორი - შპს ხელოვანთა კავშირი კონცეპტ-არტი; განხორციელების პერიოდი-14 ოქტომბერი;

პროექტი - „Glomus 2019“ პროექტის ფარგლებში შედგა Glomus-ის საერთაშორისო მუსიკალური შეხვედრა ბათუმში. პროექტს ჰქონდა შემეცნებით-საგანმანათლებლო ფუნქცია. ჩატარდა მასტერკლასები, ვორქშოპები და ერთობლივი კონცერტები. პროექტში მონაწილეობდა ევროპის, ავსტრალიის, აფრიკის, აზიის და აშშ უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. ავტორი-შპს „გალოგრე“; შესრულება -9-19 სექტემბერი.

პროექტი - „ალექსანდრე ხომერიკის საიუბილეო სადამოს ორგანიზება“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კონცერტი გაიხსნა ალექსანდრე ხომერიკის ვარსკლავი.

პროექტის ავტორი -ა(ა)იპ ალექსანდრე ხომერიკის სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი-ქველი; განხორციელების პერიოდი -20 სექტემბერი-25 სექტემბერი.

პროექტი-ლიტერატურული კონკურსი „ზღვაური 2019“ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ლიტერატურული კონკურსის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას დებუტოებს მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე უცხოეთიდან სულ 100-150 მოსწავლე ჩაერთვება აღნიშნულ კონკურსში. ავტორი-ა(ა)იპ „ზღვაური. შესრულება - 1 ივნისი - 7 დეკემბერი.

პროექტი-„მუსიკალური საჩუქარი ბათუმს“ განხორციელდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ახალგაზრდული საორკესტრო ჯგუფის და რევაზ ლალიძის ბავშვთა გუნდის მიერ ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებში მომზადდა სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნული შემადგენლობისთვის სპეციალურად არანჟირებულ ნაწარმოებების შექმნას. ჩატარდა კონცერტი. ავტორი-ა(ა)იპ კამერატა ჯორჯია; შესრულება - 24 დეკემბერი;

პროექტი-საქველმოქმედო კონცერტი „ვუმდერი ბათუმს“ ქ. ბათუმის სახელწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ვარსკვლავის გამარჯვებული ოთარ ნემსაძე გამართავს კონცერტს, რომელსაც ექნება საქველმოქმედო-შემეცნებითი ხასიათი და მასზე მოწვეული იქნება უნივერსიტეტის სტუდენტები, მზრუნველობას მოკლებული ბავშვები და ა.შ. ავტორი-შპს მიუზიქლაბ; შესრულება - 28 ნოემბერი;

➤ მიღწეული შედეგები:

მხარდაჭერილი და განხორციელებულია კულტურისა და ხელოვნების სფეროში ინიციატივები.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 987,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 952,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,4%.

პროგრამის აღწერა:

"ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის შესყიდული იქნა სასცენო კოსტიუმები, ხანჯლები და ფარები, ასევე პარიკების შესყიდვა.



ვაჟთა ვოკალური ანსამბლის 2 ახალი მსახიობისთვის შეძენილი იქნა ჩოხები და სასცენო ჩექმა.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამით გათვალისწინებული შემოქმედებითი ჯგუფები ჩართულები იყვნენ ქალაქში მიმდინარე კულტურულ აქტივებებსა და ღონისძიებებში:

ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ქორეოგრაფიის რაინდის, პოეტის, მსახიობისა და ბათუმის საპატიო მოქალაქის გივი სიხარულიძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე;

ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა ძალოსნობის ევროპული ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე;

ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ ჩატარებული ძეგლთა დაცვის დღესთან დაკავშირებით;

ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი- სამუზეუმო გაერთიანება, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მუზეუმის კვირეული და ეთნოგრაფებთან შეხვედრა;

ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი ევროპის მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის 2018 წლის დაჯილდოვების გალა ცერემონიაზე;

ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა 1921 წელს ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ იუნკერთა ხსოვნის მემორიალურ ღონისძიებაზე;

ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღეზე გამართულ ცერემონიაში ვაჟთა ვოკალური ანსამბლის და ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრთა მონაწილეობა;

ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი ბათუმისათვის ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ტიტულის World Travel Awards მიღების ცერემონიაზე;

11 - 20 მაისი ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“ მივლინებული იყო უკრაინაში, სადაც სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდა მათი კონცერტები.

4-5 მაისი - ქორეოგრაფიული ანსამბლი მივლინებული იყო ქ.თბილისში გამორჩენილი ხელოვანის და საზოგადო მოღვაწის უჩა დვალიშვილის საიუბილეო საღამოზე;

29 მაისი 1 ივნისი - ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“ მივლინებული იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ქ. ბაქოში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

11 ივლისი - აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმის „საქართველოს ევროპული გზა“ მონაწილეთათვის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი;

8 აგვისტო - ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა 8 აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნის მემორიალურ ღონისძიებაზე;

11 აგვისტო - ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა შინდისის გმირების ხსოვნის მემორიალურ ღონისძიებაზე;

12 აგვისტო - ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი დიდგორობასთან დაკავშირებით;

16 აგვისტო - ვაჟთა ვოკალური ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ღვინის საერთაშორისო ფესტივალვალში;

7 სექტემბერი - ბლექსი არენაზე ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლა;

27 სექტემბერი – ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გამოსვლა სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით;

28 სექტემბერი – ენვერ ხაბაძის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი კონცერტი სასტუმრო პარაგრაფში გამართულ ესტონელ-ქართული საერთაშორისო კონფერენციაზე.

მესამე კვარტალში ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის შესყიდული იქნა პროფესიონალური ინსტრუმენტი დოლები;

ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის შესყიდული იქნა ასევე სასცენო ფეხსაცმელი – აზიურები. ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე– ბლექსიარენა;

ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი ესტონურ-ქართული კონფერენციის მონაწილეთათვის – სასტუმრო პარაგრაფი;"

10 ოქტომბერი - ვოკალური და ვაჟთა ხალხური სიმღერის ანსამბლების კონცერტი ტერენტი გრანელის ძეგლის გახსნის ცერემონიაზე;

12-13 ოქტომბერი მოეწყო ცენტრის ქორეოგრაფიული, ვაჟთა და ქალთა ვოკალური ანსამბლების კონცერტი „განდაგანას“ ფესტივალზე;

20 ოქტომბერი - ენვერ ხაბაძის სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლის, ვოკალური ანსამბლის და ხალხურ საკრავთა ტრიოს კონცერტი აჭარის ქორეოგრაფთა და მუსიკოსთა ლიგის ორგანიზებულ საღამოზე საქართველოს დამსახურებული არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის, თბილისის საპატიო მოქალაქის თენგიზ ურთმელიძის შემოქმედებით საღამოზე;

23 ოქტომბერი - ქორეოგრაფიული და ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლების, ხალხურ საკრავიერთა ტრიოს კონცერტი ჭადრაკის ევროპის გუნდური ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე;

14 ნოემბერი - ქართული ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი ხარიტონ ახვლედიანის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე;

24 ნოემბერი - ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლა ზაურ ლაზიშვილს დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე;

24 ნოემბერი - ვოკალური ანსამბლის გამოსვლა ზაურ ლაზიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე;

14 დეკემბერს აღინიშნა საქართველოს სახალხო არტისტის ენვერ ხაბაძის დაბადებიდან 95 წლისადმი მიძღვნილი იუბილე და ჩატარდა აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თეიმურაზ ბოლქვაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი. საზაფხულო თეატრის წინ გაიხსნა თეიმურაზ ბოლქვაძის „ვარსკვლავი“;

17 დეკემბერი - ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლის გამოსვლა რამინ და მაია მიქაბერიძის ვარსკვლავის გახსნაზე;"

➤ მიღწეული შედეგები:

გაზრდილია ბათუმის კულტურის ცენტრში არსებული ქართული ხალხური ფოლკლორული ანსამბლების ცნობადობა.

თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 235,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 235,4 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 99,8%.

პროგრამის აღწერა:

ჯგუფმა „ჯეოპლანეტი“ შექმნა ახალი სიმღერა, რომლის პრემიერაც გაიმართა ქ. თბილისში, რადიო „ფორტუნაში“ და აჭარის ტელევიზიის დილის ტალღაში. საახალწლო კონცერტის ფარგლებში ქალთა კამერულმა გუნდმა და ჯაზ ბიგ ბენდმა შექმნეს საერთო რეპერტუარი და გალა კონცერტზე პირველად წარუდგინეს მსმენელებს.

19-25 ივნისი ჯაზ ბიგ-ბენდი მივლინებული იყო გერმანიის რესპუბლიკაში, ქალაქ ბერლინსა და პოტსდამში, სადაც „საუკეთესო ორკესტრის“ პრიზი დაიმსახურა. ბერლინში ჩატარდა ფესტივალი „მეგობრობის ხიდი“, პოტსდამში „ფეტა ლა მუზიქუე“ (დაუკარი მუსიკა). . ბენდი გასტროლიდან წარმატებებით დაბრუნდა და მოპიპოვა ფესტივალის გრანპრი.

ჯაზ ბიგ ბენდმა მონაწილეობა მიიღო ევროპის მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის 2018 წლის გამარჯვებულთა დაჯილდოების გალა ცერემონიაზე;

ჯაზ ბიგ ბენდმა მონაწილეობა მიიღო აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ ჩატარებულ ღონისძიებაში მეგლთა დაცვის დღესთან დაკავშირებით;

სახალხო დღესასწაულში „ბათუმობა“ ჩართული იყო ჯაზ ბიგ-ბენდი და ჯგუფი ჯეოპლანეტი. მესამე კვარტალის მონაცემებით აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული კოლექტივები ჩართული იყვნენ ღემდეგ ღონისძიებებში:

12 ივლისი – აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმის „საქართველოს ევროპული გზა“ მონაწილეთათვის ჯაზ ბიგ-ბენდის კონცერტი;

1 აგვისტო – გაიმართა ჯაზ ბიგ-ბენდის კონცერტი ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარედ ახალი სკვერის გახსნასთან დაკავშირებით;

14 აგვისტო – ჯაზ ბიგ-ბენდი მონაწილეობდა ევროპული კერძების საერთაშორისო ფესტივალზე;

24 სექტემბერი – ჯაზ ბიგ-ბენდის სამხატვრო ხელმძღვანელის, მუსიკოსის და დირიჟორის ვ. გორდაძის სიმღერის პრემიერა აჭარის რადიოვიზიით;

ჯაზ ბიგ ბენდის სამხატვრო ხელმძღვანელის, მუსიკოსის და დირიჟორის ვახტანგ გორდაძის სიმღერის „გულით ბათუმელი ვარ“ - პრემიერა - რადიოვიზია;

5 ოქტომბერი - საზაფხულო თეატრში ჩატარდა ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი საერთაშორისო სამიტის მონაწილეთათვის;

31 ოქტომბერი - ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი საქველმოქმედო სადამოხე/სასტუმრო „ლეო გრანდში“ დაღუპული ახალგაზრდების ხსოვნის საპატივცემულოდ;

8 ნოემბერი - ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ტურისტული ცენტრის გახსნის ცერემონიაზე;

23 დეკემბერი - ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი კულტურის და ხელოვნების მუშაკთა დაჯილდოების ცერემონიაზე;

24 დეკემბერი - ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონიაზე;

27-29 დეკემბერი - ჯეო პლანეტის ახალი სიმღერის „ჩვენი გზები“ პრემიერა რადიო ფორტუნაში და აჭარის ტვ-ს „დილის ტალღაში“;

29 დეკემბერი - ჯეო პლანეტის კონცერტი ზღვისპირა პარკში;

➤ მიღწეული შედეგები:



გაზრდილია ბათუმის კულტურის ცენტრში არსებული თანამედროვე მუსიკის შემსრულებელი კოლექტივების ცნობადობა.

კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 461,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 452,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,0%.

პროგრამის აღწერა:

" საახალწლო კონცერტის ფარგლებში ქალთა კამერულმა გუნდმა და ჯაზ ბიგ ბენდმა შექმნეს საერთო რეპერტუარი და გალა კონცერტზე პირველად წარუდგინეს მსმენელებს.

ქალთა კამერულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სულიკო გიორგაძის დაბადების 80 წლისთავის ხსოვნის საღამოზე.

ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის დარბაზში ჩატარდა ქალთა კამერული გუნდისა და ლიეტუვას ქალთა ანსამბლების ერთობლივი საგუნდო მუსიკის საღამო;

სიმებიანი კვარტეტი მონაწილეობდა დეველეპრომენტა ფორუმში.

სასულე ორკესტრი მონაწილეობდა რაგბის ფინალური მატჩის ცერემონიაზე;

სასულე ორკესტრის გამოსვლა ბათუმისათვის ბრძოლის 98-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებაზე“ მაზნიაშვილი-დაუმარცხებელი გენერალი”;

სასულე ორკესტრის მარშები იქნა წარმოდგენილი ქალთა ეკონომიკურ ფორუმთან დაკავშირებით სასულე ორკესტრის მონაწილეობა მამა ანდრია ლაითაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტზე;

ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღეზე გამართულ ცერემონიაში სასულე ორკესტრის მონაწილეობა;

თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კამერული კვარტეტის კონცერტი;

7-9 მაისი ქალთა კამერულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ქ.თბილისის საგუნდო მუსიკის მე-IX საერთაშორისო ფესტივალში.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქალაქში მიმდინარე კულტურულ ღონისძიებებსა და აქტივობებში, კერძოდ ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით გაიმართა:

8 ივლისი – ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ქალთა კამერული გუნდის ერთობლივი კონცერტი ანსამბლ „აიას“ -თან ერთად./ლატვია/;

10-11 ივლისი - აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმის „საქართველოს ევროპული გზა“ მონაწილეთათვის სიმებიანი კვარტეტის კონცერტი;

13 ივლისი –სასულე ორკესტრის მარშები მეზღვაურთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მემედ აბაშიძის პროსპექტზე და კონცერტი ბათუმის ნავსადგურში;

18 ივლისი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის ჩატარდა ქალთა კამერული გუნდის კონცერტი;

28 ივლისი – მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სიმებიანი კვარტეტის გამოსვლა;

19 აგვისტო – რომაული დღეების ფარგლებში ანბანის კოშკის მიმდებარეთ გაიმართა სასულე ორკესტრის კონცერტი;

20 აგვისტო – რომაული დღეების ფარგლებში ჩატარდა ასევე სასულე ორკესტრის კონცერტი გონიოს ციხეში;

29 სექტემბერი – სასულე ორკესტრის მონაწილეობა საერთაშორისო რეგატის „აჭარა 2019“ დახურვის ცერემონიაში.

ქ. ბათუმში საორკესტრო მიმართულების სტუდენტებისთვის ჩატარდა სარეპერტუარო პოლიტიკის განსაზღვრის, საშემსრულებლო ოსტატობისა და მხატვრული დონის ამაღლების მიზნით მასტერკლასები, (კონტრაბასი, ვიოლინო, ალტი, ჰობოი, ვიოლონჩელო), რომლებსაც თბილისიდან მოწვეული პროფესორები ატარებენ. მეცადინეოები ტარდება ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტსა და სამუსიკო სკოლებში.

სასულე ორკესტრის გამოსვლა ნიჩბოსნობაში პირველი საერთაშორისო რეგატის „აჭარა-2019“ დახურვის ცერემონიაში – ახალგაზრდობის პარკი;

4 ოქტომბერი - სიმებიანი კვარტეტის კონცერტი საერთაშორისო სამიტის-სამოქალაქო განათლების განვითარების ხელშესაწყობად გახსნის ცერემონიაზე სასტუმრო „რედისონში“;

5 ოქტომბერი ზღვისპირა პარკში, კოლონადებთან ჩატარდა სასულე ორკესტრის კონცერტი საერთაშორისო სამიტის ფარგლებში;

11 ოქტომბერი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ქალთა კამერული გუნდის საეკლესიო ქორალები საერთაშორისო კონფერენციის „ბიზანტოლოგია საქართველოში“ მონაწილეთათვის;

25 ოქტომბერი - სასულე ორკესტრის მარშები ამერიკის საზღვაო გემების შემოსვლასთან დაკავშირებით;

15 ნოემბერი - ქალთა კამერული გუნდის საიუბილეო სადამო მიძღვნილი იოსებ კეჭელაძის იუბილისადმი;

11 დეკემბერი - სასულე ორკესტრის მარშები საქართველოს ევროსაბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის სამთავრობო ღონისძიებასთან დაკავშირებით;

14 დეკემბერი - სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ვაჟა აზარაშვილის საღამოზე;

15 დეკემბერი - ქალთა კამერული გუნდი, ზაირა და გელა ვადაჭკორიები სტუმრად ვახტანგ ღლონტის სალონურ საღამოზე;

სასულე ორკესტრისთვის შესყიდული იქნა სასცენო კოსტიუმები.

➤ მიღწეული შედეგები:

კლასიკური მუსიკის შემსრულებელი ანსამბლების ცნობადობა გაზრდა.

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 45,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 43,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

1. საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებში მონაწილე პირთა დაფინანსება - გათვალისწინებულია იმ ხელოვანთა ხელშეწყობა,

რომლებიც მოღვაწეობენ ბათუმში და სურთ მონაწილეობის მიიღება საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო ღონისძიებებში (მათ შორის კონკურსებში, ფესტივალებში, გამოფენებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სხვა). ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით.

2019 წლის 31 იანვარის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #9 განკარგულებით დამტკიცებული, ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“/ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 4 კომისიის სხდომა, სადაც განხილული იქნა მიმდინარე წლის თებერვლის, მარტის და აპრილის, ივნისის თვეში შემოსული განაცხადები.

კომისიამ სულ განიხილა 41 განაცხადი, აქედან დაფინანსებაზე რეკომენდაცია გაეწია 38 პირს.

ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს თურქეთის, უკრაინის, ქ. პარიზის, ბაზელის და მაკედონიის სხვადასხვა ქალაქში დაგეგმილ საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში.

2. წლის ხელოვანი - წლის ბოლოს გაიმართა საზეიმო მიღება. განხორციელდა კულტურის სფეროს წარმომადგენელთა დაჯილდოება სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით, კერძოდ, გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი პირები: ნომინაცია „წლის ხელოვანი“ - ვახტანგ ღლონტი. ნომინაცია „რჩეული ხელოვანი“ - მაგდანა მათითაიშვილი, თემურ ბიბილეიშვილი, ზაირა ვადაჭკორია. ნომინაციაზე „დიდოსტატი“ - ვახტანგ ბესელია, ბექა ბოლქვაძე, სერგო გოგოლაძე, ვლადიმერ შარაშიძე და ეკატერინე ღლონტი, ნომინაციაზე „წლის დებიუტანტი“ ქრისტინე მახარაძე. ფულადი ჯილდოსთვის გამოიყო 13 000 ლარი, ხოლო ღონისძიების ორგანიზებისთვის გაიხარჯა 5620 ლარი.

➤ მიღწეული შედეგები:

ქ. ბათუმში მოღვაწე ხელოვანები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში.

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 856,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 854,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-აღმინისტრირება - საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზების მიმართულებით 2019 წელს შრომის ანაზღაურება გაიცა 83 თანამშრომელზე, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 4 პირზე. 7 თანამშრომელზე ანაზღაურდა სამივლინებო ხარჯი, რომლებიც მივლინებული იყვნენ ქ. თბილისში, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საჯარო კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, კომპიუტერული ტექნიკის ჩამოსატანად. მივლინება ქვეყნის გარეთ ანაზღაურდა 1 ადამიანზე - ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მონაწილეობის

მისაღებად. გაწეული იქნა კომუნალური, საკანცელარიო, სამედიცინო, კავშირგაბმულობისა და ინტერნეტ მომსახურების ხარჯი, განხორციელდა ძირითადი შენობის სახურავის მცირე შეკეთება, შემოსასვლელის მოპირკეთების, ეზოს კეთილმოწყობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ბიბლიოთეკის სარდაფში ჩატარდა მარკებისა და წიგნის მუზეუმის კაპიტალური რემონტი და აღიჭურვა ინვენტარით. გაწეული იქნა ბიბლიოთეკის ძირითადი შენობის სარდაფში წიგნისა და მარკების მუზეუმისათვის სივრცის მოწყობის საპროექტო ნახაზის მომზადების ხარჯი. ბიბლიოთეკაში განხორციელდა ტრენინგი 61 ბიბლიოთეკარისათვის თემაზე „მარკეტინგისა და პრომოუტინგის ბაზისები“ და „პროგრამათა და აქტუოვობათა სტრატეგიული დაგეგმვა“ (ტრენერი მამუკა საფარიძე). ტრენინგის 40 მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი. გაწეული იქნა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის ხარჯი (წიგნის თაროები, ეზოს სკამები, მაგიდები).

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება - ჩატარდა დაფინანსებით დაგეგმილი 75 ღონისძიება, კერძოდ: მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს რეზო ჯაბნაძის 65 წლის იუბილზე და ახალი წიგნის „სუბტროპიკული კულტურები“ წარდგენა, საჯარო ლექცია: „მხატვარი დიმიტრი თაყაიშვილი - 100“, „პოეტის, მთარგმნელის, აღმოსავლეთმცოდნე გიორგი ლობჯანიძის ვიდეო - საჯარო ლექცია „აღმოსავლური ლიტერატურა“, პოეტ ქეთევან შენგელიას პოეზიის სადამო, საბავშვო პოეტის მაყვალა მრევლიშვილის დაბადებიდან 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პოეზიის სადამო, წმინდა ვალენტინის დღისადმი მიძღვნილი სადამო, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დღის აღნიშვნისადმი მიძღვნილი შეხვედრა, ლიტერატურული სადამო - გახსენება: „მომოზნეული საფლავები“, პროექტ „გამოჩენილი მწერლის პორტრეტის“ ფარგლებში მწერლის, პოეტის, პუბლიცისტის და ჟურნალისტის ნუგზარ ჯაფარიძის ხსოვნის სადამო - „ნუგზარ ჯაფარიძე დააკლდა ბათუმს“, ნოდარ დუმბაძის გამომცემლობის წიგნების წარდგენა, ბიბლიოთეკას ესტუმრებიან ქეთევან დუმბაძე, ნოდარ მაჭარაშვილი, გიორგი ოთხმეხური, გიორგი კაკაბაძე, ნიკა ჯორჯანელი, ნინია სადღობელაშვილი, მწერლის, მთარგმნელის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებლის ივანე მაჩაბელის 165 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სადამო, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დაარსების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სადამო - „მთაწმინდის პანთეონი - ქართველთა ნეკროპოლი“, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პრეზენტაცია „წარმატებული დიპლომატი ქალბატონები“, გერმანელი ფიზიკოსის ალბერტ აინშტაინის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ზურაბ მესხიძის შემეცნებითი საჯარო ლექცია - „თანამედროვე სამყაროს ახალი ტექნოლოგიები“, პროექტ „გამოჩენილი მწერლის პორტრეტის“ ფარგლებში, საუბარი მწერალ გურამ პეტრიაშვილის შემოქმედებაზე „ყველაფრის წამალი ამ ქვეყნად სიყვარულია ...“, შეხვედრა ბარდთან, კომპოზიტორთან და პოეტთან ინგა გოგუაძესთან, მხატვარ და პოეტ თამარ ლომიძის პოეზიის სარამო, დიალოგი მწერლის, პროზაიკოსის, პოეტის, დრამატურგის „ოთარ ჭილაძის ლიტერატურული სამყარო და ჩვენ - ახალგაზრდები“, საბავშვო პოეტისა და მსახიობის გივი ჭიჭინაძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლიტერატურული შეხვედრა ნორჩ მკითხველებთან, საბავშვო პოეტისა და მსახიობის გივი ჭიჭინაძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლიტერატურული შეხვედრა ნორჩ მკითხველებთან, 'ფრანკოფონიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა ბათუმის საჯარო

სკოლების მოსწავლეებთან „ჩვენ გვიყვარს ფრანგული ენა“, მწერალ გურამ დოჩანაშვილის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი საღამო .

საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი ზეიმი, ფრანკოფონიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა ბათუმის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან „ჩვენ გვიყვარს ფრანგული ენა“, საუბარი საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის თანამშრომელთან, კინომცოდნე სოფიკო თოკმაჯიშვილთან - „ჩარლი ჩაპლინი - 130“, ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, პოეტის, ფილოლოგიის დოქტორის, პროფესორ ბარბაქაძის საჯარო ლექცია "როგორ წავიკითხოთ ერთი ლექსი სამ სემიოტიკურ ენაზე" , საბიბლიოთეკო გაკვეთილი: „წარსული, აწმყო, მომავალი - თაობათა ურთიერთობა“, დედამიწის დღის აღსანიშნავი დისკუსია: „ერთად ვიზრუნოთ დედამიწაზე“, პროზაიკოსის, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის ინგა გოგიბერიძის საიუბილეო პერფორმანსი, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეხვედრა თანამედროვე პოეტ მაყვალა დავლამესთან, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორ-გამომძიებლის, აჭარის ქართული ეროვნული ჭიდაობის ფედერაციის მსაჯის რამინ ადუაშვილის პოეზიის პირველი კრებულის წარდგენა, „ბიბლიოთეკის კვირეული 2019-ის“ გახსნა, შეხვედრა ბათუმის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან „მოდით, ნახეთ - დღეს მე ვარ ბიბლიოთეკარი!“, „ბიბლიოთეკის კვირეული 2019-ის“ ფარგლებში უილიამ შექსპირის დაბადებიდან 425-ე წლისთავისადმი მიძღვნილი „სონეტების საღამო“, „ბიბლიოთეკის კვირეული 2019-ის“ ფარგლებში ამერიკელი მწერლის დენიელ კიზის ნაწარმოების „ყვავილები ელჯერნონისთვის“ განხილვა, „ბიბლიოთეკის კვირეული 2019-ის“ ფარგლებში გაიმართება ნარდის ჩემპიონატი მკითხველებსა და ბიბლიოთეკარებს შორის, „ბიბლიოთეკის კვირეული 2019-ის“ საზეიმო დახურვა, 2018 წლის გამორჩეული ბიბლიოთეკარების დაჯილდოება და სლაიდის „ბიბლიოთეკა, როგორც არაფორმალური განათლების ცენტრი“ ჩვენება, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრის, მეცნიერებათა დოქტორის თამარ ასანიშვილის საჯარო ლექცია, საუბარი იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებაზე - „საოცრად თბილი და სიკეთით სავსე მოთხრობები“, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ძველი გამოცემების, ხელნაწერი წიგნების და ისტორიული დოკუმენტების წარდგენა, ახალი წიგნების წარდგენა, ქართული ფოლკლორის საღამო , პოეტ ნანა კვაშილავას პოეზიის საღამო, შეხვედრა მწერალ მაკა ლდოკონენტთან, ელექტრონული ჟურნალის „ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა გუშინ, დღეს, ხვალ“ წარდგენა ,საბიბლიოთეკო გაკვეთილი : „ევროპა და საქართველო“, ამერიკული ფესტივალი, პოეტ გიზო თავაძის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო, საუბარი : „ხელოვანის ბედი შუა საუკუნეების საქართველოში და დღეს!“, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საბავშვო პოეტ სოფო ფოცხიშვილთან ერთად, პოეტ ბელა ქეზურიას 60 წლის იუბილე, შეხვედრა ახალგაზრდებთან ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით., ამერიკის დამოუკიდებლობის დღე, შეხვედრა მწერალ ანზორ კუდბასთან და წიგნის „ჩრდილს ნუ მომიკლავთ!“ წარდგენა, ახალი წიგნების წარდგენა, ღია კარის დღე - „ცნობის ფურცელი“. ბიბლიოთეკის განახლებული წიგნადი ფონდის და ავტოგრაფიანი ბეჭდური გამოცემების წარდგენა, ამერიკის შეერთებული შტატებში 2011 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული საღამო-გახსენება, 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეხვედრა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარესთან,

პოეტ დავით თედორაძესთან, დისკუსია - „აჭარის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ფურცლები“, ოთარ გოგოლიშვილის საჯარო ლექცია „აფხაზეთი საქართველოა“, მუსიკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული შეხვედრა სხვადასხვა ჟანრის მუსიკოსებთან, საჯარო ლექცია: „იტალიელი მწერლის უმბერტო ეკოს შემოქმედება“, შეხვედრა მწერალ, ჟურნალისტ ნიაზ ზოსიძესთან, მუსიკალურ-ლიტერატურული შეხვედრა პირველკლასელებთან მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი, საუბარი მწერალ, სცენარისტ და კინორეჟისორ გოდერძი ჩოხელზე და ყველაფერ იმაზე, რაც ასეთი რუდუნებით იყო განსხეულებული მასში. (გოდერძი ჩოხელი - 65), შეხვედრა პოეტ ქეთევან გიორგაძესთან, ვეცნობით გერმანულ ლიტერატურას და კულტურას, ჰელოუინის დღესასწაულის აღნიშვნა, შავი ზღვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კონფერენცია ეკოლოგიის თემაზე, ასტრიდ ლინდგრენის თვალთ დანახული სამყარო - შეხვედრა ნორჩ მკითხველებთან, მადლიერების დღე ამერიკაში, საუბარი „ვეცნობით იაპონურ კულტურას“, შ.შ.მ. პირთა უფლებებისათვის დამფუძნებლის, პედაგოგ თაზო მჟავანაძის საჯარო ლექცია - „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს!“, ახალი საგანმანათლებლო სივრცე გაიხსნა., საშობაო ზეიმი, საახალწლო ზეიმი ნორჩ მკითხველებთან.

ბიბლიოთეკის ძირითადი შენობის სარდაფში წიგნისა და მარკების მუზეუმისათვის სივრცის მოწყობა - ბიბლიოთეკის ძირითადი შენობის სარდაფში წიგნისა და მარკების მუზეუმისათვის სივრცის მოწყობის საპროექტო ნახაზის მომზადების ხარჯი 1000 ლარი, 43305,88 ლარზე გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერში გამოვლენილმა გამარჯვებულმა შეასრულა სარემონტო სამუშაოები, შეძენილი იქნა წიგნების და მარკების სივრცის აღჭურვილობა 3906 ლარის ღირებულებით.

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება - შეძენილია 4768 ერთეული ჟურნალ-გაზეთი, 2985 ერთეული წიგნი, 7 ცალი ფოტოსურათი, 10 ცალი დისკი, რუკა 12 ცალი, 5 სასწავლო თამაშობანი. საჩუქრად მიღებულია: 5 ცალი დისკი, 3 ცალი ნოტი, ჟურნალ გაზეთები - 343 ცალი და წიგნი 801 ცალი.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. გაზრდილია ბეჭდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (პროგრამული კოდი 05 05)

01) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 05 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 754,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 731,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია - შეიღესა 65 კვ.მ. კედელი და შეკეთდა 15 კვ.მ. ჭერი; მოეწყო 117 კვ.მ. პირველი სართულის სართულშუა ხის გადახურვა, 117 კვ.მ.

სხვენის გადახურვა და 280 კვ.მ. სახურავის კონსტრუქცია. (დასრულდა)"
თავდადებულის ქ. N35-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია - 67,4 კვ.მ. ხის მასალით მოეწყო I სართულის სართულშუა გადახურვა; მოეწყო II სართულის 27,4 კვ.მ. შუმაბანდის კონსტრუქცია.

შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა - განხორციელდა შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 107,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 98,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა, რომლის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდში შეუფერხებლად განხორციელდა ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის დალაგება-დასუფთავება, კომუნალური მომსახურება (ელექტრო-ენერგია, წყალი, ინტერნეტი); ლიფტის მოვლა-პატრონობა.

2. ახალგაზრდული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა: აღნიშნული მუხლის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში უნდა განხორციელებულიყო პორტატული კომპიუტერის შეძენა, მაგრამ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო კონსოლიდირებული ტენდერის გზით, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს მიერ, შეკვეთილი საქონლის მარაგი ამოიწურა, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გაკეთებული მოთხოვნა სახელმწიფო შესყიდვების წლისური (2019) გეგმის თანახმად, გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებით ვერ დაკმაყოფილდა.

3. ახალგაზრდული ცენტრის ბრენდირება, ახალგაზრდობის ინფორმირებულობა; აღნიშნული მუხლის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდული ცენტრის პროგრამული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების, ახალგაზრდული ცენტრის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდულ ცენტრში, ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობისათვის სარეკლამო და საინფორმაციო პროდუქციის დამზადებისა და მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, გამოცხადდა და შედგა ელექტრონული ტენდერი. განხორციელდა სარეკლამო და საინფორმაციო პროდუქციის დამზადება და მოწოდება, გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ. აღნიშნული მუხლის ფარგლებში, საანგარიშო წლის პერიოდში განხორციელდა ახალგაზრდული ცენტრის პროგრამული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ახალგაზრდული ცენტრის პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარება: შედგა

სატელეფონო კომუნიკაცია საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან დაგეგმილი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების თაობაზე, მომზადდა შეხვედრის გეგმა- გრაფიკი, წერილობით ეცნობა აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიის თაობაზე ქ. ბათუმის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მარტის თვეში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა მოეწყო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის N2, N3 და N4 და N10 საჯარო სკოლებში. სპეციალურად ამ შეხვედრების ორგანიზებისათვის მომზადდა პრეზენტაცია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ ფარგლებში წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, აგრეთვე გასული 2018 წელს ცენტრის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების თაობაზე. პრეზენტაცია მოიცავს ძალიან საინტერესო შინაარსობრივ და მდიდარ ფოტო-მასალას, გარდა ამისა, შეხვედრების დროს აუდიტორია გაეცნო ახალგაზრდული ცენტრის ფეისბუქ გვერდზე განთავსებულ „ახალგაზრდული ცენტრის სარეკლამო ვიდეორგოლსა“ და გასული, მიმდინარე და უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციას. 22 მაისს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა შედგა კერძო სკოლა „ევრო 2000“-ის მოსწავლეებთან, რომელსაც ესწრებოდა 43 ახალგაზრდა; დაიგეგმა შეხვედრების ორგანიზება ქ. ბათუმის უმაღლეს საგანმანათლებლო და პროფესიულ სასწავლებლებთან, რომელთაც (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“; „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“; „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობა“, პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“) აღნიშნულის თაობაზე ეცნობათ წერილობით. 6 ივნისს ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობისა და მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ჩატარდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრას ესწრებოდა 40 მდე ახალგაზრდა; 12 ივნისს ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობისა და მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, შეხვედრას ესწრებოდა 30 მდე ახალგაზრდა.

4. არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში საზღვარგარეთ პერიოდში ადგილობრივი მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის, არაფორმალური განათლების პროგრამების მიწოდების (სხვადასხვა ცოდნისა და უნარების დაუფლებისთვის ტრენინგების, სემინარების, ლექციების, ვორკშოპების, საინფორმაციო შეხვედრების, მათ შორის, სოციალური მეწარმეობისა და მოზარდებისა და ახალგაზრდების ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიმართულებით ჩატარება) მიზნით, განხორციელდა არაერთი აქტივობის ორგანიზება: გამოცხადდა და შედგა ტენდერი აღნიშნული მომსახურების შესყიდვის თაობაზე; შეირჩა წლის განმავლობაში ჩასატარებელი ტრენინგ-სემინარების თემატიკა, დაიგეგმა შეხვედრები საზოგადოებისათვის ცნობილ პიროვნებებთან; ფსიქოლოგთან კომუნიკაციის საფუძველზე, შემუშავდა „ფსიქოლოგის საათის“ ამოქმედების დრო და გრაფიკი, შემუშავდა სააპლიკაციო ფორმა აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის მსურველთათვის ელექტრონული რეგისტრაციის მიზნით, სულ დარეგისტრირდა 45 ბენეფიციარი. 11 აპრილიდან 6 ივნისის ჩათვლით პერიოდში მოზარდების, ახალგაზრდებისა და მშობლების ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მიმართულებით ჩატარდა 14 შეხვედრა ფსიქოლოგ ქეთი გოგიტიძესთან. აღნიშნული სერვისით ისარგებლა 21 ახალგაზრდამ და 5 მშობელმა. 5 ივლისს, სამოქალაქო

საზოგადოების ინსტიტუტის, მშვიდობის კორპუსის ამერიკელმა მოხალისემ, მაიკლ ტრიოზიმ, ჩაატარა პრაქტიკული ვორკშოპი, ახალგაზრდების სფეროში მომუშავე პირებისათვის, გაგვიზიარა, თანამედროვე პრაქტიკა და მიდგომები, ასევე ისაუბრა საკუთარ გამოცდილებასა და იმ მეთოდებზე, თუ როგორ შეიძლება შევქმნათ ახალგაზრდების ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული სერვისები. 20 აგვისტოს, ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა შეხვედრა, ამერიკაში მოღვაწე ახალგაზრდა ბოდიბილდერთან, დეივიდ ლეიდთან. შეხვედრაზე დეივიდმა ახალგაზრდებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება, ისაუბრა თავის მიღწევებზე და მისცა მათ პრაქტიკული რჩევები. შეხვედრას ესწრებოდა 13 ახალგაზრდა. ასევე, 27 აგვისტოს, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა, პოეტ ია ეკელთან. შეხვედრაზე პოეტმა წარადგინა ახალი კრებული „პოეზიის მანიფესტი“. შეხვედრას ესწრებოდა 20 მდე ახალგაზრდა. 15 მაისს ჩატარდა შეხვედრა ექიმ ენდოკრინოლოგ, მედიცინის დოქტორ, ლაშა უჩავასთან. თემა: „ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა“. სტუმარმა ისაუბრა, ჯანსაღი კვების აუცილებლობაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში და გაუზიარა პრაქტიკული რჩევები დამსწრე აუდიტორიას. შეხვედრას ესწრებოდა 20 ახალგაზრდა; 20-21 მაისს ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ეფექტური პრეზენტაცია და საჯარო გამოსვლის ხელოვნება“, ტრენინგს უძღვებოდა, მარდი ჰოლდინგის აღმასრულებელი დირექტორი, მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტი, ევროპის კულტურის პარლამენტის წევრი, ევროპის ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი, ნათია სირაბიძე. ტრენინგში ჩართული იყო 25 ახალგაზრდა; 23-24 მაისს ჩატარდა ტრენინგი „მოქალაქის სოციალური როლი და აქტიური მოქალაქეობა“. ტრენინგი, ნინო ჩხაიძე. ტრენინგში ჩართული იყო, 8 ახალგაზრდა. 30-31 მაისს ჩატარდა ტრენინგი, „სოციალური მეწარმეობა“. ტრენინგს უძღვებოდა, ლანკასტერის უნივერსიტეტის მეწარმეობისა და ინოვაციების მაგისტრი, ანტრეპრენიერი, ანა აბზიანიძე ტრენინგში ჩართული იყო, 19 ახალგაზრდა. 3-4 ივნისს ჩატარდა ტრენინგი „კონფლიქტი და კონფლიქტების მოგვარების გზების ძიება“. ტრენინგს უძღვებოდა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ნატალია ლაზბა. ტრენინგში ჩართული იყო 20 ახალგაზრდა. 6 სექტემბერს, ჩატარდა ინტელექტუალური, შემეცნებითი და გასართობი აქტივობებით დატვირთული აქტივობა, ჯეფარდი 2019. თამაშში ჩასართავად წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე შემოვიდა 25 განაცხადი. აქტივობაში ჩაერთო 13 ახალგაზრდა. ჯეფარდის თემატიკა იყო "ჩვენი საქართველო". გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდა შემეცნებითი ტურით სამცხე-ჯავახეთში. 8 სექტემბერს, მოეწყო ლაშქრობა კავიანის ციხეზე. ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად, წინასწარი რეგისტრაციის მეშვეობით შემოვიდა 42 განაცხადი. ლაშქრობის მონაწილეთა ვინაობა გამოვლინდა წინასწარი გასაუბრების შედეგად. გასაუბრებაზე გამოცხადდა 22 ახალგაზრდა. სალაშქრო მარშრუტი დაგეგმილი იქნა აჭარის მთამსვლელთა და მეკლდეურთა ფედერაციის თავმჯდომარის, გიორგი ჭანკურიძის მიერ. ლაშქრობაში მონაწილეობდა 17 ახალგაზრდა. 12-13 სექტემბერს, განხორციელდა გასვლით ხასიათის ისტორიულ-შემეცნებითი ტური სამცხე-ჯავახეთში. ორდღიან აქტივობაში ჩართული იყო 16 ახალგაზრდა. ინტელექტუალური თამაშის „ჯეფარდი“ გამარჯვებულები და ახალგაზრდული ცენტრის აქტიური მოხალისეები. ტურის მიმდინარეობისას ორი დღის მანძილზე ახალგაზრდებს მეგზურობას უწევდა ისტორიკოსი, მარიამ ტარიელაძე.

17-18 ივნისს ჩატარდა ტრენინგი ტრენინგი „ხელოვნური ინტელექტი და ტექნოლოგიური გამოწვევები“. მომხსენებლები, ზურაბ მესხიძე, გრიგოლ კახიანი, ანრი

ფაღავა. ტრენინგს ესწრებოდა 18 ახალგაზრდა; 20 ივნისს მოეწყო შეხვედრა პოეტ, ფილოლოგ, საქართველოს მწერალთა სახლის წევრ, იაშა თანდილაშვილთან, ლაზურ ეთნოგრაფიულ მუზეუმში. შეხვედრის თემა: „იდენტობა, ტრადიციები და თანამედროვეობა“. შეხვედრას ესწრებოდა 5 ახალგაზრდა; 22 ივნისს ჩატარდა ვორქშოპი, „პირველადი დახმარება და საგანგებო სიტუაციების მართვა“. მომხსენებელი, მედ ცენტრის გადაუდებელი დახმარების მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გადაუდებელი მედიცინის ტრენერი, დათო ხიმშიაშვილი. შეხვედრას ესწრებოდა 2 ახალგაზრდა. 22 ოქტომბერს, ჩატარდა ტრენინგი „კიბერუსაფრთხოება და ინტერნეტ სივრცეში არსებული გამოწვევები“. ტრენინგისათვის ონლაინ სარეგისტრაციო ბმულზე დარეგისტრირდა 175 ახალგაზრდა. ტრენინგს ესწრებოდა 100 ახალგაზრდა. ტრენინგს უძღვებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, გრიგორ კახიანი. 7 და 8 ნოემბერს, ჩატარდა ტრენინგი „პიროვნული განვითარება და უნარ-ჩვევები“. მომხსენებელი ფსიქოთერაპევტი, გიორგი ჭანტურია. ტრენინგზე დასასწრებად დარეგისტრირდა 94 ახალგაზრდა. ტრენინგს ესწრებოდა 58 ახალგაზრდა.

5. ახალგაზრდების თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის ფარგლებში დაგეგმილი იყო ახალგაზრდების იდეებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობის, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის ორგანიზების უნარების დაუფლების, თემის განვითარებაში ახალგაზრდების როლისა და მონაწილეობის გაზრდის მიზნით, კონკურსის წესით ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი საინიციატივო პროექტების შერჩევა და დაფინანსება. სწორედ ამ მიზნით მ.წ. იანვრის თვეში მომზადდა „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამით „ახალგაზრდული ცენტრის“ ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესი და დებულება“, რომელიც დამტკიცებული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ.წ. 31 იანვრის N7 განკარგულებით. საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 23 (ოცდასამი) განაცხადი, რომელთაგან შვირჩა და დაფინანსდა 14 (თოთხმეტი) პროექტი. პროექტი 1:- „საქართველოს პარლამენტის მოდელირება 2019- საგაზაფხულო სესია“, რომლის მიზანს წარმოადგენდა არაფორმალური განათლების მეშვეობით ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ პროცესებში, საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ცოდნის გავრცელება, დებატების, საჯარო გამოსვლისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში 29 მარტს, ქალაქ ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში, პროექტის მონაწილეებისათვის მოწვეულმა სპიკერმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა, ტრენინგ-სემინარი თემაზე: „საქართველოს პარლამენტის მუშაობა და ფუნქციები“. 30 და 31 მარტს გაიმართა სამუშაოები და სხდომები შემდეგ კომიტეტებში: განათლების, მეცნიერების, კულტურის კომიტეტი, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი. პლენარულ სხდომაზე წარმოდგენილი 4 რეზოლუციიდან დამტკიცდა 3, მათ შორის: სქესობრივი განათლება სკოლებში, ნარჩენების მართვა და თანამედროვე ტექნოლოგიები, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება. თითოეული კომიტეტიდან გამოვლიდნენ საუკეთესო დელეგატი, რომლებსაც სხვადასხვა პრიზები გადაეცათ. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი იყვნენ ბათუმელი ახალგაზრდები თამარ აბაშიძე და ზალინა გორგილაძე. მოსწავლეებმა და

სტუდენტებმა, სულ 100-მა ახალგაზრდამ. პროექტი 2: - „შეიცანი შენი კულტურა“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში შემცენებითი, საგანმანათლებლო პროექტებისადმი ინტერესის გაზრდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო ექსკურსია იმერეთის რეგიონში. ახალგაზრდები გაეცნენ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხის იმერეთის თვალწარმტაც ბუნებას, მოინახულეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და შეიმეცნეს ღირსშესანიშნაობებთან დაკავშირებული ისტორია. პროექტის ავტორი იყო ბათუმელი ახალგაზრდა მარიკა გაბაიძე. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 50 ახალგაზრდამ. პროექტი განხორციელდა 28-31 მარტს.

პროექტი 3: - „ჩვენი მემკვიდრეობა“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში საგანმანათლებლო პროექტებისადმი ინტერესისა და ჩართულობის გაზრდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო ექსკურსია სვანეთში. 50 ახალგაზრდა გაეცნო სვანეთის ულამაზეს ბუნებას, მოინახულეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და შეიმეცნეს ღირსშესანიშნაობებთან დაკავშირებული ისტორია. პროექტის ავტორი იყო ბათუმელი ახალგაზრდა ცოტნე ბათაძე. პროექტი განხორციელდა 28-31 მარტს.

პროექტი 4: „ქუჩის კალათბურთი 2" მიზანი: ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია, თავისუფალი დროის ორგანიზება ქუჩის კალათბურთის თამაშებში ჩართულობის გზით. პროექტის ფარგლებში გამოცხადდა გუნდების რეგისტრაცია, ჩატარდა გუნდური მატჩები, პროექტში სულ ჩაერთო კალათბურთით დაინტერესებული 14 დან 29 წლამდე ასაკის 120 ახალგაზრდა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებითა და სამახსოვრო საჩუქრებით. პროექტი განხორციელდა 1-28 აპრილის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი იყო ბათუმელი ახალგაზრდა ნიკოლოზ კიკვაძე.

პროექტი 5: - „ბავშვები ითხოვენ მშვიდობას" - პროექტის მიზანი იყო სახალხო დიპლომატიის განვითარების ხელშეწყობა, ქართველი და უკრაინელი ვეტერანების შვილების დამეგობრება და საომარი მოქმედებების ზონაში მცხოვრები უკრაინელი ბავშვების ფსიქო-რეაბილიტაცია. აჭარის კულტურული და ტურისტული პოტენციალის გაცნობა, ასევე ღირსშესანიშნაობების მონახულება. პროექტმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა რუსული აგრესიის შედეგები, რომლის შეჩერებას მსოფლიო მხარდაჭერა სჭირდება. პროექტში ჩართული იყო 20 უკრაინელი და 20 ქართველი მოზარდი, 6 ადამიანისაგან შემდგარი საორგანიზაციო ჯგუფი. პროექტის ფარგლებში სხვადასხავ აქტივობაში ჩართული იყო დაახლოებით 100 ადამიანი (შერეული ჯგუფი). პროექტის განხორციელების ვადები იყო 1-30 ივნისი, თუმცა პროექტი განხორციელდა ვადის დარღვევით, რის გამოც პროექტის ავტორი დაჯარიმდა 9 ლარით. პროექტი განხორციელდა 16-26 ივლისს. პროექტის ავტორი გახლდათ ბათუმელი ახალგაზრდა-ზურაბ დიასამიძე.

პროექტი 6: - „ცხოვრების სკოლა" - მიზანი: მოზარდებსა და ახალგაზრდებში ცხოვრებისეულ საკითხებთან და სირთულეებთან გამკლავების უნარ-ჩვევების დაუფლება. პროექტი „ცხოვრების სკოლის" ფარგლებში ბათუმში მცხოვრები 14 - დან 26 წლამდე ასაკის მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის. პროექტის ფარგლებში ჩატარდა პრეაქტიული ტრენინგები, ვორკშოპები შემდეგი თემატიკის ირგვლივ: პირველადი დახმარება; მენტალური ჯანმრთელობა; დეპრესიასთან გამკლავების მეთოდები, სტრესის მართვა; დროის მართვა; დეპრესიასთან ბრძოლის მეთოდები; ემოციური ინტელექტის გაუმჯობესების მეთოდები, ბიზნეს გეგმის წერა; ბიზნეს მოდელის შემუშავება. მოეწყო შეხვედრა ადგილობრივ მეწარმეებთან. ჩატარდა ვორკშოპი „მეწარმეობა", რა არის ანტრეპრენერშიფი? პროექტის მონაწილეებს გადაეცათ

სერთიფიკატები. პროექტში მონაწილეობდა 100 ახალგაზრდა. პროექტი განხორციელდა 1-30 აპრილის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი იყო ბათუმელი ახალგაზრდა ზალინა გორგილაძე."

პროექტი 7 - „ჭადრაკი ყველასათვის" - მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების დაინტერესება ჭადრაკით. პროექტის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარდა ჭადრაკის თამაშები. პროექტის განხორციელება დაიწყო 1 აპრილს და გაგრძელდა 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში კვირაში სამჯერ კვალიფიციური ტრენერის მიერ, ჩატარდა 2 საათიანი მეცადინეობა, რომელშიც ჩაერთო 12 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა და დასაქმდა 2 მასწავლებელი. პროექტის ავტორია ბათუმელი ახალგაზრდა - მარიამ თევზაძე.

პროექტი 8 - „გააზიარე წიგნიერება" - მიზანი: წიგნიერების კულტურის განვითარება და ხელშეწყობა. ორეიქტის ფარგლებში განხორციელდა 2 ცალი წიგნის ჯიხურის დამზადება; წიგნების შეძენა; ჯიხურების მონტაჟი ზღვისპირა პარკის საბავშვო მოედანზე და 26 მაისის პარკის მოედანზე. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად საშუალება მიეცათ პარკში გასარატობად გაასულ ახალგაზრდებს წაიკითხონ ჯიხურებში განთავსებული წიგნები. პროექტი განხორციელდა 7-24 მაისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი იყო ბათუმელი ახალგაზრდა ილონა სარიკიან.

პროექტი 9 - „DIY" . მიზანი - ფოტო-ვიდეო ხელოვნებით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის გამოცდილების გაზიარება, პროექტის ფარგლებში განხორციელდა ახალგაზრდებისათვის ინფორმაციის მიწოდება პროექტის არსის ტაობაზე; მოეწყო შეხვედრები „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა" და „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის" თვითმმართველობებთან; განხორციელდა პროექტის მონაწილეთა შერჩევა; ჩატარდა ტრენინგები შემდეგი თემატიკის ირგვლივ: „ფოტოგრაფია"; „ფოტოშოპი"; „ვიდეოგრაფია"; „მონტაჟი". განხორციელდა პრაქტიკული სამუშაოები ფოტოგრაფია-ფოტოშოპი, ვიდეოგრაფია და მონტაჟის მიმართულებით. პროექტში მონაწილეობა მიიღო 20 ახალგაზრდამ. პროექტი განხორციელდა 1 მაისიდან 17 ივნისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი იყო ბათუმელი ახალგაზრდა გიორგი კოხრიძე.

პროექტი 10 - „ეკო-ტური". პროექტი „ეკო-ტური" პროექტი განხორციელდა 2019 წლის 22 მაისიდან 25 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში. პროექტის მიზანი იყო ეკოტურიზმის განვითარებაში ახალგაზრდების მონაწილეობა, ახალგაზრდებში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება როგორცაა თანატოლებთან და უფროსებთან კონსტრუქციული მუშაობისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები. პროექტის ფარგლებში მოეწყო ეკო ტური მაჭახელას ხეობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმოცმა ბათუმელმა ახალგაზრდამ. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი წინა მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ: მონაწილეების სარეგისტრაციო ბმულის შედგენა და რეგისტრაცია, დარეგისტრირებული მონაწილეებისათვის ერთმანეთის გაცნობა, მოვალეობების გადანაწილება, მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, PR კომუნიკაციის ჩართვა პროექტის მსვლელობაში, პიარისა და საზოგადოების ურთირთიერთობის სპეციალიტთან კონსულტაციის გავლა, მისი უშუალო მითითებით პროექტის პიარ სტრატეგიის დაგეგმვა, ცნობადობის გაზრდისა და სარეკლამო კამპანიის წარმართვის მიზნით, დამზადდა სარეკლამო ბროშურები და სამი ვიდეო რგოლი, რომლებიც გადაეცა საინფორმაციო ტურისტულ ცენტრებს, სარეკლამო ინფორმაციის განთავსება გაზეთ ბათუმელებში, აჭარის რადიოში, ადგილობრივ ტელევიზიებში.

პროექტის მონაწილეებმა გაიარეს კონსულტაციები შესაბამის სპეციალისტებთან, რამოდენიმე ახალგაზრდა გადამზადებულ იქნა გიდისა და ტუროპერატორის მოვალეობის შესასრულებლად, მომზადდა სამოგზაურო დოკუმენტი, განხორციელდა ეკო ტურით გათვალისწინებული პროგრამის დეტალური გაცნობა მონაწილეებისათვის. პროექტის განხორციელების შედეგად მომზადდა 40 ახალგაზრდა „კეთილი ნების ელჩი“, რომლებიც ხელს შეუწყობენ მაჭახელას ხეობაში ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით საკუთარი თვალთა ნანახი ინფორმაციის გავრცელებას, გარდა ამისა სამომავლოდ თითოეულმა პროექტის მონაწილემ თავად უნდა განახორციელოს მსგავსი ტურის დაგეგმვა და ორგანიზება ახალგაზრდების მონაწილეობით. პროექტის ავტორი გახლდათ ბათუმელი ახალგაზრდა - თამთა შავაძე.

პროექტი 11 - „საზაფხულო ბანაკი - 2019“. მიზანი - 14-18 წლამდე ახალგაზრდების საზაფხულო-საგანმანათლებლო ბანაკებში ჩართვა, რომელიც მოემსახურება ჯანსაღი ცხოვრების წესის, გარემოს დაცვითი ღონისძიებების, ფსიქიკური ჯანმრთელობის, სწორი კვების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ბანაკის ორგანიზება იგეგმება მ.წ. 20-29 აგვისტოს ცათვლით პერიოდში. პროექტის ავტორია ბათუმელი ახალგაზრდა - ნანა ქათამაძე.

პროექტი 12: ფერების ფესტივალი"- პროექტის მიზანი: მსოფლიო კულტურაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ქუჩის ხელოვნება. ბოლო ათწლეულების მანძილზე "გრაფიტი" საქართველოშიც აქტიურ ფაზაში შედის. ქალაქ ბათუმში მრავალჯერ ჩატარებულა "სტრიტ არტ" ფესტივალები. სპეციალურად ღონისძიებისთვის დაგეგმილი აქტივობა (ქუჩის მხატვრობის ელემენტებით) მიზანდ ისახავდა ამ კულტურის წარმოჩენას, პოპულარიზაციასა და საზოგადოებაში ფერების საშუალებით ცნობიერების ამაღლებას. პროექტში ჩართული იყო ყველა ის ახალგაზრდა, რომელიც დაინტერესებული იყო 12 აგვისტოს (ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე) ღონისძიებით, სხვადასხვა დოზით იყვნენ ჩართული აღნიშნულ პროექტშიც. პროექტი განხორციელდა მ.წ. 11-12 აგვისტოს. პროექტის ავტორია ბათუმელი ახალგაზრდა - ბარბარე თურმანიძე.

პროექტი 13: „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“- პროექტის მიზანი: შშმ პირთა საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა, თანაბარუფლებრივი მდგომარეობის დამკვიდრების ხელშეწყობა, აქტიურ ცხოვრებაში დარჩენის მოტივაციის ხელშეწყობა. საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების მოშლა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები შშმ პირებს შორის კომუნიკაციის დამყარება/დამეგობრება. ღონისძიებას, რომელიც გაიმართა ბორჯომში, დაესწრო 200-მდე ადამიანი, 50-ზე მეტმა შშმ პირმა მიიღო მონაწილეობა პეიონტბოლის ტურნირში. ერთჯერადად დასაქმდა 6 ადამიანი. პროექტის დაწყების თარიღი: 14 აგვისტო, დასრულება 14 სექტემბერი. პროექტის ავტორი- იოსებ ყაზაიშვილი.

პროექტი 14: „ფერადი სიცოცხლე" - პროექტი - „ფერადი სიცოცხლე“. პროექტი განხორციელდა 2019 წლის 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში. პროექტის მიზანი იყო სტანდარტული გარემოს შეცვლა ისე, როგორც ახალგაზრდულ სივრცეს შეესაბამება, თანამედროვე კულტურის შემოქმედების წარმოჩენა. აღნიშნული პროექტით ხელოვნების დარგის, კერძოდ კედლის მხატვრობის პოპულარიზაცია, რომელსაც დიდი ფესვები აქვს მსოფლიო ისტორიაში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის შიდა კედლების მოხატვა ახალგაზრდა ბათუმელი მხატვრის იოსებ ჯორბენაძის მიერ. ხატვის პროცესში ჩართულნი იყვნენ ბათუმელი ახალგაზრდებიც, რაც მეტად სანახაობრივი, საინტერესო,

ემოციებით დატვირთული და ბევრი მათგანისათვის ახალი შთაგონების წყარო იყო. პროექტის ავტორი გახლდათ ბათუმელი ახალგაზრდა - მარიამ ფუტკარაძე.

6. კლუბების განვითარების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში სულ განხილულ იქნა თორმეტი ლიტერატურული ნაწარმოები, კერძოდ: 3 მაისს მოეწყო ვ.ჰიუგოს ნაწარმოების, “პარიზის ღვითსმშიბლის ტაძარი” განხილვა. შეხვედრას ესწრებოდა 17 ახალგაზრდა; 17 მაისს ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ლიტერატურული კლუბის შეხვედრა. მკითხველებმა განიხილეს, ვაჟა-ფშაველას პოემა “ალუდა ქეთელაური”. შეხვედრას ესწრებოდა 10 ახალგაზრდა; 24 მაისს მკითხველებმა ისაუბრეს ანტიკური ხანის მხატვრულ ნაწარმოებებზე. შეხვედრას ესწრებოდა 9 ახალგაზრდა; 31 მაისს განხილული იქნა მიხეილ ჯავახიშვილის, „თეთრი საყელო“. შეხვედრას ესწრებოდა 4 ახალგაზრდა. 7 ივნისს ჩატარდა ლიტერატურული კლუბის შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა 4 ახალგაზრდა. შეხვედრას მოდერატორობდა, ქართული ენისა და ლიტერატურის, კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი, ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორანტი, კესო ბორჩხაძე. 14 ივნისს ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ლიტერატურული კლუბის აქტივობების ფარგლებში, მოეწყო გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო ღია ცის ქვეშ, ცენტრალურ პარკში. გარდა ამისა, მოეწყო ახალგაზრდა მწერლის ანა ბარათაშვილის წიგნის „სიყვარულის ზღაპარი“ პრეზენტაცია. ინკლუზიურ აქტივობაში ჩართული იყო 7 ახალგაზრდა. 5 ივლისს, ჩატარდა მცირე, შიდა შემაჯამებელი ვიქტორინა. შეხვედრას ესწრებოდა, 6 ახალგაზრდა. 17 ოქტომბერს, ჩატარდა ლიტერატურული კლუბის შეხვედრა და შეირჩა მომავალი შეხვედრისათვის განსახილველი ნაწარმოები, ელის უოკერის „იისფერი“. შეხვედრა ატარებდა გაცნობით ხასიათს კლუბის ახალი წევრებისათვის. შეხვედრას ესწრებოდა 8 ახალგაზრდა. 7 ნოემბერს, კლუბის შეხვედრაზე განიხილებოდა ნაწარმოები, ლაშა ბუღაძის აუდიტორია. კლუბის შეხვედრის მოდერატორი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, გუგა მგელაძე. შეხვედრას ესწრებოდა 9 ახალგაზრდა. 14 ნოემბერს, ჩატარდა ლიტერატურული კლუბის შეხვედრა. ნაწარმოები ა. კამიუს „უცხო“. შეხვედრას მოდერატორობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, გუგა მგელაძე. ჩართული იყო 10 ახალგაზრდა. 21 ნოემბერს, კლუბის . შეხვედრაზე განიხილებოდა ნაწარმოები, აკა მორჩილაძის, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“. შეხვედრის მოდერატორი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, გუგა მგელაძე. შეხვედრას ესწრებოდა 9 ახალგაზრდა. 28 ნოემბერს, ჩატარდა ლიტერატურული კლუბის შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა 3 ახალგაზრდა. შეხვედრაზე განიხილებოდა ლაშა ბუღაძის „ნაფტალინი“. მოდერატორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, გუგა მგელაძე. 5 დეკემბერს, ჩატარდა ლიტერატურული კლუბის შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილებოდა კოტე ჯანდიერის „კონკიას ღამე“. შეხვედრას ესწრებოდა 4 ახალგაზრდა.

შეხვედრას მოდერატორობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, გუგა მგელაძე. 12 დეკემბერს, ჩატარდა ლიტერატურული კლუბის შემაჯამებელი ვიქტორინა. ვიქტორინაში ჩართული იყო 12 ახალგაზრდა. ვიქტორინას ესწრებოდა 17 ახალგაზრდა. შემაჯამებელი ღონისძიება ჩაატარა კლუბის მოდერატორმა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრმა, გუგა მგელაძემ. ვიქტორინაში გამარჯვებულ გუნდს გადაეცათ წიგნების სასაჩუქრე ვაუჩერები. ეკოკლუბის, ხელოვნების კლუბისა და კინოკლუბის ფარგლებში მ.წ. პირველ კვარტალში არ განხორციელებულა რაიმე სახის ღონისძიება, გამომდინარე იქედან, რომ დროში გაიწელა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების, ტენდერის ჩატარებისა და შემდგომ

მომწოდებელთან დეტალების დაზუსტების პროცესი, აგრეთვე კლუბებში გაწევრიანების მსურველთა რეგისტრაციის პროცესი. საანგარიშო პერიოდში ეკოკლუბის ფარგლებში კლუბის წევრებისათვის დამზადდა ბრენდირებული მაისურები და სილიკონის სამაჯურები, შესყიდული იქნა სამუშაო ხელთათმანები. 6 მაისს ჩატარდა მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკო კლუბის შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა 9 ახალგაზრდა; 13 მაისს ჩატარდა ეკო კლუბის შეხვედრა. ახალგაზრდებმა წარადგინეს საინტერესო თემების ირგვლივ მომზადებული პრეზენტაციები. შეხვედრას ესწრებოდა 10 ახალგაზრდა; 20 მაისს ჩატარდა გასვლითი ხასიათის აქტივობა. ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკო კლუბი, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ეწვია ქობულეთის ვიზიტორთა ცენტრსა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს. აქტივობაში ჩართული იყო, 10 ახალგაზრდა; 27 მაისს ჩატარდა ეკო კლუბის შეხვედრა. კლუბის წევრებმა სხვადასხვა ეკოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით, ისაუბრეს გადაჭრდი გზებზე, დასახეს სამოქმედო გეგმები და საკუთარი ხელით მოამზადეს საინფორმაციო პოსტერები. შეხვედრას ესწრებოდა, 8 ახალგაზრდა; 3 ივნისს ეკო კლუბის წევრები ჩაერთნენ, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის სარეკლამო ვიდეორგოლის გადაღებაში; 10 ივნისს ეკო კლუბის შეხვედრაზე მოეწყო ფილმის, „დღე ხვალის შემდეგ ჩვენება“. ფილმი ეხება გლობალური დათბობის თემატიკასა და ყველა იმ ეკოლოგიურ გამოწვევას რის წინაშეც დგას მსოფლიო დღეს. შეხვედრას ესწრებოდა 6 ახალგაზრდა; 21 ივნისს ბათუმის გამწვანების სამსახურთან ერთად, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკო კლუბის წევრებმა, მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების დარგვაში. აქტივობაში ჩართული იყო 5 ახალგაზრდა.

საანგარიშო პერიოდში სულ განხილულ იქნა ხუთი ლიტერატურული ნაწარმოები, კერძოდ: 3 მაისს მოეწყო ვ.ჰიუგოს ნაწარმოების, „პარიზის ღვითსმშიბლის ტაძარი“ განხილვა. შეხვედრას ესწრებოდა 17 ახალგაზრდა; 17 მაისს ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ლიტერატურული კლუბის შეხვედრა. მკითხველებმა განიხილეს, ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“. შეხვედრას ესწრებოდა 10 ახალგაზრდა; 24 მაისს მკითხველებმა ისაუბრეს ანტიკური ხანის მხატვრულ ნაწარმოებებზე. შეხვედრას ესწრებოდა 9 ახალგაზრდა; 31 მაისს განხილული იქნა მიხეილ ჯავახიშვილის, „თეთრი საყელო“. შეხვედრას ესწრებოდა 4 ახალგაზრდა. 7 ივნისს ჩატარდა ლიტერატურული კლუბის შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა 4 ახალგაზრდა. შეხვედრას მოდერატორობდა, ქართული ენისა და ლიტერატურის, კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი, ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორანტი, კესო ბორჩხაძე. 14 ივნისს ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ლიტერატურული კლუბის აქტივობების ფარგლებში, მოეწყო გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის სადამო ღია ცის ქვეშ, ცენტრალურ პარკში. გარდა ამისა, მოეწყო ახალგაზრდა მწერლის ანა ბარათაშვილის წიგნის „სიყვარულის ზღაპარი“ პრეზენტაცია. ინკლუზიურ აქტივობაში ჩართული იყო 7 ახალგაზრდა.

ეკოკლუბის, ხელოვნების კლუბისა და კინოკლუბის ფარგლებში მ.წ. პირველ კვარტალში არ განხორციელებულა რაიმე სახის ღონისძიება, გამომდინარე იქედან, რომ დროში გაიწელა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების, ტენდერის ჩატარებისა და შემდგომ მომწოდებელთან დეტალების დაზუსტების პროცესი, აგრეთვე კლუბებში გაწევრიანების მსურველთა რეგისტრაციის პროცესი. საანგარიშო პერიოდში ეკოკლუბის ფარგლებში კლუბის წევრებისათვის დამზადდა ბრენდირებული მაისურები და სილიკონის სამაჯურები, შესყიდული იქნა სამუშაო ხელთათმანები. 6 მაისს ჩატარდა

მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკო კლუბის შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა 9 ახალგაზრდა; 13 მაისს ჩატარდა ეკო კლუბის შეხვედრა. ახალგაზრდებმა წარადგინეს საინტერესო თემების ირგვლივ მომზადებული პრეზენტაციები. შეხვედრას ესწრებოდა 10 ახალგაზრდა; 20 მაისს ჩატარდა გასვლითი ხასიათის აქტივობა. ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკო კლუბი, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ეწვია ქობულეთის ვიზიტორთა ცენტრსა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს. აქტივობაში ჩართული იყო, 10 ახალგაზრდა; 27 მაისს ჩატარდა ეკო კლუბის შეხვედრა. კლუბის წევრებმა სხვადასხვა ეკოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით, ისაუბრეს გადაჭრდი გზებზე, დასახეს სამოქმედო გეგმები და საკუთარი ხელით მოამზადეს საინფორმაციო პოსტერები. შეხვედრას ესწრებოდა, 8 ახალგაზრდა; 3 ივნისს ეკო კლუბის წევრები ჩაერთნენ, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის სარეკლამო ვიდეორგოლის გადაღებაში; 10 ივნისს ეკო კლუბის შეხვედრაზე მოეწყო ფილმის, „დღე ხვალის შემდეგ ჩვენება“. ფილმი ეხება გლობალური დათბობის თემატიკასა და ყველა იმ ეკოლოგიურ გამოწვევას რის წინაშეც დგას მსოფლიო დღეს. შეხვედრას ესწრებოდა 6 ახალგაზრდა; 21 ივნისს ბათუმის გამწვანების სამსახურთან ერთად, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკო კლუბის წევრებმა, მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების დარგვაში. აქტივობაში ჩართული იყო 5 ახალგაზრდა. ეკოკლუბის აქტივობების ფარგლებში, 4 ოქტომბერს, ეკო კლუბის აქტივობების ფარგლებში ჩატარდა პლაჟის დასუფთავების აქცია. აქტივობაში მონაწილეობდა 7 ახალგაზრდა. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის CENN-ის მხარდაჭერით, ახალგაზრდებს დაურიგდათ დასუფთავების აქციისათვის საჭირო ინვენტარი. პლაჟის ტერიტორიაზე შეგროვდა სხვადასხვა ტიპის ნარჩენები. 8 ოქტომბერს, ეკო კლუბის შეხვედრაზე მოეწყო პრეზენტაცია თემაზე „კლიმატის ცვლილება“. მომხსენებელი კლუბის წევრი, ჯაბა ბერიძე. შეხვედრას ესწრებოდა 11 ახალგაზრდა.

1 ივლისს, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკო კლუბს ეტუმრა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის, CENN-ის რეგიონალური კოორდინატორი, ირაკლი მიქელაძე. კლუბის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია ნიკო კეცხოველის სასკოლო ოლიმპიადის შესახებ. ასევე შეხვედრა ეხებოდა მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვასაც. შეხვედრას ესწრებოდა, 6 ახალგაზრდა. 8 ივლისს, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკო კლუბის წევრებმა დაგეგმეს შემეცნებითი ეკო ტურისტული მარშრუტები და ისაუბრეს საქართველოს ეკო ტურისტულ პოტენციალზე. შეხვედრას ესწრებოდა მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისე სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტიდან, მაიკლ ტრიოზი. აქტივობაში ჩართული იყო, 5 ახალგაზრდა. საანგარიშო პერიოდში, კლუბის წევრები იკრიბებოდნენ ყოველ ორშაბათს, 4 საათზე. თუმცა არდადეგების პერიოდის განმავლობაში აქტივობებზე სწრებადობის მაჩვენებელი იყო დაბალი. 16 სექტემბერს, ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკო კლუბის აქტივობების ფარგლებში, კლუბის წევრების მიერ ორგანიზებულ იქნა საინფორმაციო სესია ოზონის შრის დაცვისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. საინფორმაციო სესიის შესახებ დაანონსებული იქნა აჭარის რადიოს „რადიოვიზიის“ პირდაპირი მაუწყებლობის მეშვეობითაც. შეხვედრას ესწრებოდა 7 ახალგაზრდა.

კინოკლუბის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში კლუბის წევრებისათვის დამზადდა სილიკონის ბრენდირებული სამაჯურები, მოეწყო რამოდენიმე ფილმის

შერჩევა და განხილვა კინომცოდნესთან ერთად. 22 მაისს კინო კლუბის აქტივობების ფარგლებში მოეწყო გიორგი შენგალაიას ფილმის, „ფიროსმანი“ ჩვენება. ჩვენებას მოდერატორობდა, მხატვარი და კინორეჟისორი, გიორგი გოგიბერიძე. შეხვედრას ესწრებოდა 7 ახალგაზრდა; 12 ივნისს მოეწყო რომან პოლანსკის ფილმის, „პიანისტი“ ჩვენება. მოდერატორი, გიორგი გოგიბერიძე. ფილმის ჩვენებას ესწრებოდა 3 ახალგაზრდა; 19 ივნისს მოეწყო რიჩარდ ლაგრავენესის ფილმის, „თავისუფლების მწერლები“ ჩვენება. მოდერატორი, კინომცოდნე, სოფიკო თოქმაჯიშვილი. ფილმის ჩვენებას ესწრებოდა 8 ახალგაზრდა; 26 ივნისს მოეწყო ფილმის, „ვიდაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ ჩვენება. მოდერატორი, კინომცოდნე, სოფიკო თოქმაჯიშვილი. ფილმის ჩვენებას ესწრებოდა 8 ახალგაზრდა; 3 ივლისს, ჩატარდა ფილმის, „თრუმენის შოუ“ ჩვენება. ჩვენებას მოდერატორობდა, კინომცოდნე, სოფიკო თოქმაჯიშვილი. ჩვენებას ესწრებოდა, 7 ახალგაზრდა.

ხელოვნების კლუბი - თეატრალური ხელოვნებითა და მსახიობობით დაინტერესებული მოზარდების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით სპექტაკლის დადგმის მიზნით, მომზადდა სახელშეკრულებო პირობები დაიგეგმა სპექტაკლის ორგანიზება და მიმდინარეობს რეპეტიციები. მონაწილეობისათვის წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე შემოვიდა, 16 განაცხადი. აპლიკანტები მოწვეული იქნენ შესარჩევ ქასთინგზე, რომელსაც უძღვებოდა რეჟისორი, ნატალია გალოგრე. ორდღიანი ქასთინგის შედეგად შეირჩა 12 ახალგაზრდა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თეატრის დადგმაში. აქედან 4 არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. 23 სექტემბერიდან, მიმდინარეობს სამაგიდო რეპეტიციები, კვირაში 5 დღის განმავლობაში. პრემიერის სავარაუდო თარიღად ჩანიშნულია 28 ოქტომბერი. კინოკლუბის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში, 2 ოქტომბერს, ჩატარდა ალფრედ ჰიჩკოკის ფილმის „ფსიქო“ ჩვენება. ჩვენებას მოდერატორობდა, კინომცოდნე, სოფიკო თოქმაჯიშვილი. ფილმის ჩვენებას ესწრებოდა 19 ახალგაზრდა. 9 ოქტომბერს, კინო კლუბის აქტივობების ფარგლებში ჩატარდა ჟაუმე სერას ფილმის „ცვილის ფიგურების სახლი“ ჩვენება. ჩვენებას მოდერატორობდა, კინომცოდნე, სოფიკო თოქმაჯიშვილი. ფილმის ჩვენებას ესწრებოდა 34 ახალგაზრდა. 30 ოქტომბერს, კინო კლუბის აქტივობების ფარგლებში ჩატარდა ფრანსუა ტრიუფოს ფილმის „400 დარტყმა“ ჩვენება. ჩვენებას მოდერატორობდა, კინომცოდნე, სოფიკო თოქმაჯიშვილი. ფილმის ჩვენებას ესწრებოდა 21 ახალგაზრდა.

7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის ფარგლებში მ.წ. პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 21 მარტს - დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღნიშვნა, სარეკლამო კამპანიაში ჩართვა, ფერადი წინდების შეძენა, საინფორმაციო და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება. აღნიშნულის თაობაზე მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, შედგა კომუნიკაცია დაუნის სინდრომის სპექტრის მქონე პირების მშობლებთან, დაიგეგმა და დაზუსტდა ღონისძიების დეტალები, თუმცა ტენდერის გამოცხადებისა და შემდგომ გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის პროცესის გაჭიანურების გამო, ღონისძიების ორგანიზება ვერ განხორციელდა პირველ კვარტალში. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა 1 ივნისს ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გასართობ ცენტრ ემენდემსში, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისათვის. ღონისძიება ატარებდა ინტეგრირებულ ხასიათს და მასში საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 30 ახალგაზრდამ. 2 აპრილს ახალგაზრდულ ცენტრში აღინიშნა აუტიზმის ცნობადობის ამაღლების

საერთაშორისო დღე. ღონისძიება ატარებდა ინტეგრირებულ ხასიათს და მოიცავდა როგორც საინფორმაციო, აგრეთვე საკონცერტო ნაწილს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც აუტიზმის სპექტრის მქონე ახალგაზრდებმა, რომლებიც სიმღერებითა და ლექსებით წარდგნენ აუდიტორიის წინაშე, აგრეთვე სტუდია „ლიმპოპოსა“ და სტუდია „ბასტი-ბუბუს“ მოზარდებმა. ღონისძიებაში სულ ჩაერთო 50 ახალგაზრდა. 4 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით ჩატარდა ჯესტური ენის შემსწავლელი გაკვეთილები, ჯამში 14 გაკვეთილი, რომელშიც ჩართული იყო 15 ახალგაზრდა. ახალგაზრდებმა დროის ამ მონაკვეთში შეძლეს მარტივი საკომუნიკაციო ენის შესწავლა. ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში, თეატრალური ხელოვნებითა და მსახიობობით დაინტერესებული მოზარდების მონაწილეობით, დაიდგა ინტეგრირებული სპექტაკლი, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების, „ჰელადოსი“ მიხედვით. სპექტაკლში მონაწილეობისათვის წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე შემოვიდა, 16 განაცხადი. აპლიკანტები მოწვეული იქნენ შესარჩევ ქასტინგზე, რომელსაც უძღვებოდა რეჟისორი, ნატალია გალოგრე. ორდღიანი ქასტინგის შედეგად შეირჩა 12 ახალგაზრდა, აქედან 4 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. 23 სექტემბერიდან, მიმდინარეობდა სამაგიდო რეპეტიციები, კვირაში 5 დღის განმავლობაში. 28 ოქტომბერს, ბათუმის დრამატული თეატრის მცირე სცენაზე, სრული ანშლავით შედგა სპექტაკლის პრემიერა. 13 ნოემბერს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღისადმი დაგეგმილი ფლემ მოზის ორგანიზებისათვის ჩატარდა მონაწილეთა შესარჩევი ქასტინგი. ქასტინგში მონაწილეობა მიიღო 30 ახალგაზრდამ. შეირჩა ფლემ მოზის მონაწილე 24 ახალგაზრდა, აქედან 5 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა.

29 ნოემბერს, განხორციელდა ფლემ მოზის დადგმა და ვიდეო გადაღება ცენტრალური პარკის შესასვლელ კოლონადებთან. ფლემ მოზის დამდგმელი ქორეოგრაფი, მაია დუმბაძე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 3 დეკემბერს, ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში შედგა საინფორმაციო შეხვედრა შშმ პირთა უფლებების შესახებ. შეხვედრას მოდერატორობდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენელი ნინო ჩხაიძე. შეხვედრაზე ნაჩვენები იქნა ფლემ მოზის ვიდეო კლიპი. შეხვედრას ესწრებოდა 30 ადამიანი.

8. აქტიური ახალგაზრდებისთვის წამახალისებელი ღონისძიებების ფარგლებში - აქტიური ახალგაზრდების მოტივაციის შენარჩუნებისა და სხვა ახალგაზრდების დაინტერესებისა და პროგრამებში ჩართულობის გაზრდისთვის, ახალგაზრდულ პროგრამებში აქტიურად ჩართული მონაწილეებისთვის სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით მომზადდა სატენდერო დოკუმენტი, შედგა ელექტრონული ტენდერი. 19 დეკემბერს, კარაოკე ბარ "Light House" ში 18 ახალგაზრდას, რომლებიც წლის მანძილზე აქტიურად იყვნენ ჩართულები ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, გადაეცათ სიგელები და წამახალისებელი საჩუქრები.

9. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე - ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს მსოფლიო ყოველ წელს, 12 აგვისტოს აღნიშნავს. დღესასწაული, რომელიც მოწოდებულია, პოპულარიზება გაუწიოს ოჯახურ ფასეულობებს, ჯანსაღი ცხოვრების წესსა და ახალგაზრდებში კულტურული მემკვიდრეობის გაფრთხილებას, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დააწესა და ყოველ წელს სპეციალური თემა აქვს, რომლის ირგვლივაც იგეგმება ღონისძიებები და აქტივობები. 2019 წელს ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის გამოცხადებული თემის ირგვლივ მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებები; გაიმართა მასშტაბური სპორტული და გასართობი აქტივობებით

დატვირთული ახალგაზრდული ფესტივალი საოცრებათა პარკში. სპორტულ აქტივობებს წარმოადგენდა: ქუჩის კალათბურთი, მინი ფეხბურთი და ქვიშის ფრენბურთი. კალათბურთის ტურნირში, გოგონათა და ვაჟთა ჯგუფებში მონაწილეობდა 16 გუნდი, 64 მონაწილე. ქვიშის ფრენბურთში, გოგონათა ჯგუფში, 6 გუნდი, სულ 12 მონაწილე, ხოლო ვაჟთა ჯგუფში, 8 გუნდი, სულ 16 მონაწილე. მინი ფეხბურთის ტურნირში მონაწილეობდა 8 გუნდი, სულ 45 მონაწილე. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ წამახალისებელი საჩუქრები. ფესტივალის ფარგლებში, მოეწყო ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის საინფორმაციო კუთხე, სხვადასხვა წამახალისებელი, ცენტრის ბრენდირებული საჩუქრებით, ფოტო სტენდებითა და ნაციონალური სამოსით, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუმრებში. საერთო ჯამში აღნიშნულ ღონისძიებაში ცართული იყო 1000-მდე ახალგაზრდა.

➤ მიღწეული შედეგები:

ფუნქციონირებს ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისა და საერთო ინტერესების მქონე ახალგაზრდების თავშეყრის, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების მოწყობისა და ახალგაზრდების განვითარების ალტერნატიული სივრცე.

2. ახალგაზრდები დამოუკიდებლად ახდენენ იდეის ინიცირებას, განხორციელებასა და მართვას, შესაბამისად მხარდაჭერილია ახალგაზრდების ინიციატივების განხორციელებასა და მართვას, შესაბამისად მხარდაჭერილია ახალგაზრდების ინიციატივების განხორციელება.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 64,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 59,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,6%.

➤ პროგრამის აღწერა:

1) ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და ჩატარდა ტენდერი ინტელექტუალური თამაშის, „რა სად როდის“? მონაწილეებისათვის სასაჩუქრე წიგნებისა და თასების მოწოდების თაობაზე;

2) ჩატარდა ინტელექტუალური თამაშის „რა სად როდის“? პირველი და მეორე ეტაპი. საანგარიშო პერიოდში გაიცა შესაბამისი დაფინანსება. პირველი ეტაპი ჩატარდა საჯარო სკოლებს შორის. პირველ ადგილზე გავიდა პირველი საჯარო სკოლა, მეორე ადგილზე გავიდა მერვე საჯარო სკოლა და მესამე ადგილზე გავიდა ევრო - 2000. მეორე ეტაპი ჩატარდა უმაღლეს სასწავლებლებს შორის. პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გავიდა ბსუ, ხოლო მეოთხე ადგილზე გავიდა საზღვაო აკადემია.

3) ჩატარდა ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“, სადაც მონაწილეობა მიიღეს ბათუმის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. გაიმარჯვა 26-ე საჯარო სკოლის მეცხრე

კლასის მოსწავლე ილონა ნაკაშიძემ. საანგარიშო პერიოდში გაიცა შესაბამისი დაფინანსება;

4) მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და ჩატარდა ტენდერი კონკურსის „სიტყვის კონა“ ორგანიზების შესყიდვის თაობაზე;

5) ჩატარდა ინტელექტუალური თამაშის "რა? სად? როდის?" მესამე ეტაპი - ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები. თამაშები ჩატარდა „MAK“ - ის წესების დაცვით, jeopardy - ის ჯგუფური ტურნირი, „პლეი-ოფისა“ და „ბრეინ-რინგის“ სისტემით. თოთოეულ ეტაპზე გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ წიგნებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით.

საპრიზო ადგილზე გავიდნენ: I ადგილი - გუნდი „26-ე საათი“; II ადგილი - გუნდი „ბოკა ხუნიორსი“; III ადგილი - გუნდი „გრანდმასტერი“.

6) ჩატარდა ტენდერი „აჭარის საერთაშორისო ჯემბორი - სკაუტური სამყარო“ ორგანიზების შესყიდვის თაობაზე და საანგარიშო პერიოდშივე ჩატარდა პროექტი „აჭარის საერთაშორისო ჯემბორი - სკაუტური სამყარო“. პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებში ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის განვითარება. პროექტში მონაწილეობდა ქართველი და 15 სხვადასხვა ქვეყნის 218 ახალგაზრდა.

საანგარიშო პერიოდშივე გაიცა შესაბამისი დაფინანსება.

7) 2019 წლის 19 სექტემბერს გამოიცა მერის 1119 ბმანება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა“ ღონისძიების - კონკურსი „სიტყვის კონა“ ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე.

ღონისძიების - კონკურსის „სიტყვის კონა“ პირველი ეტაპი ჩატარდა 10 ოქტომბერს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბათუმის კერძო და საჯარო სკოლების 1768 მოსწავლემ. მეორე ტურში გადავიდა საუკეთესო ქულების მქონე 83 მოსწავლე.

კონკურსის დასკვნითი ეტაპი გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში. საპრიზო ადგილებზე გასულ მოსწავლეებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები.

პირველ ადგილზე გავიდა მე 17 საჯარო სკოლის მოსწავლე - ანა ლორია - ჯილდო 1500 ლარი;

მეორე ადგილზე გავიდა მე 15 საჯარო სკოლის მოსწავლე - ელენე ჯინჭარაძე - ჯილდო 1000 ლარი;

მესამე ადგილზე გავიდა მე 2 საჯარო სკოლის მოსწავლე - თამარ ქათამაძე - ჯილდო 500 ლარი.

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალური განვითარება.

პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 942,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 888,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში 5404 ბენეფიციარი იქნა უზრუნველყოფილი მედიკამენტებით. გარდა ამისა, მატერიალური დახმარება გაეწია ფენილკეტონურიით დაავადებულ 16 ბენეფიციარს და ცელიაკიით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ 6 პირს საკვები დანამატების შეძენის მიზნით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით.

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 92,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 88,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ქალთა გინეკოლოგთან კონსულტაცია, საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, ნაცხის აღება, კოლპოსკოპია, საშვილოსნოს ექსოკოპიური გამოკვლევა (35-40 და 60 წლის ზემოთ - 143 ბენეფიციარი), 30-40 წლამდე ასაკის 200 ქალს ჩაუტარდა მამოგრაფიული გამოკვლევა. ასევე მკერდის, პროსტატის, საშვილოსნოს, საკვერცხეების, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით დაავადებულ 2322 ბენეფიციარს ჩაუტარდა გამოკვლევა ონკომარკერებით. 25 დან 30 წლამდე ასაკის 50 ქალს ჩაუტარდა სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია. 50-დან 60 წლამდე ასაკის ქალებისა და 50-დან 65 წლამდე მამაკაცებისათვის (გამოკითხვა, ექიმის კონსულტაცია და kT კვლევა) ფილტვის კიბოს სკრინინგი (1500 ბენეფიციარი).

➤ **მიღწეული შედეგები:**

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით განხორციელებულია დიაგნოსტიკა.

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 111,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 97,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,7%.



➤ **პროგრამის აღწერა:**

2019 წლის განმავლობა 18 წლის ზემოთ ფსიქიური პრობლემის მქონე 29 პირს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო კურსი. ქვეპროგრამის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის (ქ. ბათუმში მცხოვრებ 18 წლის ზემოთ ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის - 29 ბენეფიციარი) ხდებოდა რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, პირებს უტარდებოდათ ერგოთერაპია, არტთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება. ბენეფიციარები ჩართული იყვნენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ხდებოდა საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის ჩატარებულია სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

**მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება
(პროგრამული კოდი 06 01 05)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 160,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 157,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2019 წლის განმავლობაში, სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება გაეწია 721 ბენეფიციარს, მათ შორის, ომში დაინვალიდებულ პირებს, ომის ვეტერანებს (ასაკით პენსიონერები) და ქ. ბათუმის მერიის უფასო მუნიციპალური სასადილოების 57 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებს და 18 წლამდე ასაკის შ.შ.მ. სტატუსის მქონე ბავშვებს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება.

**С ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება
(პროგრამული კოდი 06 01 06)**

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 57,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 51,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 89,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 200000-მდე С ჰეპატიტით დაავადებული პირია, რაც ეროვნულ პრობლემას წარმოადგენს. ვირუსის ელიმინაციის მიზნით, საქართველოში განხორციელდა უპრეცედენტო ღონისძიება, რომლის ფარგლებში, ამ ვირუსით დაავადებულ პირებს მიეცათ უფასოდ მკურნალობის

საშუალება. საქართველოს მასშტაბით პროგრამით უკვე ისარგებლა 48000-მა პირმა და გამოჯანმრთელების მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 98 %-ს. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის #169 დადგენილებით ამოქმედდა "C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე" სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ხელშეწყობისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკების და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსების ქვეპროგრამა, რის მიხედვითაც, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას (0-70000 სარეიტინგო ქულამდე) და ომის მონაწილეებსა და ომის ვეტერანებს სრულად დაუფინანსდება მომსახურეობა, ხოლო სხვა კატეგორიის მოსახლეობას დაუფინანსდება დამატებით სრული ღირებულების 42 %. 2019 წლის მანძილზე 352 ბენეფიციარს გაეწია დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ჩატარებულია C ჰეპატიტის დიაგნოსტიკური კვლევები და განხორციელებულია პაციენტთა მკურნალობის მონიტორინგი

შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 345,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 309,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 89,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2019 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში 682 ბენეფიციარებს ჩაუტარდათ 12 დღიანი კლიმატოთერაპიისა და რეაბილიტაციის კურსი. მათ შორის, ომის ვეტერანებს (ასაკით პენსიონერი, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებული პირი), ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს, შშმ სტატუსის ბავშვებს, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახებს.

მიღწეული შედეგები:

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოთერაპიისა და რეაბილიტაციის 12 დღიანი კურსი.

ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 09)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 257,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 080,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2019 წლის განმავლობაში ქ. ბათუმში დაბადებულ



ახალშობილებს ჩაუტარდათ სმენის და მუკოვისციდოზის სქრინინგული გამოკვლევა. 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს, 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებს, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდათ რეაბილიტაციის კურსი. ასევე, ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდათ მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ახალშობილებში ჩატარებულია აუდიოლოგიური სქრინინგი და მუკოვისციდოზზე სქრინინგი. განხორციელებულია შესაბამისი ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. შეფერხების მქონე ბავშვების მშობლებისათვის ჩატარებულია ტრენინგ-სემინარები. ორთოპედული პათოლოგიის მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარებულია ამბულატორიული მკურნალობის ერთი კურსი.

ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 10)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 166,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 124,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 74,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის 107 პაციენტს გაეწია ყოველთვიური კომპენსაცია 60 ლარის ოდენობით, ასევე, ლეიკემიით დაავადებულ 22 ბავშვს დახმარება 200 ლარის ოდენობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 12)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 659,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 608,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება და ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება. კერძოდ, 2019 წლის განმავლობაში ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება გაეწია 780 ბენეფიციარს, ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაცია ჩაუტარდა 9 ბენეფიციარს.

➤ **მიღწეული შედეგები:**



განხორციელდა მკურნალობის თანადაფინანსება. მატერიალური დახმარება გაწეულია ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის.

ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 06 01 13)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 065,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 043,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სუბსიდირება ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევის - პირველადი პრეჰოსპიტალური სასწრაფო-სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 218 თანამშრომელი. ორგანიზაციის კაპიტალის გაზრდის მიზნით შეძენილი იქნა 4 ავტომანქანა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქალაქში უზრუნველყოფილია დამატებითი სასწრაფო დახმარების ბრიგადები და გაზრდილია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 14)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 85,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 85,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური ბინაზე მომსახურება. მოხდა დაავადების რეციდივებისა და რეჰოსპიტალიზაციის შემცირება. ბენეფიციარებს მიეწოდებათ მედიკამენტები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ბინაზე მომსახურება. შემცირებულია რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა რაოდენობა.

სამედიცინო დაწესებულებების შესაძლებლობების კვლევა (პროგრამული კოდი 06 01 15)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 7,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ჩატარა 10 სამედიცინო დაწესებულების კვლევა, ასევე ინტერვიუები მომხმარებლებთან, რის შედეგადაც გამოიკვეთა ტენდენციები, რომლებიც შემდგომ ასახული იქნება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გამოვლენილია სამედიცინო ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებები, შეფასებულია მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სტანდარტებთან შესაბამისობა.

სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 684,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 625,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. წყლის, კანალიზაციისა და დასუფთავების მოსაკრებელის გადასახადით უზრუნველყოფილი იქნა 14150-მდე ბენეფიციარი, აქედან: 10600 - 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) და მათი შვილები; 1800 - მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვები; 1750 - ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები. 2. სატელეფონო-სააბონენტო გადასახადზე შეღავათი მიიღო 682 ბენეფიციარმა, აქედან 207 - მკვეთრად გამოხატულმა შშმ პირმა, მათ შორის შშმ სტატუსის მქონე ბავშვმა და 475 ვეტერანმა, მათთან გათანაბრებულმა პირმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალდაკარგულებმა. 3. გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მიღგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გახეჟრამდე სამი კვარტლის მდგომარეობით გაეწია 86 ბენეფიციარს: აქედან 9 - მკვეთრად გამოხატულ შშმ პირს, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვს, 37 - ვეტერანს, მათთან გათანაბრებული პირს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს და მარჩენალდაკარგულებს; 40 - 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახს. 4. ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალ დაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება - ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირი შეიძინა 96-მდე ვეტერანმა, მათთან



გათანაბრებულმა პირმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალ დაკარგულებმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 410,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 158,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 82,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის მდგომარეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, კერძოდ, 15 თებერვალს მატერიალური დახმარება გაეწია სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ 4 ვეტერანს; 9 მაისთან დაკავშირებით მატერიალური დახმარებით ისარგებლა - ქ. ბათუმში მცხოვრებმა 17 მეორე მსოფლიო ომის ინვალიდმა და 11 მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მეზობლთა ოჯახის წევრებმა, 27 სექტემბერთან დაკავშირებით მატერიალური დახმარებით ისარგებლა 81 ბენეფიციარმა, ხოლო ახალ წელთან დაკავშირებით მატერიალური დახმარებით ისარგებლა - ქ. ბათუმში მცხოვრებმა 111 ვეტერანმა. 2. ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია - 107 - 0-100.000 ჟულის მქონე სოც. დაუცველ ოჯახს. 3. ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალებისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 65 ოჯახს, აქედან 24 გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და 41 გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი პირის 0-70000 სარეიტინგო ჟულის მქონე ოჯახს. 4. - ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწია 325 - 0-70000-მდე სარეიტინგო ჟულის მქონე 3 შვილიან ოჯახს, 78 - 0-70000-მდე სარეიტინგო ჟულის მქონე 4 შვილიან ოჯახს, 37 - 0-70000-მდე სარეიტინგო ჟულის მქონე 5 და მეტი შვილიან ოჯახს, 100 - 5 და მეტი შვილიან ოჯახს 28 უდედმამო ბავშვს, 272 მარტოხელა მშობელს (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა), სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ჟულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის 122 ბავშვს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 1 603,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 603,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2019 წლის მონაცემებით ბენეფიციართათვის, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 50%-იანი შეღავათით, განხორციელდა 427 797 შეღავათიანი მგზავრობა, საშუალოდ 14 მგზავრობა ერთ ბენეფიციარზე თვეში. ბენეფიციართათვის, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100%-იანი შეღავათით, განხორციელდა 499 164 უფასო მგზავრობა, საშუალოდ 18 მგზავრობა ერთ ბენეფიციარზე თვეში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება.

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 866,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 863,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2019 წლის განმავლობაში მოხუცებულთა თავშესაფარში ყოველდღიურად მომსახურება ეწეოდა 122 მზრუნველობას მოკლებულ პირს, ხოლო ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე 100 პირს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები.

მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 96,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 96,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2019 წლის განმავლობაში 2 მრავალშვილიან ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართის სამუშაოებისათვის საჭირო ფულადი კომპენსაცია.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებელი ფართით და სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო ფულადი კომპენსაციით.

მუნიციპალური უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 776,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 573,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

არსებული პროგრამა მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას, რომელიც გათვალისწინებულია 5079 ბენეფიციარზე და აღნიშნული მომსახურების გაწევა განხორციელდა 6 მუნიციპალური სასადილოს საშუალებით. ბენეფიციარებს ყოველდღიურად შესაბამისი მენიუს მიხედვით გადაეცათ ახალი, ცხელი კერძები. სისტემატურად მიმდინარეობდა სასადილოს შენობების დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია კანონით დადგენილი ნორმების სრული დაცვით. სასადილოებს ყოველთვიური გრაფიკით მოეწოდებოდა საწმენდი-საპრიალებელი და ჰიგიენური საშუალებები, შესაბამისი ქსოვილის ნივთებით. სააგენტოს მიერ მოხდა რიგი ღონისძიებების გატარება პროგრამის შესაბამისად, კერძოდ განხორციელდა აღდგომის დღესასწაულზე ერთჯერადი საჩუქრების გაცემა (პასკა, კვერცხი;).

სააგენტოს მიერ მოხდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება, კერძოდ სააგენტომ შეისყიდა ავტომობილი, ასევე შეისყიდა კომპიუტერული ტექნიკა. სასადილოები დამატებითი საოჯახო ტექნიკით აღიჭურვა. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით განხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების შეძენა/ გადაიარაღება..

➤ **მიღწეული შედეგები:**

საჭიროების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია უფასო კვების მომსახურება.

დროებითი ღამის თავშესაფარი (პროგრამული კოდი 06 02 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 311,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 260,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 83,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საქართველოში მიუსაფარი პირებისათვის სათანადო დახმარების გაწევა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ორგანოების უფლება-მოვალეობაა და ამ ადამიანებისათვის თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას ღამის თავშესაფარი წარმოადგენს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ყოველდღიურად 50 ბენეფიციარისათვის ღამის გათევას ორჯერადი კვებით (საუზმე, ვახშამი) და სუფთა ტანსაცმლით უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გაწევას. გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით განხორციელდება ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა-განახლება

➤ **მიღწეული შედეგები:**

დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 08)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 34,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 33,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2019 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება "ომგადახდილის", ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას, ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის შეძენილი იქნა სხვადასხვა საოფისე ნივთები. გაწეული იქნა კომუნალური, სამივლინებო და სხვა ხარჯები. ასევე დაფინანსდა წითელი ჯვრის ორგანიზაციის ღონისძიებები. საერთო ჯამში: "წითელი ჯვარი"-26590 ლარი; „ომგადახდილი" - 2500 ლარი; „ავღანელთა კავშირი" - 2500 ლარი; ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრი - 2500 ლარი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის, უსინათლოთა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ფინანსური მხარდაჭერა

ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 367,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 362,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნულ პროგრამაში კლასიფიცირდებოდა სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებზე გამოყოფილი ერთჯერადი მატერიალური დახმარებები.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 10)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 500,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 392,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 78,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57.001-ს, პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის, სოციალური დანიშნულების საქონლისა (საშეშე მერქანი) და სარემონტო მასალების შეძენა, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რემონტი ღონისძიებების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული მოკვლევის ბარათების საფუძველზე, კრიტერიუმების შესაბამისად ადმინისტრაციული ერთეულების მიერ მოკვლეული იქნა 0-30000-მდე ქულის მქონე 3, 4, 5 და მეტშვილიანი



ოჯახები, 0-57000-მდე შშმ და 1000 ქულის მქონე პირები. ჩატარდა ელექტრონული ტენდერები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები და შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 11)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 48,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 46,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2019 წელს 48 შშმ პირს (ტოტალური უსინათლო) ქვეპროგრამის ფარგლებში გაეწიათ ასისტენტის მომსახურება.

მიღწეული შედეგები: ნაწილობრივ უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქალაქში გადაადგილება, მათი მომსახურება და საზოგადოებაში ინტეგრაცია

დასაქმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 12)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 60,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 59,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ფორუმი დამსაქმებლებთან. შეიქმნა საიტი jobs.batumi.ge. მოხდა საზოგადოების ინფორმირება. საიტზე დარეგისტრირდნენ პოტენციური დამსაქმებლები, მოიძებნა ვაკანსიები და დასაქმდა 48 ბენეფიციარი.

სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა (პროგრამული კოდი 06 03)

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი (პროგრამული კოდი 06 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 95,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 95,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ჩამონაბანის აღება (6375), კალორაჟის განსაზღვრა ბაღებსა და უფასო მუნიციპალურ სასადილოებში (210), განათების კოეფიციენტის განსაზღვრა სკოლებში (120), სტომატოლოგიური კაბინეტების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე (180 ერთეული), სადენზიფექციო საშუალებების ქიმიური კვლევა (35), აუზის წყლის ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევა (20) კვების პროდუქტების მონიტორინგი მუნიციპალურ სასადილოებში (96).

➤ **მიღწეული შედეგები:** მაწანწალა ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები ჩატარებულია.

დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 369,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 350,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ, (8760) 2. ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია (10000ც.) 3. ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია თვეში ორჯერ (72 ჰა) 4. ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია ყოველთვიურად (12960 ობ.) 5. ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია თვეში ერთჯერ (1260) 6. ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასხურების მეთოდით, პრეპარატის შესხურებას დასაცავი ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების და სათავსოების გარშემო შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში (სულ- 35510 კვ.მ) მომართვიანობის საფუძველზე 7. ქვეწარმავლობის დაჭერა, ტრანსპორტირება და დაუსახლებელ ტერიტორიაზე გაშვება არ განხორციელებულა მოთხოვნის არარსებობის გამო.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები.

მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 314,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 314,0 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელებულია მაწანწალა ცხოველების (ძაღვების, კატების) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: დაჭერა და ტრანსპორტირება, ევთანაზია (ჰუმანური დამინება ნარკოზით), სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ვაქცინაცია და დაბირკვა, ტრავმირებული ცხოველის მკურნალობა მათ შორის ოპერაციული მკურნალობა, სულ 2600, ასევე ბუნებრივ არიალში გაშვებული დაბირკული გასტერილებული ცხოველების ეტაპობრივი გამოყვანა ქალაქის ტერიტორიიდან და ტრანსპორტირება ვეტერინალურ კლინიკაში რევაქცინაციასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარების მიზნით. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ცხოველების ლემის (სხვადასხვა მიზეზითგამოწვეული სიკვდილით) დროული გამოყვანა სპეციალური ტრანსპორტით დაბეიკერის“ ორმოში დამარხვა მოზარდი ცხოველების (ლეკვი კნუტი) დაჭერა ქალაქის ტერიტორიაზე და ტრანსპორტირება თავშესაფარში (ვეტერინალური კლინიკა) მოვლა-პატრონობის მიზნით -2000 ერთული.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მაწანწალა ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები განხორციელებულია.

პრიორიტეტი: ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება

ქალაქის ურბანული განვითარება (პროგრამული კოდი 07 01)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 30,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 18,2 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 60,6%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარდამავალი ღონისძიებების დაფინანსება - ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული საგარანტიო თანხების ანაზღაურება.

ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 02)

ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა (პროგრამული კოდი 07 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 34,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 31,0 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 90,0%;

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდა გარდამავალი ღონისძიების დაფინანსება.

პრიორიტეტი: მუნიციპალური სერვისების განვითარება

მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 08 01)

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო (პროგრამული კოდი 08 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 700,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 689,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2019 წლის იანვარში განახლდა „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა - მმს“, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები კიდევ უფრო ამარტივებს სამუშაო პროცესს და ამცირებს ზედმეტ ბიუროკრატიულ ბარიერებს, მათ შორის შეიცვალა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა დაფინანსებისთვის საჭირო მოკვლევების სისტემა, რომელიც მაქსიმალურადაა გამარტივებული და მნიშვნელოვნად ამცირებს სერვისის მიწოდების დროს. მიმდინარეობს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის „მმს“-ში სრულად ჩართვისთვის საჭირო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც, როგორც პროგრამული, ასევე არაპროგრამული სერვისების მიწოდების სრული ავტომატიზაცია მოხდება. დასრულდა მუშაობა ვაუჩერის ელექტრონულ ფორმაზე, 2019 წლის მაისიდან მოქალაქეები ნაცვლად ვაუჩერის ძველი (მატერიალური) ფორმისა (რომლის მიღებაც მხოლოდ მერიის ცენტრალური კანცელარიიდან იყო შესაძლებელი), შემდეგ ელექტრონული ვაუჩერის მიღებას მოქალაქეთა მომსახურების მუნიციპალური სერვისცენტრების მეშვეობითაც. უკვე შესასწავლილია არსებული ბიზნეს პროცესები და პარალელურად მიმდინარეობს, „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში - მმს“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის ჩართვისთვის საჭირო ტექნიკური სამუშაოები, რომელიც გაამარტივებს მუნიციპალური ქონების მართვას, გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვას, ნებართვების გაცემის პროცედურას, შეიქმნება საჭირო ბაზები, რომლებიც ავტომატურად განახლებადი იქნება, შემცირდება შესაბამისი სერვისების მიწოდების დრო და გაუმჯობესდება ხარისხი. მოქალაქეები და სხვა დაინტერესებული პირები მარტივად შეძლებენ მათთვის სასურველი ინფორმაციის მოძიებასა და მიღებას.

2019 წლის პირველ კვარტალში ელექტრონული სერვისების შექმნის მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, კერძოდ: 2019 წლის 24 იანვარს გაიმართა პროექტის „დაგეგმე მერთან ვიზიტი ონლაინ“ – (www.visit.batumi.ge) პრეზენტაცია, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ პირს შეუძლია დაგეგმოს ვიზიტი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან, მესამე პირებისა და სტრუქტურების ჩართვის გარეშე, დისტანციურად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდის მეშვეობით. პლატფორმით აქტიურად სარგებლობენ მოქალაქეები, რასაც ადასტურებს

სტატისტიკაც, კერძოდ: 2019 წლის 24 იანვრიდან - 31 მარტის ჩათვლით დარეგისტრირდა 300 მოქალაქე, ვიზიტის სურვილი გამოთქვა - 240 მოქალაქემ, რომელთაგანც 192 - თან შეხვედრა უკვე შედგა. 2019 წლის იანვრიდან მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სტატისტიკის განახლებული პორტალით - (www.statistic.batumi.ge) - სადაც ხელმისაწვდომია სამშენებლო, რეკლამებისა და გარევაჭრობის ნებართვების სტატისტიკა. ასევე დასრულდა მუშაობა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სტატისტიკის მოდულზეც, რომელიც მოქალაქეებისთვის უახლოეს მომავალში იქნება ხელმისაწვდომი. 2019 წლის თებერვლიდან განახლდა ბათუმის ადმინისტრაციული ერთეულების პორტალი (www.ubnebi.batumi.ge), რომელიც აძლევს საშუალებას მოქალაქეს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ადმინისტრაციული ერთეულისა და იქ მიმდინარე მუნიციპალური აქტივობების შესახებ. პორტალი მნიშვნელოვანია სერვისცენტრებისა და საუბნო კავშირების გააქტიურებისა და მოსახლეობის ჩართულობა/ინფორმირებისთვის. 2019 წლის 31 მარტის მდგომარებით, პორტალზე გამოქვეყნებულია - 430 სიახლე. 2019 წლის 5 მარტს გაიმართა ქალაქის ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის პროგრამის (www.monitoring.batumi.ge) პრეზენტაცია.

2019 წლის 16 მარტს გაიმართა თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის პრეზენტაცია, რისთვისაც შექმნილია "მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმა" - (www.idea.batumi.ge). მიმდინარეობს მუშაობა კიდევ ერთ ახალ პროექტზე - „ბინამესაკუთრეთა ამხანაგობების პორტალი“ (www.amkhanagoba.batumi.ge) 2019 წლის პირველ კვარტალში (14.01, 25.01, 14.02 და 15.02) მოქალაქეთა მომსახურების მუნიციპალური სერვისცენტრების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს 14 მოქალაქეთა მომსახურების სერვისცენტრი. 2019 წლის იანვარში გაიხსნა მეორე, განახლებული ძველი ბათუმის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრი. 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო და მიმდინარეობს დამატებით ორი ახალი სერვისცენტრის მშენებლობა, ბონი-გოროდოკისა და მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულებში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ "მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო" (MSDA), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაკვეთითა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მუშაობს მუნიციპალიტეტებში ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვაზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკური და მოსამზადებელი სამუშაოები, რის შემდეგაც დაიწყება კონსულტაციები მუნიციპალიტეტებთან. მიმდინარეობს მუშაობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შპს „ბათუმის სანდასუფთავებისთვის“ პროგრამული უზრუნველყოფის შექმანაზე, რომელმაც უნდა გაამარტივოს სანდასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება. პროცესის დასრულების შემდგომ შეიქმნება ავტონომური სრულყოფილი ბაზა, ბილინგის გამართული სისტემა, მუნიციპალიტეტის სამსახურებს შორის მონაცემთა გაცვლის ეფექტური სისტემა. დასრულდა მუშაობა ქალაქის ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის პროგრამაზე (www.monitoring.batumi.ge).

მიმდინარეობს მუშაობა კიდევ ერთ ახალ პროექტზე - „ბინამესაკუთრეთა ამხანაგობების პორტალი“ (www.amkhanagoba.batumi.ge) 2019 წლის პირველ კვარტალში (14.01, 25.01, 14.02 და 15.02) მოქალაქეთა მომსახურების მუნიციპალური სერვისცენტრების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს 14 მოქალაქეთა მომსახურების

სერვისცენტრი. 2019 წლის იანვარში გაიხსნა მეორე, განახლებული ძველი ბათუმის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრი. 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო და მიმდინარეობს დამატებით ორი ახალი სერვისცენტრის მშენებლობა, ბონი-გოროდოკისა და მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულებში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ "მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო" (MSDA), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაკვეთითა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მუშაობს მუნიციპალიტეტებში ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვაზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკური და მოსამზადებელი სამუშაოები, რის შემდეგაც დაიწყება კონსულტაციები მუნიციპალიტეტებთან. მიმდინარეობს მუშაობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შპს „ბათუმის სანდასუფთავებისთვის“ პროგრამული უზრუნველყოფის შექმანაზე, რომელმაც უნდა გაამარტივოს სანდასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება. პროცესის დასრულების შემდგომ შეიქმნება აბონენტთა სრულყოფილი ბაზა, ბილინგის გამართული სისტემა, მუნიციპალიტეტის სამსახურებს შორის მონაცემთა გაცვლის ეფექტური სისტემა. დასრულდა მუშაობა ქალაქის ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის პროგრამაზე (www.monitoring.batumi.ge). 2019 წლის 15 მაისს დაიწყო თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში მოქალაქეების იდეების მიღება "მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმის" - (www.idea.batumi.ge) მეშვეობით. 18 ივნისიდან - 30 ივნისის ჩათვლით მოქალაქეებს ჰქონდათ საშუალება ელექტრონულად მიეცათ ხმა სასურველი პროექტებისთვის. აღნიშნულ პერიოდში პლატფორმაზე დარეგისტრირდა - 2048 მოქალაქე, ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობა მიიღო - 1369 მოქალაქე.

„USAID - ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI)“-ის ფინანსური მხარდაჭერითა და „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან“ თანამშრომლობით განხორციელდა თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ქალაქის თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საზღვაო აკადემიის სტუდენტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. პროცესი აქტიურად შუქდებოდა ადგილობრივი მედიის მეშვეობით, კერძოდ: საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს, ტელეკომპანია „TV 25“ -ის, მედიაკავშირ „ობიექტივისა“ და გაზეთ „ბათუმელების“ მიერ მომზადდა სიუჟეტები და მერიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ მათ გადაცემებს. შშმპ უფლებათდამცველებ ორგანიზაციებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა ახალ პროექტზე - „ხელმწიფადომი ბათუმი“ - (Accessible.batumi.ge მუნიციპალური სერვისების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის მომსახურებით ისარგებლა 2854 მოქალაქე. ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის თანამშრომლებმა, მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებში ბენეფიციართა ჩართვისთვის საჭირო სოციალ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლის მიზნით განახორციელეს - 1814 მოკვლევა, მათ შორის ჯანდაცვის მიმართულებით - 854 და სოციალური მიმართულებით - 960 მოკვლევა. ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის თანამშრომლებმა, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო 387 მოკვლევა განახორციელეს. ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის

თანამშრომლებმა აღრიცხეს ქალაქში არსებული 116 დიდი ინფრასტრუქტურული და ქალაქის მიმდინარე მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული 630 მცირე პრობლემა, რომელთაგან 378 უკვე მოგვარებულია.

ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის თანამშრომლებმა, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით მერის მოქალაქეებთან ინდივიდუალურ, ყოველკვირეულ 12 შეხვედრას გაუკეთეს ორგანიზება, რომელსაც ჯამში 300-მდე მოქალაქე ესწრებოდა. ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის თანამშრომლებმა, სამხედრო სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევასთან დაკავშირებით დაარიგა 1150 სამხედრო უწყება. მუნიციპალური სერვისების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის მომსახურებით ისარგებლა 1320-მა მოქალაქემ. ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის თანამშრომლებმა, მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებში ბენეფიციართა ჩართვისთვის საჭირო სოციალ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლის მიზნით განახორციელეს - 951 მოკვლევა, მათ შორის ჯანდაცვის მიმართულებით - 681 და სოციალური მიმართულებით - 270 მოკვლევა. ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის თანამშრომლებმა, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო 516 მოკვლევა განახორციელეს. ადმინისტრაციულ ერთეულში სერვისცენტრის თანამშრომლებმა აღრიცხეს ქალაქში არსებული 252 დიდი ინფრასტრუქტურული და ქალაქის მიმდინარე მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული 317 მცირე პრობლემა, რომელთაგან 82 უკვე მოგვარებულია. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დასრულდა და ექსპლოატაციაში შევიდა მუნიციპალური ერთეულის - ძველი ბათუმის სერვისცენტრის შენობა. მუნიციპალური სერვისების სამსახურის მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაციისა და საინფორმაციო - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებებისათვის განახლდა მატერიალურ ტექნიკური ბაზა - შეძენილია 5 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა; განახლებულია საბიუჯეტო ორგანიზაციის საბუღალტრო პაკეტი; მუნიციპალური სერვისების რეკლამირების მიზნით დამზადდა სხვადასხვა დიზაინის მქონე ბროშურები და ფლაიერები; შევიდინეთ 18 ერთეული ციფრული ელექტრონული ხელმოწერის მოწყობილობა;

ასიგნების შესაბამისად ხორციელდება სახელფასო, საკანცელარიო, კომუნალური, დასუფთავების, რემონტის, ოფისის დაცვის, ტრანსპორტის საწვავისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების უზრუნველყოფა. განხორციელდა სერვისცენტრების აბონენტებად დარეგისტრირება კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით. ორი ერთეული მშენებარე სერვისცენტრისათვის დამზადდა ავეჯი. 106 ერთეული უნებართვო გარემოვაჭრისათვის სამუშაო ფართის კეთილმოწყობის მიზნით უზრუნველვყავით თანადაფინანსება. საოფისე შენობაში მოეწყო შშმ პირების მოხერხებულად გადაადგილებისათვის სპეციალური ადგილები. განხორციელდა მუშაობა პროექტებზე www.monitoring.batumi.ge; www.idea.batumi.ge ხოლო მიმდინარეობს accessible.batumi.ge შშმ პირებისათვის. მიმდინარეობს ახლადაგებული 2 სერვისცენტრის საოფისე ტექნიკით აღჭურვის სამუშაოები. სერვისცენტრებისათვის შეძენილია საოფისე ავეჯი.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია მუნიციპალური სერვისების მიწოდება "ერთი ფანჯრის პრინციპით"; გადამზადებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები და წევრები;

მუნიციპალური სერვის-ცენტრების მშენებლობა (პროგრამული კოდი 08 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 334,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 323,6 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 96,9%.

პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის-ცენტრების ახალი ოფისების მშენებლობა - მოეწყო 21,9 კვ.მ. მონოლითური რკინა/ბეტონის საძირკველი, 4კვ.მ. მონოლითური ბეტონის ზეძირკველი და 1,502 ტ. საჩრდილობლის ლითონის კარკასი; დამონტაჟდა 0,73 ტ. ლითონის სვეტები, 0,435 ტ. შეკიდული ჭერის ლითონის კოჭები და 0,64 ტ. ლითონის ფერმები.

➤ მიღწეული შედეგები:

აშენებულია სერვის-ცენტრების ახალი შენობები.

თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა (პროგრამული კოდი 08 01 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 111,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 88,0 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 79,1%;

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულია თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების პასპორტიზაცია, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედენას, მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების შედენას, არსებული ნახაზების დაყოფას, არსებული ნახაზების კორექტირებას, არსებული ნახაზების გაერთიანებას, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაკვაღვას, ხაზობრივი ნაგებობების მიწისქვეშა და მიწისზედა აზომვითი ნახაზების შედენას. კერძოდ, განხორციელდა 813,06 კვ.მ. შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების დამზადება, 41830 კვ.მ. მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოების ჩატარება, განხორციელდა 100 საკადასტრო ერთეული მიწის ნაკვეთის დაყოფა, გაკეთდა 6 ერთეული მიწის ნაკვეთის კორექტირება, გაერთიანდა 7 ერთეული მიწის ნაკვეთი, შესრულდა 19 ერთეული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაკვაღვითი სამუშაოები, შესრულდა 69 გრძ.მეტრი ხაზობრივი ნაგებობების მიწისქვეშა და მიწისზედა აზომვითი ნახაზების დამზადება.

- განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ქონების, მათ შორის აქციებისა და წილის აუდიტორიული შეფასების დასკვნების მომზადება (ქონების საბაზრო და საიჯარო ღირებულების დადგენა), კერძოდ, 75 ერთეული ქონების აუდიტორული შეფასების დასკვნის მომზადება;

- განხორციელდა ელექტრონული აუქციონის განცხადების განთავსება და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურების კერძოდ, სსიპ საქართველოს

ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან მიღებულია ელექტრონული აუქციონით გაწეული მომსახურება."

განხორციელდა თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაცვითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს მიერ განხორციელებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ქობულეთში, მეგობრობის ქ. #40-ში მდებარე 12500,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული 15552,00 კვ.მ. დაუმთავრებელი შენობის - ყოფილი სასტუმრო „მეზღვარი“-ს საპოლიციო ძალების მეშვეობით დაცვის მომსახურება.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა.

სარეზერვო ფონდი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 1,450,000 ლარს შეადგენდა, რაც 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.8%-ია. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა მოსახლეობის სოციალური დაცვის იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლიც არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებულ ასიგნებებში.

2019 წლის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 1,396,506 ლარი შეადგინა, [დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით.](#)

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის აღსრულების ფონდი 50,000 ლარს შეადგენდა, ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 2,688 ლარი შეადგინა, [დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით.](#)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.